საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №84 (2784) ოთხშაბათი, 8 აპრილი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

მორიგე რედაქტორი

ხსოვნა გვავალდებულებს

ეს უნიკალური ფოტოსურათია.

უნიკალური თავისი ისტორიულობით: გადაღებულია იმ ხომალდის გემბანიდან, რომელმაც უკანასკნელმა გამოიყვანა ალმოდებული სოხუმიდან განწირული ადამიანები.

გადაღებულია 1993 წლის სექტემბრის ბოლოს, გურამ მგალობლიშვილის მიერ, რომელიც დღეს ცოცხალი აღარ არის.

ალბათ, ცოცხალი აღარ არის მრავალიც ამ ფოტოზე აღბეჭდილთაგან.

ზოგი მათგანი გემზე ვერ მოხვდა, კოდორის ხეობის გოლგოთას შეუდგა და საკენიდან ჭუბერამდე მოგუდა თოშმა. ზოგს მანამდე, ბარშივე დაეწია ტყვია. ზოგმა სამშვიდობოს კი გამოაღწია, მაგრამ ელდანაკრავმა გულმა უმტყუნა...

ისინი გამორბოდნენ საკუთარი სახლ-კარიდან, საკუთარი სამშობლოდან, საკუთარი ბავშვობიდან, ყრმობიდან და მოწიფულობიდან, საკუთარი წარსულიდან და მომავლიდან...

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი...

აფხაზეთი – ოცნება ჩვენი...

უაფხაზეთოდ არ არსებობს საქართველოს მომავალი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ეს!

მაგრამ გვავიწყდება.

ერთმანეთის სიძულვილი გვძლევს.

ერთმანეთისთვის დამიზნებული თოფის ჩახმახისთვის თითის გამოკვრა გვეადვილება.

ქვეყნის პრეზიდენტზე ნადირობა გვეადვილება.

არადა, ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს.

მხარდამხარ დგომა გვმართებს.

ამას აფხაზეთის ხსოვნა გვავალდებულებს.

ამას ქვეყნის მომავალი გვავალდებულებს.

პრეზიდენტი

შვედეთის პრემიერ-მინისტრი მადლობას უხდის ედუარდ შევარდნაძეს

ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიილო შვედეთის პრემიერ-მინისტრის იორან პერსონის წერილი, რომელიც ეხება 19 თებერვალს გაეროს სამხედრო მოსამსახურეების, მათ შორის, შვედი მაიორის მორტენ მელგორდის, მძევლებად აყვანისა და მათი მშვიდობიანად გათავისუფლების ფაქტს.

იორან პერსონი წერს, რომ ამ პრობლემის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოგვარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პირადად საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ხელისუფლების მიდგომამ. „მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ აქტიური წვლილისათვის, რომელიც თქვენ შეიტანეთ ამ საკითხის ძალის გამოუყენებლად გარეშე გადაწყვეტაში“, წერს შვედეთის პრემიერ-მინისტრი და კეთილდღეობას უსურვებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და მთელს ქართველ ხალხს.

საქართველო-თურქეთი: თანამშრომლობის განმტკიცების კურსი უცვლელია

საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივი ურთიერთობა ძალზე მოკლე დროში სამაგალითო კეთილმეზობლურ და პარტნიორულ ურთიერთობად ჩამოყალიბდა. საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის ახლადდანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აჰმედ ბურაკ გიურსელი აცხადებს, რომ ძალისხმევას არ დაზოგავს, რათა ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაფართოვდეს.

რწმუნებათა სიგელების გადაცემის დროს.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

7 აპრილს თურქმა დიპლომატმა რწმუნებათა სიგელები გადასცა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ცერემონიის შემდეგ გამართულ შეხვედრაზე საქართველოს სახელმწიფოს მეთაური გულწრფელად მიესალმა მეგობარი სახელმწიფოს ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს და გამოთქვა რწმენა, რომ ორ ქვეყანას შორის კარგად

იხ. მე - 2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

ჯ. ხუხაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სპორტის განვითარების, მისი პოპულარიზაციის, ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში შეტანილი პირადი წვლილისათვის კალათბურთელთა პროფესიული კლუბი „მაქაბის“ პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ნაკრების უფროსი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტული კომენტატორი, **ჯამლეტ ხუხაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 4 აპრილი ქ. თბილისი

ო. ქანდარიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ოთარ ქანდარია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ვიზიტი

ბოლო აკორდი — ნიუ-იორკში



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, რომელიც სამუშაო ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება, ნიუ-იორკში შეხვდა ამერიკის საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელებს. ეს ის ფონდია, რომელიც უცხოეთში ინვესტიციათა დაცვის კორპორაციასთან ერთად ამუშავებს საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის პროგრამებს. ისაუბრეს, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიის გაელით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისათვის ახალი მილსადენების მშენებლობაზე.

პარლამენტის თავმჯდომარემ კოლუმბიის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმების შესახებ.

დაგეგმილია ზურაბ ჟვანიას ინტერვიუ გაზეთ „უორლდ სტრიტ ჯორნალისათვის“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კოფი ანანი ამჟამად ნიუ-იორკში არ იმყოფება. მის მოადგილესთან ქალბატონ ფრეშეტთან შეხვედრის დროს ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ სამშვიდობო ოპერაციამ აფხაზეთში, რომელიც გაეროს მეთვალყურეობით ხორციელდება, ჯერჯერობით ხელშესახები შედეგი არ გამოიღო. ასეულ ათასობით ლტოლვილი ვერ ბრუნდება მშობლიურ სახლებში, ხოლო სეპარატისტები არანაირ დათმობაზე არ მიდიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მათ სთავაზობს ავტონომიის ყველაზე მაღალ სტატუსს ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც კი საერთოდ შესაძლებელია საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით.

პარლამენტის თავმჯდომარე სიტყვით გამოვიდა „ჩემისტ ქლაბის“ წინაშე, აგრეთვე, საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტში.

გუშინ საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ნიუ-იორკიდან გამოემგზავრა.

პარლამენტის პრესსამსახური.

SIC!

გასროლა, რომელიც ღალატზე მეტია

კვირას, 5 აპრილს ზუგდიდში მომხდარი ტრაგედიის ექო ისევ ხმიანობს და, ალბათ, კარგა ხანს კიდევ იხმიანებს.

მეორე დღეს ტელევიზიის ერთ-ერთი არხით იქ დაჭრილი ახალგაზრდა გვიჩვენეს: ყველაფერი ხელისუფლების მოწყობილია, შევარდნაძეს შევაგინებდი, აქ მყოფი ქალებისა რომ არ მერიდებოდესო.

ადამიანურად მე შემეცოდა ის ყმაწვილი. როცა ადამიანს ასეთი ბრმა სიძულვილი აქვს ვინმესი, როცა ასეთი საშინელი ურწმუნო და დაუნახავია, არ შეიძლება არ შეგეცოდოს.

მაგრამ უფრო შემეცოდა პრეზიდენტი, რამაც, ალბათ, ყველაზე მეტად განიცდის მომხდარს, რამაც დარტყმა მიაყენა (უფრო სწორად, დარტყმის ცდა იყო) ეროვნული შერიგების მისეულ ძალისხმევას. იმაზე დიდი ცოდვა რა იქნება, კაცს დააბრალო ის, რის წინააღმდეგაც მთელი არსებით იბრძვის.

ამან მიბიძგა მომხდარის შესახებ კომენტარი მეთხოვა სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ჯემალ გახოკიძისთვის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას თანამდებობრივად ევალება ყველაფერი იცოდეს, მეორეც, ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა თებერვალში მოლაპარაკებებს ჯიხაშკარში, რომელიც მაშინ კი დასრულდა უსისხლოდ, მაგრამ ახლა ასეთი საშინელი გაგრძელება მოჰყვა.

იხ. მე - 2 გვ.

„ამით საბოლოოდ დამთავრდება ძველი სისტემის დემონტაჟი“ — ასე შეაფასა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ კანონპროექტი „საკრებულოების არჩევნების შესახებ“, რომელსაც დღეს საყოველთაო განხილვისათვის ვთავაზობთ ჩვენს საზოგადოებრიობას.

იხ. მე-5 - 6 გვ.

პროექტი

საქართველოს კანონი

საკრებულოების არჩევნების შესახებ

რწმენა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ განდგომილი ბერი ევტიქი (შველიძე) დაუბრუნდა დედა-ეკლესიას და საქართველოს საპატრიარქოში გაგზავნა წერილი, რომელშიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს შენდობას სთხოვს თავისი საქციელის გამო.

გთავაზობთ მამა ევტიქის მიერ დაწერილ ვრცელი წერილის შემოკლებულ ვარიანტს. სრული სახით ეს წერილი ბროშურად გამოიცემა.

ანტისქიზმატიკონი

მძიმე განსაცდელის ჟამი უდგას ქრისტეს ეკლესიას. როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც ცხონების მტერი ეშმაკი ცდილობს მის მოსპობას, ოღონდ მზაკვარმა შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა და მეთოდები, უაღრესად დახვეწილი ვერაგობით შენიღბა თავისი საშინელი მიზანი, რაც შეიძლება მეტი ადამიანი უკუაქციოს ეკლესიისაგან, ხოლო ეკლესიაში მყოფი მორწმუნე ქრისტიანები დააბრკოლოს და გაიყვანოს მისი წიაღისაგან; რადგან ეკლესია წარმოადგენს ხსნის ერთადერთ კიდობანს და სული წმიდის მადლთან ზიარების ერთადერთ წყაროს. წმინდა მამები ამბობენ, რომ ეკლესიის გარეთ მყოფთათვის ცხონება ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელი იყო გადარჩენა მათთვის, რომლებიც წარღვნის დროს ნოეს კიდობანში არ იმყოფებოდნენ.

იხ. მე - 3 გვ.

ინფორმაცია

კიდევ უფრო გაღრმავდება ურთიერთხელსაყრელი, პარტნიორული თანამშრომლობა

7 აპრილს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა გერმანიის ბუნდესტაგისა და საქმიანი წრეების დელეგაციას ბუნდესტაგის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის ფრიდჰელმ ოსტის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დინამიური განვითარებით გერმანია საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულშია, ხოლო საგარეო-სავაჭრო ბრუნვა გასული წლის მონაცემებით დაახლოებით 41,8 მილიონ დოლარს შეადგენს.

შეხვედრაზე ისაუბრეს სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის დარგებში ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე.

სახელმწიფო მინისტრმა უპასუხა საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კონკრეტულ შეკითხვებს.

„ავაზი-ბარგამი“ თანამშრომლობას გვთავაზობს

არაბთა გაერთიანებული საამიროების მრავალდარგოვან ფირმა „ავაზი-ბარგამს“, — არაბულ სამყაროში „მერსედესის“ მთავარ წარმომადგენელს, — ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მიზნით განზრახული აქვს საქართველოში სავაჭრო კომპანიის შექმნა, ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროგრამების დამუშავება და განხორციელება, — განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა აბდულ კაბარ ბარგამიმ 7 აპრილს სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან შეხვედრაზე.

სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა დადებითად შეაფასა არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან პარტნიორული ურთიერთობის პერსპექტივა.

ცხინვალში ორენოვანი გაზეთი გამოვა

უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლუდვიგ ჩიბიროვმა გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც საინფორმაციო სააგენტო „ირპრესის“ დირექტორს ანატოლი ქაჟიევს დაევალა ერთი თვის ვადაში მოამზადოს და წარმოუდგინოს დამფუძნებელი დოკუმენტი ქართულ-რუსულენოვანი გაზეთის „ირ“ (ოსეთი) გამოცემის შესახებ. ამ პერიოდული ორგანოს მთავარი ამოცანა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების ყოველმხრივი ხელშეწყობა იქნება.

ანატოლი ქაჟიევი ცნობილი ჟურნალისტი და მწერალია. იგი დღემდე რედაქტორობდა გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას“.

„ასეთი გაზეთის დაარსება მარტო ჩემი იდეა არ არის — „საქართველოს რესპუბლიკასთან“ ურთიერთობამ აქ თავისი დადებითი როლი შეასრულა. იმედი გვაქვს, რომ გაზეთის პოლიგრაფიული ბაზის მოწყობაში დაგვეხმარებიან ჩვენი ქართველი კოლეგები“, — განაცხადა ანატოლი ქაჟიევმა.

ელცინმა შევარდნაძის წინადადებას დაუჭირა მხარი

ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების დამატებითი ღონისძიებების თაობაზე დოკუმენტის გამოკითხვის წესით გაფორმებას მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და ამჟამად მიმდინარეობს ტექნიკური საკითხების გადაწყვეტა. ასე რომ, მოსალოდნელია უახლოეს ხანებში გადაწყვეტილების მიღება. იგი მეიცავს როგორც ზოგადად კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე, განსაკუთრებით გალის საკითხის გადაწყვეტის მნიშვნელოვან დებულებებს.

ზუგდიდი ჩვეულებრივი, ნორმალური რიტმით ცხოვრობს

„სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ზუგდიდში, 5 აპრილს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა, რომლის წესები დღესაც მოქმედებს, სინამდვილეს არ შეეფერება“, — განუცხადა გუშინ „მოამბე-ექს-პრესს“ ქალაქ ზუგდიდის მერის მოადგილემ გოჩა ქობალიამ.

მისივე თქმით, ზუგდიდის მერიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანოებში ამ თემაზე ბევრი ლაპარაკი არავის მოსვლია აზრად. ზუგდიდის ვიცე-მერის გოჩა ქობალიას განცხადებით, დღეს, ისევე, როგორც გუშინ, ზუგდიდი ჩვეულებრივი, ნორმალური რიტმით ცხოვრობს.

იუნისეფმა 1.5 მილიონი დოლარი გამოუყო საქართველოს

7 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა იუნისეფის აღმასრულებელი ფონდის დირექტორს ბორის ტოლსტოპიატოვს.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა იუნისეფის ხელმძღვანელობას იმ დახმარებისათვის, რაც ამ ორგანიზაციამ გაუწია საქართველოს 1993 წლის აპრილიდან დღემდე. ეს ორგანიზაცია ჩვენი ქვეყნისათვის გაწეული დახმარების მოცულობის მიხედვით ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და განათლების სფეროებში საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია. შეხვედრაზე სტუმარმა განაცხადა, რომ იუნისეფმა 1,5 მილიონი დოლარი გამოუყო საქართველოს სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად.

კოდორის ხეობას ყურადღება არ მოაკლდება

7 აპრილს გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მარშანდელი წლის განმავლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქ მყოფი მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

კოდორის ხეობაში შენობების, ხიდების — ჭუბერ-საკენისა და მიდა გვების აღდგენით-სამშენებლო სამუშაოებს, მოსახლეობის სასურსათო და არასასურსათო საქონლით მომარაგებას და ადგილზე შეტანას ახორციელებდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციები.

საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა დანიშნა ვერტმფრენის სამგზავრო რეისი ქუთაისიდან კოდორის ხეობაში.

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ განახორციელა შრომატევადი სამუშაოები კოდორის ხეობაში რადიოპროგრამების მიღების, რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად, გამოვიდა გაზეთი „კოდორი“.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა განახორციელეს პროგრამები ხეობის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და სისტემის მუშაკთა შრომითი ანაზღაურების გაზრდის შესახებ.

კრიმინოგენური ვითარების ნორმალიზაციისათვის ხეობაში შეყვანილია დამატებითი ძალები. მივლინებული არიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და გულრიფშის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კოდორის ხეობაში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებლად უნდა გაგრძელდეს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება.

კომისია გააგრძელებს მუშაობას პროექტზე — საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წელს სოციალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „ბაგ“, „მოამბე-ექსპრესმა“.

დამშვიდობება

მშვიდობით და გმადლობთ!

საქართველომ უკანასკნელ გზაზე გააცილა გივი კარტოზია. დიდი სპორტსმენი 7 აპრილს დაკრძალეს თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე.

იგი გამოასვენეს სპორტის სასახლიდან. უწყვეტი იყო ხალხის ნაკადი სამგლოვიარო გვირგვინებით მორთულ დარბაზში, რომელიც ამ სახელგანთქმული ფალავნის არაერთი ბრწყინვალე გამარჯვების მოწმე იყო. იმათ შორის, ვინც იქ შეიკრიბა, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ გივი კარტოზიასათვის, იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი მოჭიდავეები, ცნობილი ახალგაზრდა სპორტსმენები, ქვეყნის ინტელიგენციის, საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მრავალი სტუმარი, რომლებიც სპეციალურად ჩამოვიდნენ თბილისში, რათა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ გივი კარტოზია.

სამშობლოს სასიქადულო შვილთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

ამ დღეს საქართველო ეთხოვებოდა ადამიანს, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო ეროვნული და მსოფლიო სპორტის განვითარებას, მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართულ საჭიდაო სკოლას.

იხ. მე - 7 გვ.

სასამართლო

სინამდვილეს ვერავინ გააქარწყლებს

როგორც ცნობილია, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობა, კონკრეტულად კი, დანაღმული „ნივის“ აფეთქება ბრალად ედება მაშველთა კორპუსის ყოფილ თავმჯდომარეს გიგა გელაშვილს. ჯაბა იოსელიანისა და კიდევ 14 პირის პროცესზე, რომელიც ახლა საქართველოს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობს, განსასჯელი ამ ბრალდებას უარყოფს. ამბობს, — იმ დღეს, პარლამენტში ვიყავი, ვნახე ვახტანგ ბეგიაშვილი, ლუიზა მაკიაშვილი და სხვები, მაგრამ აფეთქებიდან კარგა ხნით ადრე, იქიდან წავედიო.

წინასწარი ძიებისას ეკონომისტმა, პარლამენტის მწვანეთა ფრაქციის წამყვანმა სპეციალისტმა დავით ლორთქიფანიძემ ამ ეპიზოდს ნათელი მოჰფინა, — აფეთქებისას პარლამენტთან გიგა გელაშვილის ყოფნა დაადასტურა. საჯარო ჩვენებისას კი მისმა არგუმენტებმა აქა-იქ ეჭვი დაბადა. ეჭვი კი, დიდია იგი თუ პატარა, მაინც გულს ღრღნის. ამიტომ იგი უნდა გაიფანტოს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს გაზეთს განმარტება მისცა გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ **ზიზლა აბულაშვილმა.**

იხ. მე - 8 გვ.

ლარის კურსი

1871653

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 8 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.2248 ლარი
გერმანული მარკა	1	0.7261 ლარი
აშშ დოლარი	1	1.3350 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2166 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0539 ლარი
რუსული რუბლი	1	0.2177 ლარი

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ბარში: ღამით +7+12;
დღისით +23+28
მთაში: ღამით +1+6;
დღისით +20+25
მაღალ მთაში: ღამით -1+4;
დღისით +13+18.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ,
ბარში: ღამით +6+11;
დღისით +23+28
მთაში: ღამით 0+5;
დღისით +19+24
მაღალ მთაში: ღამით 0-5;
დღისით +15+20;

თბილისში:
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +9+11; დღისით +26+28.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

უკანასკნელ საათს

მოსკოვში სასტუმრო „ცენტრალნაიაში“ სპეცდანიშნულების ჯგუფმა გაანეიტრალა ცრუ ტერორისტი ვიქტორ ბულოვი, რომელმაც გაჭირვებული საყოფაცხოვრებო პირობების გამო მიმართა ასეთ ბლეფს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტური და „იაბლოკოს“ ფრაქციები კვლავ კატეგორიულად უარყოფენ სერგეი კირიენკოს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე. სამაგიეროდ ჟირინოვსკის ფრაქცია მზად არის ხმა მისცეს ახალგაზრდა პრემიერს.

სომხეთის ახალი პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის ინაუგურაცია გაიმართება 9 აპრილს სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების სპეციალურ სხდომაზე.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა კარენ დემირჩიანმა განაცხადა, რომ რჩება პოლიტიკურ ასპარეზზე. მან თანამოქალაქეებს მოუწოდა დაივიწყონ საარჩევნო ვნებათაღელვა და ააშენონ თავისუფალი სომხეთი.

პრეზიდენტი

საქართველო-თურქეთი: თანამშრომლობის განმტკიცების კურსი უცვლელია.

(პირველი გვერდიდან)

დაწყებული და საუკეთესო ტრადიციად ჩამოყალიბებული თანამშრომლობა უფრო მასშტაბურად განვითარდება. ამის მტკიცე საფუძველს იძლევა არსებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის სამართლებრივი ბაზა და, რაც მთავარია, პრაქტიკული საქმიანობის საინტერესო გამოცდილება, რომელიც თითქმის ყველა სფეროში დაგროვდა. საქართველოს პრეზიდენტი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აფასებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის პირად წვლილს და მიაჩნია, რომ სწორედ საქართველოსადმი მისი პირადი დამოკიდებულება იყო საუკეთესო სტიმული ორი ქვეყნის როგორც ორმხრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობის ასეთ დონეზე განვითარებისათვის. ამ მხრივ უაღრესად წარმატებული და ნაყოფიერი იყო საქართველოში თურქეთის პრემიერ-მინისტრის მესუთ ილმაზის ამასწინანდელი ვიზიტიც.

საქართველოს პრეზიდენტმა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობას „ბისეკის“ ფარგლებსა და ევროპულ სტრუქტურებში. რაც შეეხება ორმხრივი ურთიერთობის პრიორიტეტულ სფეროებს, როგორებიც არის ტრანსპორტი, ნავთობსადენი და სხვები, მათი განვითარების პერსპექტივა თანაბრად ხელსაყრელია ორივე ქვეყნისათვის, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება სამხედრო თანამშრომლობას, საქართველოს პრეზიდენტის აზრით, ეს სწორედ ის სფეროა, რომელიც განსაკუთრებით ზუსტად ასახავს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დონეს.

ედუარდ შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა ამას წინათ სტამბოლში გამართულ შავი ზღვის აუზის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას და მადლობა გადაუხადა თურქეთის ხელისუფლებას აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესისადმი მხარდაჭერისათვის. იგი შეეხო მდინარე ჭოროხზე კაშხლის მშენებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ შეშფოთებას სანაპირო ზოლზე, განსაკუთრებით, აჭარის ტერიტორიაზე, შესაძლო უარყოფითი გავლენის შესახებ, და იმედი გამოთქვა, რომ კაშხლის გახსნამდე კიდევ დაზუსტდება გარკვეული დეტალები და შეიქმნება კაშხლის ეკოლოგიური უსაფრთხოების მეტი გარანტიები. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სავსებით შესაძლებელი და რეალურია, გამართლდეს პრეზიდენტ დემირელის სიტყვები: „ეს კაშხალი ყველა ქვეყნის სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს“.

აჰმედ ბურაკ გიურსელმა დაადასტურა, რომ თურქეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობას, რადგან ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს როგორც ისტორიული წარსული, ისე თანამედროვე სტრატეგიული მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, ახლადდანიშნული ელჩის საქმიანობის მთავარი მიმართულება, როგორც თავად განაცხადა, იქნება მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება ამ ურთიერთობის საფუძველი კი, თურქი დიპლომატის აზრით, უნდა იყოს დემოკრატიის, ტერიტორიული მთლიანობისა და ერთმანეთის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების განუხრელი დაცვა.

საქართველო-გერმანია: წინ დიდი პერსპექტივებია

საქართველოსა და გერმანიას შორის არსებული მრავალმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე იმსჯელეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და გერმანიის ბუნდესტაგის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარემ ფრიდჰელმ ოსტმა 7 აპრილს გამართულ შეხვედრაზე.

გერმანელი პარლამენტარი მისი ქვეყნის მეწარმეთა წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად ეწვია ჩვენს ქვეყანას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესაძლებლობათა შესწავლისა და საქმიანი პროექტების შემუშავების მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გერმანიასთან მეგობრობამ ყველა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის ხასიათი მიიღო. ამასთან, ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, გერმანიამ საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს ქვეყანას ეკონომიკის ცალკეული დარგების, კერძოდ, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება-მოდერნიზაციაში, ჰუმანიტარულ-მატერიალურ დახმარებასთან ერთად, ფედერაციული რესპუბლიკა აქტიურად მუშაობს საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის, დასძინა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. მისი აზრით, სახელმწიფოთაშორისი მრავალმხრივი ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად, გერმანიას შეუძლია უფრო აქტიურად ჩაერიოს ევრაზიის დერეფნის — „აბრეშუმის გზის“ სრულმასშტაბიან რეალიზაციაში.

ფრიდჰელმ ოსტის განცხადებით, ორმა დღემ, რომლებიც მან საქართველოში დაჰყო გერმანელ ბიზნესმენებთან ერთად, თვალნათლივ დაანახა, რომ პარტნიორული ურთიერთობის განვითარებისათვის დიდი პოტენციალი არსებობს, — აღნიშნა ბუნდესტაგის ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარემ. მან საქართველოს პრეზიდენტს აღუთქვა, რომ გერმანიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეშვეობით შეეცდება საქართველოში თავისი ქვეყნიდან ინვესტიციების მოზიდვას.

შეხვედრის შემდეგ გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და ფრიდჰელმ ოსტის თანხლებ გერმანელ მეწარმეთა ხანმოკლე საუბარი. საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მეტი დინამიზმით განვითარებას ხელს შეუწყობს გერმანელ და ქართველ ბიზნესმენთა აქტიური კონტაქტები.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სიტუაცია

რას დაგვაკლებს „ჭოროხჰესი“...

საქართველოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკმაო გამოცდილება აქვს და პროფესიონალი სპეციალისტები ჰყავს. მოკლედ, ამ საქმეს ჩვენში კარგად იცნობენ. ისიც იციან, წყალსაცავებს რა სიკეთისა და ზიანის მოტანა შეუძლიათ ჩვენი ეკოსისტემისათვის.

ამიტომაც თურქეთში, მდინარე ჭოროხზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის და წყალსაცავის მშენებლობის საკითხს ჩვენში დღეს დიდი ყურადღება ეთმობა. თუმცა ინფორმაციის სიმწირის გამო დაბეჯითებული აზრი ჯერ გამოკვეთილი არ არის.

საყურადღებოა, რომ მდინარე ჭოროხზე კაშხლის მშენებლობის თაობაზე საუბარი ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პერიოდში, 15-20 წლის წინათ დაიწყო. მაშინ ეს საკითხი ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო გარკვეული პერიოდით დაკონსერვდა...

დღეს კი თურქეთი უკვე გამზადებული პროექტით ჭოროხზე, რამდენიმე კასკადის და საკმაო მოცულობის წყალსაცავის აგებას აპირებს. მშენებლობა უახლოეს ხანში დაიწყება.

მსოფლიოში ასეთი გრანდიოზული მშენებლობების თაობაზე უარყოფითი დამოკიდებულება, აშენდეს თუ არა იგი, ერთმნიშვნელოვნად აღარ დგას. ჰიდრომშენებელთა აზრით, დღევანდელი სამშენებლო ინდუსტრია, სამეცნიერო მიღწევები და მეთოდები, ბუნებაზე მათ საზიანო ზეგავლენას მინიმუმამდე ამცირებს, თუმცა საბოლოოდ ისინიც არ უარყოფენ, რომ ასეთი ჰიდრონაგებობა გარემოს ეკოლოგიურ ვითარებაზე მაინც სერიოზულად მოქმედებს.

საქართველოს დაინტერესება თავის ზღვისპირა რეგიონში ასეთი მოცულობის წყალსაცავის მშენებლობისადმი მეზობლის გაკვირვებასა და გაოცებას სულაც არ უნდა იწვევდეს.

თურქი პოლიტიკოსები და სპეციალისტები, როგორც საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ 6 აპრილს პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩვენთან სათანამშრომლოდ მზად არიან.

ქალბატონი ნინო ჩხობაძე, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი მერაბ ჩხენკელი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, სხვა ოფიციალური პირები და სპეციალისტები ახლახან დაბრუნდნენ თურქეთიდან, სადაც ჭოროხზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხის და მასთან დაკავშირებით ქართული მხარის პოზიციისა და პრობლემების თურქი კოლეგების გასაცნობად იმყოფებოდნენ (ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლები და სპეციალისტები უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ თურქეთის მხარეს).

თურქი სპეციალისტები ყველა იმ სადავო საკითხს, რასაც ქართული მხარე აყენებს, ყურადღებით ეკიდებიან და მზად არიან, ისინი ერთობლივად განიხილონ.

როგორც ჩანს, დღეს გარკვეული არ არის, მაინც რა ზიანს მიაყენებს (თუნდაც სარგებელს მოუტანს), მშენებარე კაშხალი მდინარე ჭოროხის აუზს, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს, კონკრეტულად რა დასაბუთებული პრეტენზია აქვს ჩვენს მხარეს.

საერთოდ კი პრესკონფერენციაზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, ჩვენი სპეციალისტები ხეირიანად არც კი იცნობენ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს. გაურკვეველია როდის იწყება და საერთოდ რა მოცულობის წყალსაცავი აიგება.

თუმცა ერთი საკითხი მაინც ნათელია, მერაბ ჩხენკელის განმარტებით მდინარე ჭოროხზე კაშხალი საქართველოს საზღვრიდან 90 კილომეტრის დაშორებით უნდა აშენდეს. წყალსაცავი ჩვენს ტერიტორიას ვერ მოსწვდება.

პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ჩვენი მხარე ამ საკითხს კიდევ დაუბრუნდება. ამ დღეებში თურქი სპეციალისტები ბათუმში ჩამოვლენ და ქართველ ექსპერტებთან ერთად იმ პრობლემურ საკითხებზე იმუშავებენ, რომელიც ჩვენს საზოგადოებას აღელვებს.

მანამდე კი, ვიდრე სპეციალისტები საბოლოო დასკვნას არ გააკეთებენ, რას მოგვიტანს ჭოროხის ჰიდროელექტროსადგური, წინასწარ რაიმე კონკრეტულ შედეგებზე საუბარი ძნელია.

შოთა მაჭარაშვილი.



განცხადება

ეროვნული თანხმობა-ერთადერთი გარანტია

საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამია:

საქართველოში მცხოვრები თითოეული ჩვენი თანამოქალაქე შეძრწუნებულია 5 აპრილს ქალაქ ზუგდიდში მომხდარი ტრაგედიით. ის, რაც სამეგრელოში დატრიალდა, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ტერორისტული აქტების გაგრძელებაა. სწორედ ამიტომ, მომხდარი დანაშაული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოსა და ქვეყანაში მიღწეული სტაბილურობის წინააღმდეგაა მიმართული. ამავე დროს, ეს ფაქტი ადასტურებს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული შერიგების პროცესის მნიშვნელობას. შერიგება არ ნიშნავს საკუთარ პრინციპებზე უარის თქმას — ეს არის ერთიანი ძალისხმევა ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისთვის. წინა წლების ცნობილი მოვლენების ფონზე შერიგების აუცილებლობა ყველაზე მეტად ალბათ სამეგრელოში შეიგრძნობა, რეგიონში, რომლის მოსახლეობამ ამჯერადაც ჩვეული სიბრძნე და თავშეკავება გამოიჩინა, არ აჰყვა განხორციელებული დანაშაულის შემდეგ მოსალოდნელ პროვოკაციებს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები საკუთარი ვიწროპარტიული ამბიციების დაკმაყოფილების მიზნით ჩვენი თანამოქალაქეების პირადი ტრაგედიითა და საქართველოს ზოგიერთ რეგიონში არსებულ პრობლემებზე სპეკულირებით ცდილობენ შერიგების პროცესის დისკრედიტაციას.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქვეყნის მოსახლეობას, ყველა პოლიტიკურ ძალას კონსოლიდაციისაკენ, რადგან საერთოეროვნული თანხმობის მიღწევა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების ერთადერთი გარანტიაა.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს 5 აპრილს ქ. ზუგდიდში დატრიალებული ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულთა ოჯახებს.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გაუგებარი რეაქცია

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პრესისათვის გაავრცელა განცხადება. მასში ნათქვამია:

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გახდა ცნობილი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო ამა წლის 8 აპრილისათვის აპირებს განიხილოს საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების უძრავი ქონების ობიექტების საქართველოსათვის გადაცემის თაობაზე რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სერგეი კირიენკოს გადაწყვეტილების შესახებ. გაოცებას იწვევს ის, რომ ეჭვქვეშ დგება ამგვარი აქტის კანონიერება.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მიგვაჩნია შევახსენოთ, რომ მთელ იმ უძრავ ქონებასთან ერთად, რომელსაც რუსეთის სამხედრო ბაზები განაგებენ საქართველოში, აღნიშნული ობიექტები არის საქართველოს სახელმწიფო საკუთრება და რუსეთის მხარეს ისინი გადაცემული აქვთ დროებით საფუძველზე. ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს მხარის ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე არ არის გადაწყვეტილი კომპენსაციის საკითხი და რუსეთის ჯარები სარგებლობენ უძრავი ქონებით, მათ შორის — 18 ათას ჰექტარზე მეტი საერთო ფართობის მიწის ნაკვეთებით, რომელთა იჯარის გადასახდელი აღირიცხება 1991 წლიდან. არ არის დამუშავებული, აგრეთვე, გარემოსადმი ეკოლოგიური ზიანის საკითხიც, რომელსაც რუსეთის სამხედრო ბაზები აყენებდნენ და აყენებენ საქართველოს ტერიტორიას თავისი ყოფნით.

არ არის გადაწყვეტილი, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და სასაზღვრო ჯარების მოძრავი სამხედრო ქონების (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები, ავიაცია, საჰაერო თავდაცვის საშუალებები, სასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებანი და ა. შ.), ღირებულების ანაზღაურების საკითხი, რაც საერთო ჯამში მილიარდობით ამერიკული დოლარით აღირიცხება და, რომელიც რუსეთმა საქართველოს მხარის დაუკითხავად გაიტანა. საბჭოთა კავშირის ყოფილი სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, საქართველოს გადაეცა ამ ქონების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

რუსეთის სამხედრო ბაზების სარგებლობაში არსებული სხვა უძრავი ქონების ნაწილის გადაცემის საკითხი დაამუშავეს და საბოლოოდ გადაწყვიტეს მხარეებმა. ეს დოკუმენტურად დაფიქსირდა საქართველო-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხთა კომისიის 1997 წლის 8-9 დეკემბრის მეორე სხდომის ოქმით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს დელეგაციათა 1998 წლის 4-8 იანვრის მოლაპარაკების ოქმით.

არსებითად, საქმე ეხება საქართველოსათვის 10 ობიექტის გადაცემას (საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების მიერ დროებით დაკავებული სამხედრო ობიექტების საერთო რაოდენობა 2 ათასს აღემატება), რომლებიც სადღეისოდ რუსეთის სამხედრო ბაზებს არ სჭირდებათ და რომელთა შენახვა გაუმართლებელ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ამ ფონზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს რეაქცია, სხვა რომ არა იყოს რა, გაუგებარია და ამას სხვა ვერაფრად მივიჩნევთ, თუ არა ცდად, გაართულონ ორმხრივი ურთიერთობის მოწესრიგების ისედაც ძნელი პროცესები ისეთ საფრთხილო სფეროში, როგორიცაა სამხედრო თანამშრომლობა, სადაც ისედაც ბევრი მტკივნეული და გადაუჭრელი საკითხია.

საქართველოს მხარე გამოთქვამს იმედს, რომ საღი აზრი იმძლავრებს და საქართველოც და რუსეთიც, როგორც ამჯერად, ისე შემდგომშიც გამოიჩენენ სათანადო სიბრძნესა და კეთილ ნებას, რათა ზოგჯერ წამოჭრილმა გაუგებრობამ გავლენა არ მოახდინოს ორი ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობასა და თანამშრომლობის განვითარებაზე.

საქინფორმი.

სავალუტო ბაზარზე არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, განვლილ კვირაში შიდა სავალუტო ბაზარზე არსებითი ხასიათის ცვლილებები არ დაფიქსირებულა. ოფიციალური მონაცემებით, 1 აშშ დოლარის შესყიდვის კურსმა 1,333, ხოლო გაყიდვის კურსმა — 1,336 ლარი შეადგინა. კვირის ბრუნვამ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 1,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა კვირის განმავლობაში კომერციული ბანკებისაგან 1,2 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, ხოლო ინტერვენციების საერთო მოცულობამ მხოლოდ 265 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.

უცხოური კომპანია გაფართოებას აპირებს

საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში გახშირდა უცხოური ფირმების წარმომადგენლობის გახსნა. კორეული ავტოგიგანტის კომპანია „ჰიუნდაი მოტორსის“ წარმომადგენლობის „ვილიამა მოტორსის“ თბილისში გახსნა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართველი მომხმარებლისათვის ამ კომპანიის საკმაოდ მაღალხარისხოვანი ტექნიკური აღჭურვილობის სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.

პროდუქციის ზრდის ტემპი 135 პროცენტია

წლეულს პირველ კვარტალში მანქანათმშენებლობის დარგის საწარმოების პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 135 პროცენტს შეადგენს. სააქციო საზოგადოება ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ გამოუშვა 12 ავტომობილი, 480,6 ათასი ლარის ღირებულებისა. გარდა ამისა, ქარხანამ დაამზადა 461,9 ათასი ლარის ღირებულების მაკომპლექტებელი დეტალები, რომელიც იტალიის ფირმას მიეწოდა.

ქუთაისის სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსში“ მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები წყალსაქაჩი დანადგარების ძრავების წარმოების ასათვისებლად. ძრავის საცდელი ნიმუშის გამოცდის შედეგები დამაკმაყოფილებელია. ქარხანა უახლოეს პერიოდში მის სერიულ წარმოებას დაიწყებს.

საგადასახადო კოდექსი ენერგეტიკის განვითარებას შეუწყობს ხელს

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და დამატებები ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის განვითარებას ითვალისწინებს. მოსახლეობისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით დღგ-სგან თავისუფლდება მაზუთი, ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის იმპორტი.

ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის აზრით, შესაძლოა ეს ფისკალური თვალსაზრისით რთულად გადასადგმელი ნაბიჯი იყოს, ვინაიდან სახელმწიფო სერიოზულ შემოსავლებზე ამბობს უარს. მეორეს მხრივ, სახელმწიფო ფრთხილად ეკიდება ელექტროენერგიაზე საფასურის გაზრდას, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მოსახლეობას და მთლიანად ენერგეტიკულ სექტორს, ვინაიდან ამ გადასახადის შემოღება მნიშვნელოვნად გაზრდის ტარიფს.

დაირგვება 10 ათასამდე ნერგი

წლეულს გამწვანება-გატყევების ერთთვიურის მოწყობის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ტყის ფონდის ფართობებზე სამუშაოები დაწყებულია კახეთის, იმერეთისა და ქვემო ქართლის რაიონებში. ახალი ნარგავები უკვე გაშენდა 80 ჰექტარის ფართობზე. გამეჩხერებული ნარგავები შეივსო 370 ჰექტარზე. სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებს გარეთ რაიონების გამგეობებისა და ქალაქების მერიებს ბაღებისა და მაგისტრალური გზების გასამწვანებლად გამოეყოთ სხვადასხვა სახეობის 10 ათასამდე ნერგი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „იბერიამ“, „ბგამ“.

SIC!

(პირველი გვერდიდან)

გოჩა ესებუას დაკრძალვის დღეს, შესაძლებლობის ფარგლებში სიფრთხილე გამოიჩინა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც, უშიშროების სამინისტრომაც და ადგილობრივმა სამხარეო ხელმძღვანელობამაც. მიზანი ერთი იყო: დაკრძალვა მომხდარიყო წესისამებრ, ქრისტიანულად, გაურთულებლად, უექსცესოდ. მთელი ჩვენი ძალისხმევა აქეთკენ იყო მიმართული.

სხვადასხვა ძალამ რამდენიმე ვარიანტი შესთავაზა ჭირისუფლებს დაკრძალვის რიტუალისა. იყო წინადადება მიცვალებული დაესვენებინათ ქალაქის ცენტრში, გაემართათ მიტინგი და ამის შემდეგ დაეკრძალათ. იყო სხვა წინადადებებიც, მაგრამ ჭირისუფლებმა არ ისურვეს ასეთი რამ და გადაწყვიტეს ჩვეულებრივი წესით დაეკრძალათ, როგორც ქრისტიანებშია მიღებული.

ძალზე კარგად გვესმის ამ ტრაგიკული ოჯახის მწარე ხვედრი. მუშაკები თავიდანვე გავაფრთხილეთ (რამდენადაც ვიცი, გაფრთხილებული იყვნენ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებიც), რომ ჩვენი იქ ყოფნით, საქმეში ჩარევით დაძაბულობა არ გამოგვეწვია. ისედაც საკმაო გაღიზიანება იგრძნობოდა გოჩას ტრაგიკული აღსასრულის გამო. აქტიური ჩარევა, მე პირადად, ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნდა. თუმცა ვალდებული ვიყავით, სიფხიზლე გამოგვეჩინა, რათა გარკვეულ ძალებს იქ რაიმე არ მოეხდინათ და ეს მძიმე დღე კიდევ უფრო არ დაემძიმებინათ. დაძაბული დამოკიდებულების მიუხედავად, გარკვეული კონტაქტი გვქონდა ოჯახთან.

დასაწყისში ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა. მიცვალებული დაახლოებით 5 საათზე გამოასვენეს სახლიდან.

სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში რამდენიმე ხნით ადრე მივიდა 19 თებერვლის აქციაში გოჩა ესებუასთან ერთად მყოფი ცნობილი „კინგ-კონგა“, გვარად მესხია. მისი ძმა პრაქტიკულად მონაწილეობდა 9 თებერვლის აქციაში (რაც შეეხება იმას, თვითონ მონაწილეობდა თუ არა, ლაპარაკი ჯერ ნაადრევია).

როცა ამ სახლს გაუსწორდნენ პროცესიის მონაწილე ზურაბ შონია და მისი მეგობრები, რომლებიც 19 თებერვლის აქციაში გოჩა ესებუას გვერდით იდგნენ, მესხია სახლიდან გამოვიდა, პისტოლეტით მოკლა ზ. შონია, შემდეგ კი ხელყუმბარა ააფეთქა და კიდევ ოთხი კაცი იმსხვერპლა, 6 კი დასჭრა.

ზ. შონია თავისი ჯგუფით ჯიხამკარში გამოეყო გ. ესებუას. ესებუამ ამ მესხიასა და გვაზავასთან ერთად დატოვა ჯიხამკარში ეს ბიჭები და წავიდა. ზ. შონია და მისი ჯგუფი კი, 12 კაცი, ტყვედ ჩავებარდა დიდძალი იარაღით (ორი „უაზის“ ტიპის ავტომანქანა სავსე იყო).

19 თებერვლის აქციის მონაწილეებში თავიდანვე გამოიკვეთა ორი პოზიცია. პირველი — ესებუა-გვაზავა-მესხიასი — შეურიგებელი; მეორე, ზ. შონიასი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სხვა გზა არ იყო, უნდა დაწყებულიყო ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ისეთი ურთიერთობა, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა თავიანთ სახლებში ეცხოვრათ.

მე 19 თებერვალს ჩავედი ზუგდიდში, 21-ში შევხვდი ზ. შონიას და მის ორ ამხანაგს. რა თქმა უნდა, ეს შეხვედრა მათ შეთანხმებული ჰქონდათ ესებუასთან. განმიცხადეს, რომ სურდათ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულიყო და რამდენიმე წინადადება და ულტიმატუმი წამოაყენეს (ასევე ესებუასთან შეთანხმებული).

წამოყენებული პირობები, ალბათ, გახსოვთ: დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრა ექსპრეზიდენტის წარმომადგენლებთან, საქართველოდან რუსის ჯარის გაყვანა, პოლიტპატიმრების განთავისუფლება.

რა თქმა უნდა, ამისთვის მზად არ ვიყავი. ამიტომ შევპირდი, რომ ვიმუშავებდი ამ მხრივ და გამოვნახავდით საერთო ენას, მთავარი იყო, სისხლი არ დაღვრილიყო.

კიდევ ერთხელ ვიკითხე, ყველაფერი ეს შეთანხმებული თუა ყველასთან-მეთქი. მიპასუხეს, ვართოო ყველასთან შეთანხმებული. ზ. შონიამ კატეგორიულად განაცხადა, ყველა შემთხვევაში წამოვალთ მოლაპარაკებაზე, მოგვეპყრდა, დაერწმუნდით, რომ იარაღით საქმე არ გაკეთდება, ასეთი საქმე საქართველოს არ წაადგება, თუ სისხლი დაიღვარა, ვითარება უფრო დაიძაბებაო. ოღონდ, იქვე აღნიშნა, გოჩა ესებუას მაგიერად ამ საკითხზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, საჭიროა თქვენი მასთან შეხვედრაო.

მართლაც შეხვდით, გ. ესებუამ წამოაყენა თავისი პრეტენზიები. ვუთხარი: ყველაფერი მოხსენდება ხელისუფლებას, ხელისუფლება მომხრეა განიხილოს ნებისმიერი წინადადება, რაც დაკავშირებული იქნება სისხლისღვრის თავიდან აცილებასთან. ეს ჩვენი პრეზიდენტის კატეგორიული დავალება იყო.

გოჩას ეს არ გაკვირვებია, ვისაუბრეთ სხვა საკითხებზეც. მათ შორის 9 თებერვლის შესახებაც.

შევთანხმდით, რომ მე ხელისუფლებას მოველაპარაკებოდი მისი წინადადებების შესახებ.

გასროლა, რომელიც ღალატზე მეტია

ბოლოს ვკითხე: რა ნაბიჯს გადადგამ, თუ ჩვენ დათმობებზე წავედით-მეთქი.

მიპასუხა, ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული არა ვარ, მაგრამ გამორიცხული არ არის თქვენთან ერთად წამოვიდე თბილისშიო.

მერე ითხოვა, იქნებ ის ხალხი გაუშვათ, რომლებიც 9 თებერვლის აქციასთან დაკავშირებით გვყავთ დაპატიმრებული, მე ჩავჯდები მათ მაგიერად, გამოძიების ყველა კითხვას ვუპასუხებო. ფაქტობრივად არ უარყოფდა თავის მონაწილეობას 9 თებერვლის აქციაში, ამასთან, პასუხისმგებლობას გრძნობდა იმათ მიმართ, ვინც უკვე დაპატიმრებული გვყავდა ამ საქმეზე.

ვუთხარი, რომ ძალზე რთული გადასაწყვეტი იყო ახლა ყველას თავედებში გაშვება. ვურჩიე, ხელისუფლებას ჩაბარებოდა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, შევპირდი, რომ გამოძიების დროს დაცული იქნებოდა მისი ყველა უფლება. არავინ დაგაძალებს-მეთქი რაიმე ჩვენების მიცემას, გეყოლება დამცველი, თუ გინდა რამდენიმე, მთავარია შენი საქმე ძიებით წარიმართოსმეთქი. ის ამას მაინცდამაინც უცხოდ არ იღებდა. ვფიქრობ, გარკვეულად შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ სამართლის წინაშე მოუწევდა წარდგომა.

საუბრის დასასრულს ვუთხარი, რაკი შევხვდით ერთმანეთს, იქნებ ერთი მძევალი მაინც გაათავისუფლო, რათა ვირწმუნო, რომ მართლა გსურს საქმე მშვიდობიანად მოაგვარო-მეთქი.

მართლაც შეასრულა ეს თხოვნა — ჩამაბარა პირველი მძევალი.

ჩავთვალე, რომ გ. ესებუასთან შეიძლებოდა მოლაპარაკება და ის შეშფოთება და შიში, რაც მაშინ მქონოდა როგორც უშიშროების მინისტრს, ვაითუ სისხლი დაიღვაროსო, გარკვეულად გამინელდა.

გოჩასთან ეს შეხვედრა ჯიხამკართან, შუა მინდორში მოხდა.

მოვილაპარაკეთ, რომ 2 ავტომანქანით მე მივიდოდი, ორით — ის. სულ — 4-4 კაცი.

შეიძლება არც იყოს გასახსენებელი, მაგრა მაინც ვიტყვი: როცა მისი ბიჭები მანქანებიდან გადმოვიდნენ, კბილებამდე იყვნენ შეიარაღებული ყუმბარმტყორცნებითა და „მუხებით“. ჩვენ კი თითქმის ხელცარიელები ვიყავით. შეწუხდნენ და იარაღი მანქანებში ჩატოვეს.

მერე მოვლენები სწრაფად განვითარდა. გახსოვთ, მოსკოვიდან ნემო ბურჭულაძე ჩამოვიდა ჩაჩავასთან ერთად. გოჩა ყველა საქმის კურსში იყო, პირდაპირ უკავშირდებოდა მოსკოვს. შემდეგ ჩემთან ჰქონდა ხოლმე საუბარი. როცა რაიმე ვარიანტს შევთავაზებდით, ყოველთვის ამბობდა, მაცადეთ, დრო მომეცით, დაველაპარაკები და გეტყვით პასუხსო.

შემდეგ მეორეჯერ შევხვდით. შუაღამე, უკუნი სიბნელე იყო და არც ერთი მხრიდან, აბსოლუტურად არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ რაიმე არ მოხდებოდა.

გარკვეული დროის შემდეგ ჩვენს საუბარში ჩაერთო სახალხო დამცველი დათო სალარიძე. მაშინ კიდევ ერთხელ გავუმეორე, რა გინდ მშვიდობიანად დამთავრდეს ყველაფერი, შენთვის საუკეთესო ვარიანტია ჩაბარება, უფლება მოგეცემა ყველაფერში დაიცვა შენი თავი. რაც მთავარია, გავაფრთხილე, რომ რაიმე ძალების აყოლიება და რაიმე ექსცესების მოწყობა ზუგდიდში, დამღუპველი იქნებოდა არა მარტო ზუგდიდისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. მივანიშნე, ალბათ იცი, რომ ქალაქში სრული სიმშვიდეა და ადამიანებს, უმცირესი გამონაკლისის გარდა, სისხლის დაღვრა არ სურთ-მეთქი.

დიდხანს ვისაუბრეთ. სხვათა შორის, ამ მეორე შეხვედრის დროს თვითონ გოჩამ მითხრა, ჩვენი საუბარი იმით დამთავრდება, რომ მეორე მძევალს კიდევ გადმოგცემთო. გადმოგვცა კიდეც.

საუბრის დროს მწვავე საკითხებსაც შევეხეთ... ვუთხარი, რომ ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ კონსტიტუციურად, არჩევნების საშუალებით უნდა მოხდეს. გაიმარჯვებთ არჩევნებში? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ: მოხვალთ ახალი ხელისუფლება, ახალი მთავრობა. მაგრამ თუ აპირებთ ისევ იარაღით, ისევ ძალით შეცვალოთ არსებული ხელისუფლება, საქართველო ძალადური გადატრიალებების ტრადიციული ქვეყანა გახდება. წარმოუდგენელია, 1991-1992 წლების მიჯნაზე დატრიალებული ამბების შემდეგ უკვე ორი არჩევნები გაიმართა და ახლა კვლავ ძველის აღდგენაზე ოცნებობდე! სხვათა შორის, გოჩა რაღაცეებში მეთანხმებოდა, რაღაცეებში — არა. მას სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდა. მაგალითად, ასახელებდა პიროვნებებს (დღეს მათი გვარების დასახელება არ მინდა), გინდა თუ არა, ისინი უნდა დაჯდნენ ხელისუფლებაშიო და ა. შ.

ბოლოს ვკითხე, მზად იყო თუ არა თბილისში წამომყოლოდა. პასუხის გაცემა გაუჭირდა და შევატყვე, რომ ის მთლად თვითონ არ წყვეტდა ყველაფერს. ვნახოთ, არ არის გამორიცხული, ალბათ მომიწევს მაგ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ესე უცებ თქმა მიჭირს, პასუხს მეგატყობინებთო.

გამომშვიდობებისას კიდევ გავუმეორე, სხვა გზა არ გაქვს, სხვა გზა მიგიყვანს ისეთ წინააღმდეგობებთან, გადაგადგმევინებს ისეთ ნაბიჯს, რაც დაკავშირებული იქნება ახალ დანაშაულთან და ამას არ გისურვებ-მეთქი. მასთან ამ მეორე შეხვედრის წინ საქართველოს პრეზიდენტთან მქონდა საუბარი და მან ასეთი რამ მითხრა: ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ თუ ის ჩაბარდება, მისი გამოძიება წარიმართება ობიექტურად, ყველა წესის დაცვით. ლაპარაკია იმაზე, რომ როცა სასამართლო დაადგენს გოჩას დანაშაულს და დაენიშნება სასჯელის ზომა, მე, როგორც პრეზიდენტი, მის მიმართ პატიების ინსტიტუტს გამოვიყენებ, მუდმივ პატიმრობასა და სრულ უიმედობაზე არ იქნება ლაპარაკიო. მე ეს ყველაფერი გადავეცი ესებუას და ვთხოვე, ამაზე სერიოზულად ეფიქრა.

მან, სამწუხაროდ, ეს ნაბიჯი არ გადადგა და გოჩა გვაზავასა და „კინგ-კონგასთან“ ერთად წავიდა.

ვიცი, ამბობენ, დერეფანი მისცეს და გაუშვესო. მაგრამ ვითომ აზრი არსებითად შეიცვლება თუ ვიტყვით, რომ თვითონ დაადგა გზას და ჩვენ ხელი არ შევუშალეთ?

ხელისუფლების სინდისი იმაში, რაც შემდეგ მოხდა, სუფთაა. ყველაფერი გავაკეთეთ და ვაკეთებდით, რათა გოჩას სწორი ნაბიჯი გადაედგა. მერეც ყველა არხით ვაწვდენდით ხმას, რომ ჩვენი პირობა ძალაში რჩებოდა. ამაოდ.

პირიქით: გვქონდა ცნობები, რომ იგი ახალ ძალებს იკრებდა. როცა 31 მარტს მისი თანამზრახველები დავაკავეთ, სრულიად ახალი გვარები წარმოგვიჩნდა: ზარქუა, კუდავა, თორდია, ნაკაშიძე... გვაზავაც მის გვერდით იყო.

ახლა შონიაზე მინდა ვთქვა. ეს იყო 45 წლის, ცოლშვილიანი ვაჟკაცი, აფხაზეთის ომში ნაომარი. მას სიმხდალე ვერ შევატყვე. პირიქით. მითხრა, ქვეყნის გაერთიანებისთვის მე და ჩემს ამხანაგებს ცოტა რამის გაკეთება კიდევ შეგვიძლია, არავისზე ნაკლები არა ვართ და ხელისუფლებამ გამოგვიყენოს ამ ნაწილშიო.

ეს თავისებურად აღიქვეს იმ ძალებმა, რომლებსაც საქართველოს სიკეთე არ სურთ. დაიწყეს ზურაბ შონიას და მისი ამხანაგების მონათვლა მოღალატეებად. უფრო მეტიც, თითქოს ისინი დამკვიდრდნენ სახელმწიფო უშიშროების სამსახურში.

და აი, ზურაბ შონია როგორც... მოღალატე სიცოცხლეს გამოასალმა მისივე თანამოსაგრე მესხიამ.

დაიღვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, შეურაცხყოფა მიაყენეს მიცვალებულს.

მართალია მესხია იქ, როგორც ვიცი, მარტო მოქმედებდა, მაგრამ იმას არ ნიშნავს, რომ ეს თავიდან ბოლომდე მისი გადაწყვეტილება იყო. გვაქვს ცნობები, რომ მას წამქეზებლები ჰყავდა.

უდავოა, რომ ის, ვინც „კინგ-კონგას“ აქეთკენ უბიძგა, საქართველოს მტერია. კაცი ხუთი თანამოძმის მკვლელად აქციეს.

ხშირად იციან თქმა, ესა თუ ის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ნახელავიაო. რაც 5 აპრილს მოხდა, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მხოლოდ ინატრებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენ თვითონ ვართ ხოლმე ავტორები ასეთი „ნატვრებისა“.

აქვე უნდა ვთქვა ჩვენი ზოგიერთი გაზეთის როლზე რეალობის დამახინჯებასა და ფაქტობრივ წამქეზებლობაში. მაშინ, როცა ქვეყანას უსაშველოდ უჭირს, გადაუდებლად მისახედია უამრავი საქმე, ბატონმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა უშიშროების სამსახურის რეფორმა (და განახორციელა კიდეც), რათა იგი დემოკრატიული ეროვნული სახელმწიფოს უშიშროების სამსახური გახდეს.

იმის ნაცვლად, რომ გაზეთებმა მხარი დაგვიჭირონ, თავს გვესხმიან, ცდილობენ დაგვამცირონ. თქვენს გაზეთსაც ეკუთვნის საყვედური, მართალია არა „თავდასხმებში“, არამედ ჩვენი პრობლემების მიყურისძირებაში...

დამშვიდობებისას გენერალმა ჯემალ გახოკიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა გაერთიანება, შერიგება. სხვა მხრივ ძლიერ, სუვერენულ, დამოუკიდებელ, გამთლიანებულ საქართველოს ვერ ავაშენებთო.

ალეკო ასლანიშვილი.

რწმენა

ანტისქიზმატიკონი

(პირველი გვერდიდან)

თუკი თვალს გადავავლებთ ახალი აღთქმის ეკლესიის ორიათასწლოვან ისტორიას, საცნაური გახდება, რომ ბოროტი ძალა მუდამ ცვლიდა ეკლესიასთან ბრძოლის ტაქტიკასა და მეთოდებს, მაგრამ მიზანი მისი ყოველთვის ერთი რჩებოდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოეწყვიტა ეკლესიის წიაღისაგან, და, მამასადამე, მადლისა და ცხონებისაგან.

* * *

ამის მაგალითია XX საუკუნის დასაწყისში განვითარებული პროცესები, რომელმაც მრავალი სამწუხარო განხეთქილებით დასერა ქრისტეს სხეული – ეკლესია.

მხედველობაში გვაქვს კონსტანტინეპოლის პატრიარქის – მელეტი IV (მეტაქსაკისი) მიერ გატარებული კალენდრული რეფორმა, რომელმაც დაარღვია ეკლესიის ლიტურგიკული ჰარმონია და მრავალი განხეთქილების საბაბი გახდა. ამიტომ იგი უნდა შეფასდეს, როგორც მეტად უარყოფითი მოვლენა. მით უფრო, რომ საეკლესიო კალენდრისა და პასქალიის ხელყოფა აკრძალული და დაგმობილი იყო კონსტანტინეპოლის სამი ადგილობრივი კრების მიერ (რომლებიც XVI საუკუნეში ჩატარდა). ეს მართლაც ტრაგიკული მოვლენა იყო ეკლესიის ისტორიაში.

ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა დამოკიდებულება ამ გაუმართლებელი და მიზანშეუწონელი რეფორმებისადმი იმთავითვე მკვეთრად უარყოფითი იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, მელეტი IV და მისმა თანამდგომმა იერარქებმა, საერო ხელისუფლების მიერ ეკლესიაზე ზეწოლით და იძულებით მაინც გაავრცელეს ე. წ. ახალი სტილი, ანუ შესწორებული იულიანური კალენდარი, რამაც მრევლის აღშფოთება, დაბრკოლება და მრავალი სქიზმის წარმოშობა განაპირობა.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, კალენდრის საკითხი არ ყოფილა დოგმატური მნიშვნელობისა. ამიტომ მისი რეფორმა არ შეიძლება შეფასდეს როგორც ერესში შთავარდნა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ეკლესიათა პოზიცია კალენდრული რეფორმისადმი სხვადასხვაგვარი და ხშირად მკვეთრად უარყოფითი იყო, იგი მაინც არ გამხდარა ადგილობრივი ეკლესიათა შორის განხეთქილების მიზეზად, და საეკლესიო ერთობა შენარჩუნებული იქნა, რადგან კანონიკური დარღვევები, საეკლესიო პრაქტიკის მოდერნიზება და საეკლესიო ცხოვრებაში სეკულარისტული სულისკვეთების შემოჭრა (თუკი სარწმუნოების საფუძვლები და დოგმატები ხელუხლებელია) არ ნიშნავს მწვალებლობაში შთავარდნას. ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა იერარქებს კარგად ესმოდათ ეს და ამიტომ მათ არ გაუწყვეტიათ ევქარისტიული კავშირი ახალ სტილზე მყოფ ეკლესიებთან.

თუმცაღა ახალი სტილის მიღება მეტად უარყოფითი მოვლენაა, რადგან გარდა იმისა, რომ მან დაარღვია ლიტურგიკული ჰარმონია, ამავე დროს იგი საბაბი გახდა მრავალრიცხოვანი განხეთქილებებისა, რომელთა შესახებაც ბევრი დაიწერა, და ახლა კონკრეტულად აღარ შევეხებით ე. წ. ზილოტური სინოდების ჩამოყალიბების ისტორიებს და ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. სქიზმატური პროცესების განვითარება-განვრცობისა, მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს აღვნიშნავთ, როგორც ინფორმაციას განსჯისათვის.

1. ზილოტთამიერი შეფასება ე. წ. ახალი სტილისა და კალენდრული რეფორმებისა ორგვარია: ერთნი მათ მწვალებლობად მიიჩნევენ, ხოლო მეორენი სქიზმად. მაგრამ ორივე შემთხვევაში მათ უნდა აღიარონ, რომ ახალ სტილზე მყოფი ეკლესიები და მათთან ევქარისტიულ კავშირში მყოფი სხვა ადგილობრივი ეკლესიები (რომლებიც ძველ სტილს ინარჩუნებენ) სქიზმატურნი, ან მწვალებლურნი არიან, და, ორივე შემთხვევაში, მადლისაგან განძარცვულად მიიჩნიონ ისინი. უნდა ითქვას, რომ ავქსენტის, ქრიზოსტომოსის, და მათეს სინოდები სწორედ ამგვარ თვალსაზრისზე დგანან და ამას ადასტურებენ ამ სინოდთა მიერ გამოცემული ოფიციალური ცირკულარები, და, აგრეთვე, მათ მიერ საეკლესიო ერთობაში მიღების პრაქტიკა – თავიდან „მირონცხება", (ზოგჯერ ხელმეორედ „ნათლობა"). ხოლო მიტროპოლიტი კიპრიანე თავისებურად განმარტავს კონსტანტინეპოლის ორგზისი კრების XV კანონის ბოლო პუნქტს – მწვალებლობაში ჩავარდნილ ეპისკოპოსთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის თაობაზე, და ასკვნის, რომ სანამ საკრებო განჩინებით არ დაგმობილა ახალი სტილი და ეკუმენიზმი, მანამ ოფიციალურ ეკლესიებში მადლი მოქმედებს, ოლონდ ეკუმენისტ იერარქთა სანქციები, რომლებითაც ისინი განსჯიან მათ მამხილებლებს, არაძალმოსილიაო.

ამგვარი ეკლესიოლოგიაც სრულიად მიუღებელია მართლმადიდებლობისათვის. თუ ეპისკოპოსი მადლმოსილია, მამასადამე, მადლმოსილია მისი ყველა მღვდელმოქმედება. და ვისაც შეჰკრავს მადლმოსილი მღვდელმთავარი (იგულისხმება, რა თქმა უნდა, სამღვდელოების მადლი, და არა პირადი, რამეთუ პირადი მადლი პიროვნულ სიწმიდეზეა დამოკიდებული, და იგი შეიძლება ერისკაცს მეტი ჰქონდეს, ვიდრე ეპისკოპოსს, ხოლო სამღვდლო მადლი კანონიერი ქიროტონიით მიენიჭება მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელო მოდასეს) ქვეყანასა ზედა, იგი კრულ იქნება ცათა შინა. ამგვარი უცნაური და ერეტიკული ეკლესიოლოგიური სწავლებით „მიტროპოლიტი" კიპრიანე თავადვე ამხელს თავისთავს, მაგრამ მისი სინოდის არაკანონიკურობის სამხილად სხვა საბუთებიც არსებობს, რაზეც ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებ.

2. მამასადამე, ავქსენტიანელები მადლისგან განძარცვულად აღიარებენ ოფიციალურ ეკლესიას. მაგრამ, მაშინ გაუგებარია, თუ რატომ შერაცხეს მათ წმინდანად ათონელი ბერი იოსებ მღვიმელი (რომელიც კონსტანტინეპოლის ეკლესიაში მოღვაწეობდა და პატრიარქ ათინაგორას ომოფორქვეშ აღესრულა ამ საუკუნის 60-იან წლებში)? ეს მამა, ზილოტური თეორიების მიხედვით, მწვალებლურ-სქიზმატურ და უმადლო საკრებულოს ეკუთვნოდა, რომელშიც არათუ წმიდათა დასში შეაღსვლა, არამედ ცხონებაც კი შეუძლებელია. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ღირსი მამა – იოსებ მღვიმელი დიდად პატივდებულია ათონის წმიდა მთაზე, მისი წიგნებით ხელმძღვანელობენ სულიერი სრულყოფის გზას შემდგარი ბერმონაზვნები. როგორც ცნობილია, იგი იყო უაღრესად მკაცრი ასკეტი და მოსაგრე. მისი კეთილსურნელოვანი წმიდა ნაწილები დაცულია ათონის წმიდა მთაზე და კუნძულ თასოსზე (საბერძნეთი) მდებარე დედათა სავანეში.

ღირსმა მამამ იოსებ მღვიმელმა ბერებად აღკვეცა არქიმანდრიტი პანტელეიმონი – ავქსენტიანელთა სულიერი ცენტრის – ბოსტონის ფერისცვალების მონასტრის სულიერი მოძღვარი და ცნობილი ათონელი ბერი ეფრემი, ფილოთეოზის სავანის და კიდევ რამდენიმე მამათა და დედა მონასტრის სულიერი მოძღვარი სასწაულებითა და ნიშნებით შემკული მამა. შემდგომში მის ამ ორ მოწაფეთა გზები გაიყარა – არქიმანდრიტი პანტელეიმონი ჯერ საზღვარგარეთის რუსულ ეკლესიას მიეკედლა, ხოლო შემდეგ, 1986 წ. ავქსენტიანელებს შეუერთდა.

ბოსტონის ფერისცვალების მამათა მონასტერში დაცულია ღირსი იოსებ მღვიმელის ხატები, რომელზეც ეს მამა ნიმბითაა გამოსახული, რითაც ავქსენტიანელები თავიანთ თავს თავადვე ამხელენ ეკლესიისაგან განდგომაში.

ბოსტონელები სულიწმიდით შემოსილად იხსენიებენ ესთოგმენის სანის წინამძღვარს მამა ათანასეს, რომელმაც 1965 წელს ევქარისტიული კავშირი გაწყვიტა კონსტანტინეპოლის პატრიარქ ათინაგორა I-თან, როცა ამ უკანასკნელმა სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლოდ 1054 წლის ანათემა ახსნა პაპისტებს.

ისევ გაუგებრობაა – ზილოტები 1924 წელს მოსწყდნენ ოფიციალურ ეკლესიას და მას სქიზმატურ-ერეტიკულ საკრებულოდ მიიჩნევდნენ. მაშ, როგორღა შეიმოსა სული წმიდის მადლით მამა ათანასე, რომელიც ამ საკრებულოში მოღვაწეობდა?

ან როგორ ახსნიან იმ ფაქტს, რომ ოფიციალურ ეკლესიაში გაბრწყინდნენ სასწაულებითა და ნიშებით შემოსილი მამა – ფილოთეოზ ზერვაკოსი (+1981 წ.) იოანე რუმინელი (+1967) რომლის უხრწნი სხეული პალესტინის ერთ-ერთ სავანეშია დასვენებული?

ან რა ძალით აღესრულება ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში აშკარა და პირუთვნელი სასწაულები (ხელშესახები, რეალური, და არა მოჩვენებითი და ილუზორული)? – წმიდა ხატებიდან კეთილსურნელოვანი მირონი გარდამოედინება, ამ ხატთა მიერ ღმერთი სასწაულებსა და კურნებებს აღასრულებს, მაცხოვრის საფლავზე ყოველ წელს, დიდ შაბათს, ხელთუქმნელი ღვთაებრივი ცეცხლი გარდამოდის, წყალი იკურთხევა და წლების განმავლობაში არ ფუჭდება. ამგვარ სასწაულთა რიცხვი უამრავია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. შეიძლება თქვან, რომ სასწაულები არაა ჭეშმარიტების კრიტერიუმი, და რომ სასწაულებს იოგები და ფაკირებიც აღასრულებენ, მაგრამ ილუზორულ ცრუ სასწაულებსა და ღვთისმიერ რეალურ სასწაულებს შორის განსხვავება დიამეტრალურად საპირისპიროა, რამეთუ პირველნი ხალხის საცთურისადმი მიზიდვას, მოტყუებას და წარწყმედას ემსახურებიან, ხოლო მეორენი კი ადამიანთა მოქცევას ჭეშმარიტებაზე და მათ ცხონებას. განა მრეხელობა და ღვთის გმობა არაა იმის გაფიქრება, რომ მაცხოვრის საფლავზე ცეცხლი იმიტომ გადმოდის ყოველწლიურად, რომ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მრევლი იყოს იმის ილუზიაში და ხიბლში, რომ ვითომ ხსნის გზას ადგანან (და ამ დროს ერესში იმყოფებიან მადლსმოკლებულნი, როგორც ამას ზილოტები ამტკიცებენ)? განა შეიძლება ღმერთი თავად აცთუნებდეს და აბრკოლებდეს ცხონების მაძიებელთ და თან ამისთვის იარაღად და ცთუნების ადგილად იყენებდეს წმიდათა წმიდას – მაცხოვრის საფლავს? ნუ იყოფინ!

მე პირადად ველაპარაკე ბოსტონელ ბერებს ამ სასწაულთან დაკავშირებით და მათ დამიდასტურეს – ეს სასწაული ღვთისაგან არისო. სწორედ რომ გასაოცარია, რის საფუძველზე აკეთებენ ზილოტები ოფიციალურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ თითქოს ოფიციალურ ეკლესიაში მადლი არ იყოს?

ზილოტები მოხერხებულად იყენებენ საეკლესიო იკონომიის პრინციპს, ოღონდ მუდამ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. ხოლო ოფიციალური ეკლესიის იერარქთა შეცდომებისა და კანონიკური დარღვევების შეფასებაში უმკაცრესი აკრიბიით ხელმძღვანელობენ.

როცა ზილოტებს ქრიზოსტომოს ფლორინელის გარდაცვალების შემდეგ მღვდელმთავრის კურთხევა დასჭირდათ, სამღვდელმთავრო ქიროტონიის მისაღებად დაუკავშირდნენ რუსეთის ემიგრანტულ ეკლესიას, რომელიც მათგან განსხვავებულ ეკლესიოლოგიურ პრინციპებს იზიარებდა, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის ემიგრანტულმა სინოდმა 1969 წლის დადგენილებით ცნო ავქსენტის სინოდი, რამდენიმე წელიწადში (1974 წ.) ავქსენტიმ გამოსცა ცირკულარი, რომლითაც უმადლოდ გამოაცხადა ოფიციალური ეკლესია და მალე გაწყვიტა კიდეც ევქარისტიული კავშირი რუსეთის ემიგრანტულ ეკლესიასთან.

შეიძლება ოპონენტები შემოგვედაონ და თქვან, რომ ავქსენტიანელებს აქვთ უწყვეტი ქიროტონია, ზედმიწევნით იცავენ მართლმადიდებლურ დოგმატებს და კანონებს, და ამიტომ მათი მიჩნევა სქიზმატურ და უმადლო საკრებულოდ უსაფუძვლოაო, და თან საბუთად მოიყვანონ წმ. თეოდორე სტუდიელის ეპისტოლე სტეფანე მკითხველის მიმართ, რომელშიც იგი ამბობს, რომ თუკი ეპისკოპოსი ხელდასხმულია მწვალებელისაგან, მაგრამ თვითონ მართლმადიდებელია და სრულ ჭეშმარიტებას აღიარებს, მაშინ მასთან ერთობას არ უნდა განვერიდოთო. მაგრამ აქ საქმე სხვაგვარადაა – ზილოტები არასათანადო და არასაკმარისი მიზეზებით განეშორენ ეკლესიას 20-30-იან წლებში. მაშინ, როცა ეკუმენიზმის საცთური არც კი იყო გამოჩენილი. მართლმადიდებელ ეკლესიას არც ამის შემდგომად მიუღია ცრუ დოგმატები და არ შეურავს უნია მწვალებლებთან. თუმცა ეკუმენისტურ მოძრაობაში ჩაბმამ და ე. მ. ს.-ში შესვლამ საგრძნობი ზიანი მიაყენა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს და ცალკეულ იერარქთა მიერ კანონიკურ გაწესებათა დარღვევების გამო მრავალი საცთური წარმოიშვა, რამაც ხელი შეუწყო სქიზმატური პროცესების გაღვივებასა და განვითარებას. ამ საფრთხის შესახებ განაცხადა კიდეც იერუსალიმის პატრიარქმა – უნეტარესმა იოდოროს I, მართლმადიდებლობის მგზნებარე დამცველმა და აპოლოგეტმა, რომელმაც კონსტანტინეპოლში სინოდის სხდომაზე მეტად უარყოფითად დაახასიათა ეკუმენისტური შაბაშები და მართლმადიდებელთა და მწვალებელთა ერთობლივი ლოცვები, როგორც სულისთვის მეტად საზიანო და მორწმუნეთა ცთუნებისა და დაბრკოლების მიზეზი. სწორედ ამავე მოტივით აკრიტიკებენ ეკუმენისტურ მოძრაობას და ე. მ. ს.-ს უაღრესად ანტიმართლმადიდებლურ საქმიანობას ათონის მთის ბერმონაზვნები, სერბეთის და რუსეთის ეკლესიების კონსერვატიული (ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობით) ძალები. ხოლო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყველას აჯობა და საერთოდ გაემიჯნა ე. მ. ს.-ს, რითაც მართლმადიდებლობის დამცველთა ავანგარდში მოექცა, და მართლაც დიდი უმადურობა იქნება, რომ არ დავინახოთ და არ დავაფასოთ ამ დიდ საქმეში ღვაწლი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელისა და წმიდა სინოდისა.

ბერმონაზონი ევტიქი
(შველიძე)

*** შემოკლებული ვარიანტი – ვრცლად გამოქვეყნდება ბროშურაში**

ბრძოლა

ხარბი ფული

ახლახანს პრესით ხმამაღლა ითქვა, ეროვნულ ვალუტას ყალბი 50-თეთრიანები შეერია, მთელ საქართველოში მიმოიქცევა და ზოგან სათოფეზეც აღარ ეკარებიანო. მართალია, ამ ინფორმაციას იქვე ერთგვარი რევერანსიც ახლავს, ნათქვამს აჟიოტაჟის მცდელობად ნუ ჩაგვითვლითო, დაგვიანებული მობოდიშებაა, სათქმელი უკვე ითქვა. გინდა თუ არა, ეჭვით უნდა შეხედო ეროვნული ფულის ამ ნიშანს და შეძლებისდაგვარად მოერიდო კიდეც.

ერთი სიტყვით, მიზანი მიღწეულია: ვინ ყალბი ფულის გასაღებით ითბობს ხელს, ვინ ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობის ყიჟინით.

ხეს უთქვამს: მე ცული ვერას დამაკლებდა, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ერიოსო. თვითონ განსაჯეთ: ყალბი 50-თეთრიანები საქართველოში ჯერ კიდევ 1996 წლის ნოემბერში გამოჩენილა. იგი არც ცხრა მთის გადაღმიდან შემოუტანია ვინმეს და არც რომელიმე ოფიციალურ საწარმოს კონსპირაციულ საამქროში დაუმზადებიათ. აქვე, ყურისძირში, დიდი დიღმის დასახლებაში მდებარე საკუთარ სახლში ბეჭდავდა თურმე კუსტარულად 33 წლის მ. ქობულაშვილი. მიაგნეს და სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს. მერე ისევ ჩვენმა ჯიშმა და ჯილაგმა ყალბი 5 და 10-ლარიანებით სცადა თანამოძმეთა „მოცუცურაკება"... ახლა ისევ „დახურდავებულან"...

ყალბი ფულის მიმოქცევაში მოხვედრა რომ კარგი საქმე არ არის და ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის დასაქცევად, მოსახლეობაში მისი, როგორც საგადამხდელო საშუალების პრესტიჟის შესალახად არის მოფიქრებული აშკარაა, მაგრამ ყალბისმქნელებიც რომ მთლად თავის ჭკუაზე ვერ დაპარპაშობენ, ესეც ფაქტია.

მომრავლებით მომრავლებულან ყალბი ფულის შემომტყუებლები, მაგრამ არც იმის დაყენება იავრებს. ყველაფერს ჩვენ ეხედავთ, იმათ კი, ვისაც ამ საქმის მიხედვა ევალებათ, თვალები ძალად აუხვევიათ და ყურებიც განგებ დაუხშიათო. მარტო შარშან ეროვნულმა ბანკმა ბრუნვიდან ამოიღო 2200 ცალი (სულ 1100 ლარის) ყალბი 50-თეთრიანი ეს კი ფულის ის რაოდენობა არ არის, საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური დივერსია განახორციელოსო, – ამბობენ პროფესიონალი ფინანსისტები და სამართალდამცავები.

ეროვნული ვალუტის დასაცავად შარშან, წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა სისტემაში, საქართველოს პრეზიდენტის მითითების შესაბამისად, კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში (უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კახა ბაკურაძე) ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის ცალკე დანაყოფი ჩამოყალიბდა. შეირჩა კადრები, დროის მოთხოვნათა შესაბამისად დაიხვეწა მუშაობის სტილი, მეთოდები. იმ დღიდან მოყოლებული დანაყოფი წარმართავს ყალბი ფულის დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლას და უმალოდ ავლენს მას.

1996-97 წლებში სწორედ ამ სამსახურის წყალობით ამოიღეს ბრუნვიდან საქართველოში შემოსული ყალბი 120 ათასი ამერიკული დოლარი, 35 ათასი ლარი, 40 ათასი გერმანული მარკა და 400 ათასი რუბლი.

ახლა ცოტა უფრო კონკრეტულად: შარშან, შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს მიერ ყალბი 10-ლარიანი ბანკნოტების გასაღებისათვის დაიჭირეს სოფელ ხოდაშენის მცხოვრები ხვთისო ხეთისიაშვილი, რომელსაც 4800 ყალბი ლარი რუსეთის ფედერაციაში შეუძენია. ვორონეჟში შეძენილი 17430 ყალბი 10-ლარიანის საქართველოში გასაღებისათვის კი დააკავეს ორგანიზებული ჯგუფი, რომელშიც წალენჯიხელი კ. კვარაცხელია, თბილისელები თ. მეცხვარიშვილი, თ. იაკაშვილი და ბორჯომელი ნ. მოსესოვა შედიოდნენ (ამოღებულია 15030 ყალბი ლარი). დაკავებისას ასეთივე „დაძმობილებულნი" აღმოჩნდნენ ოქროყანელი ლ. ბარაჩაშვილი, ქუთაისელები თ. მამისეიშვილი და გ. გოლეთიანი, მათ კრასნოდარში შეუძენიათ და საქართველოში ჩამოუტანიათ 5 და 10-ლარიანი ბანკნოტები (სულ 25 ათასი ლარი), რომელსაც თბილისსა და ქუთაისში ასაღებდნენ (ამოღებულია 16455 ყალბი ლარი).

კრიმინალურ გაერთიანებას მიეკუთვნებოდა დამნაშავეთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნ. შეყილაძე, კერძო ფირმის წარმომადგენელი თ. გახუტაშვილი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მოლარეები, თარჯიმანი და სხვები. ძიებით დადგინდა, რომ გახუტაშვილმა და შეყილაძემ სტამბულში იყიდეს საქართველოში სარეალიზაციოდ გამიზნული 4400 ყალბი ამერიკული დოლარი.

ყალბი 40 ათასი გერმანული მარკის გასაღების ფაქტზე დააკავეს თურქი მოქალაქეები სასტუმრო „აჭარაში".

დაკავებულია საქართველოს მოქალაქეთა რვაკაციანი ჯგუფი, რომლებმაც თურქეთიდან 39400 ყალბი ამერიკული დოლარი შემოიტანეს. ბოლნისელმა მ. მანაგაძემ კი კრასნოდარიდან ჩამოიტანა 15 ათასი ყალბი დოლარი. ლილოს კომერციულ ბაზრობაზე ყალბ 100 დოლარიან კუპიურებს (სულ 12930 ცალი) ასაღებდნენ კიდევ ერთი ორგანიზებული ჯგუფის წევრები...

ეს მცირე ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყალბი ფულის წინააღმდეგ მებრძოლმა სამსახურმა შარშან განახორციელა. წლეულს სამ თვეში კი გამოვლენილია ყალბი ფულის გასაღების 7 ფაქტი. აქედან 3 ყალბი ამერიკული დოლარის, 4 ეროვნული ვალუტის – ლარის. სულ ამოღებულია 57 400 ყალბი ამერიკული დოლარი და 400 ყალბი ლარი.

მართალია, ეს ყოველივე საქმის ნამდვილ ვითარებას არ ასახავს, მაგრამ მუშაობა გრძელდება.

ყალბი ფულის პრობლემა კი მარტო ჩვენ კი არა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას აშფოთებს. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, ამ მიზნით ამერიკისა და გერმანიის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა საქართველოში სტუმრობა. ასევე, თურქეთის უშიშროების დეპარტამენტის კრიმინალური პოლიციის განყოფილების დელეგაციის ჩამოსვლა. მათ აღნიშნეს, რომ ყალბი ვალუტის ბრუნვა მათი ქვეყნის ეკონომიკასაც გვარიანად უშლის ხელს, მუშავდება ერთობლივად სამოქმედო ღონისძიებანი.

ყალბი ფულის ბრუნვა კი გრძელდება, რაც ეკონომიკური აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველოსთვის ერთობ სახიფათოა. ამას წინათ დააკავეს ტყიბულელები ზ. ბუაძე და გ. ფურცხვანიძე, მათ დონეცკიდან საქართველოში კონტრაბანდული გზით გასასაღებლად შემოიტანეს 15 ათასი ყალბი 10-ლარიანი ბანკნოტი. 22 მარტს კი დააკავეს 33 წლის თურქეთის მოქალაქე, რომელმაც საქართველოში 9600 ყალბი ამერიკული დოლარი შემოიტანა და გასაღება სცადა.

ერთი სიტყვით, ჩვენს ტერიტორიაზე უცხოური ვალუტის დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უფრო ეს პრობლემა გამწვავდება ახლო მომავალში, ევროაზიური დერეფნისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებისთანავე.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობასა და უცხოური ინვესტიციების დაბანდებას ხელსაყრელი პირობები სწორედ ლარის სიმყარემ შეუქმნა. ეს კი ქართველ სამართალდამცველებს, ვფიქრობ, ჩვენგან არ ესწავლებათ. ამიტომაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველო ეროვნული ვალუტის სტაბილურობის, პრესტიჟის ასამაღლებლად, გაყალბებისგან დასაცავად ბრძოლას აგრძელებს. ჩვენც გვირჩევენ: იმისათვის, რომ ყალბი ფული არავინ შემოგვაჩეჩოს, პირადი დანაზოგები ცნობილ საბანკო დაწესებულებებში შევიტანოთ და ანგარიშები საბანკო გადარიცხვებით ვაწარმოოთ.

ერთი სიტყვით, სიფხიზლე არავის გვაწყენს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

შეხვედრები

კავკასიელები ერთიან კავკასიაზე ფიქრობენ

ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც გადაიქუხა ჩეჩნეთის ომმა... მანამდე კი იყო აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბაღი, ბაქო, თბილისი... ყველამ კარგად ვიცით, ვინც იყო ამ სისხლიანი ტრაგედიების ავტორი და შემოქმედი.

კავკასია კი ფიქრობს, გამოსავალს, სიმშვიდეს ეძებს... ამ დღეებში ჩეჩნეთის დედაქალაქში ამ პრობლემებზე იმსჯელეს ჩრდილო კავკასიის ხალხების, რუსეთის სამხრეთის რეგიონების ხელმძღვანელებმა, საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა.

რა მიზანი ჰქონდა ამ შეხვედრას, როგორ უყურებენ კავკასიის მომავალს, რა როლი და ადგილი მიეკუთვნება ამ სივრცეში საქართველოს, ამ საკითხებზე საუბარი ვთხოვეთ შეხვედრის მონაწილეს, საქართველოს პარლამენტის კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელს ბატონ მამუკა არეშიძეს.

– დიდი ხნის შემდეგ პირველად გადაწყდა, რომ ჩრდილო კავკასიის ქვეყნებისა და მასთან მიმდებარე ოლქების ლიდერთა შეხვედრა გამართულიყო, რომელიც კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური ურთიერთობის საკითხებს განიხილავდა. ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი ჩრდილო ოსეთის ახლად არჩეული პრეზიდენტი ალექსანდრე ძასოხოვი გახლდათ. შემდეგ ეს იდეა აიტაცა იჩქერიის პრეზიდენტმა – ასლან მასხადოვმა; გადაწყდა შეხვედრის ადგილიც – გროზნო. ა. მასხადოვმა მეზობელი სახელმწიფოებისა და ოლქების ყველა პირველი პირი მიიწვია შეხვედრაზე. ასეთივე მოწვევა მიიღეს ამიერკავკასიის ქვეყნებმაც. სომხეთის ხელისუფლებამ ზრდილობიანი ბოდიში მოუხადეს ჩეჩნეთის ხელმძღვანელებს იმის გამო, რომ ამ დღეებში დამთავრებული საპრეზიდენტო არჩევნების გამო მათ ჯერ არა აქვთ შეხვედრაზე მონაწილეობის შესაძლებლობა. ჩვენთან საქართველოში კი, იყო ასეთი ჩანაფიქრი – ფართო, წარმომადგენლობითი დელეგაცია გაგვეგზავნა გროზნოში, მაგრამ რუსეთიდან მოვიდა ნოტა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასეთი გახლდათ: – ... ეს არის რუსეთის შინაური საქმე, რადგან შეხვედრაზე იქნებიან ჩრდილო კავკასიისა და რუსეთის სამხრეთი რეგიონების წარმომადგენლები, სხვა ქვეყნების განსაკუთრებული დონის დელეგაციების გროზნოში ჩასვლა ჩაითვლება რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევად.

ცხადია, ჩვენმა ხელისუფლებამ ანგარიში გაუწია რუსეთის ასეთ პოზიციას, რის შემდეგაც გადაწყდა გაგვეგზავნა დელეგაცია, რომელსაც ე. წ. „საპარლამენტო ელფერი" ექნებოდა. დელეგაციის შემადგენლობაში გახლდით მე და პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენელი მალხაზ გულაშვილი, რომელიც ამავე დროს არის დსთ-ს და მშვიდობიანი კავკასიის ბიუროს განყოფილების გამგე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიის ყველა ეროვნული რესპუბლიკისა და რუსეთის სამხრეთი ოლქების წარმომადგენლები (ერთადერთი გამონაკლისი ადიღეს რესპუბლიკა იყო), აქ იყვნენ სტავროპოლის, კრასნოდარის, როსტოვის ოლქების გუბერნატორები, ყალმუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი და, თქვენ წარმოიდგინეთ, პერმის ოლქის გუბერნატორიც.

შეხვედრის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი ასე იყო ჩამოყალიბებული: – როგორ შეუძლიათ კავკასიის ქვეყნებს დაეხმარონ ჩეჩნეთს ეკონომიკის აღდგენაში.

მეორე – უფრო ზოგადი გახლდათ. შეხვედრას ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი თავმჯდომარეობდა.

– ბატონო მამუკა, მესმის გაპარტახებული ეკონომიკის აღდგენა მართლაც დიდი საქმეა ჩეჩნებისათვის, მაგრამ, ამასთან ერთად არსებობს კიდევ უფრო სასიცოცხლო პოზიციები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ თუნდაც ეკონომიკის და კიდევ ბევრი სხვა პარამეტრის აღდგენა და, რაც მთავარია, შენარჩუნება. რას ფიქრობენ ამაზე?

– მართალი ბრძანდებით. ეკონომიკა ე. წ. ფონი გახლდათ იმისათვის, რაც შეკრების მონაწილეებს უნდა განეხილათ. აქ, ძირითადად, საუბარი იყო იმაზე, თუ რა ფორმით უნდა იარსებოს მომავალისათვის კავკასიამ, საერთოდ, და რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან კავკასიის ქვეყნებს. ეთანხმებიან თუ არა მასში შემავალ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები კავკასიის საერთო სახლის შექმნის იდეას და თვლიან თუ არა, რომ ეს იქნება ერთიანი ორგანიზმი, სათანადო ეკონომიკური თუ პოლიტიკური სივრცით. ამ საკითხზე მკვეთრი პროტესტი გამოთქვეს დაღესტნის წარმომადგენლებმა, მათ სხვებმაც დაუჭირეს მხარი, მაგრამ იყო სხვა აზრიც. – მაგალითად, კირსან ილუმჟინოვმა აღნიშნა, რომ იგი ჩეჩნეთს აღიქვამს როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას და ამის დასტურად დასძინა, რომ მომავალ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, რომელიც ელისტაში გაიმართება, ჩეჩნეთი დამოუკიდებელი ქვეყნის გუნდის სტატუსით იქნება წარმოდგენილი. მაგრამ, როდესაც კავკასიის უფრო სწორედ, კავკასიელი ხალხების მომავალი თანაცხოვრების საკითხებს შეეხნენ, ამაში ყველანი ერთსულოვანი იყვნენ. ითქვა, რომ კავკასია არის განსაკუთრებული მენტალიტეტის ადამიანებით დასახლებული რეგიონი, რომლის ხალხებსაც, როგორც ისტორიული, ასევე დღევანდელი, საერთო ტრადიციები აკავშირებთ. ამ შემთხვევაში აქცენტი უფრო ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის აუცილებლობაზე იყო გადატანილი.

– მათ შორის, ვფიქრობ, საქართველოზე, ქართველებზეც იქნებოდა საუბარი...

– ცხადია, საქართველოს ისინი განსაკუთრებულ როლს აკისრებენ. მართალია, ამაზე ხაზგასმით არ უსაუბრიათ, მაგრამ კავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელები თვლიან, რომ საქართველო და აზერბაიჯანი არიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც შეუძლიათ შეინარჩუნონ სტაბილურობა რეგიონში და თავის თავზე აიღონ ძირითადი დატვირთვა რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის.

აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩრდილო-კავკასიელები, კერძოდ კი, ჩეჩნები, ამთავითვე ფიქრობენ კომუნიკაციებზე, რომლებიც მათ დააკავშირებს საქართველო-აზერბაიჯანის ტერიტორიებზე გამავალ ტრანსკონტინენტურ მაგისტრალებთან. ვიცი, რომ დღეს მთელი ჩეჩნეთი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს არღუნის ხეობით ჩვენსკენ მომავალი გზის მშენებლობაზე. ამ გზას ისინი სიცოცხლის გზას ეძახიან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ბევრი პრობლემა წამოიჭრას. რას ამბობენ ამაზე და თუ ვაპირებთ ჩვენ ე. წ. „შეხვედრ ღონისძიებებს"?

– ეს საკითხი დააყენა შეხვედრაზე ახმედ ზაკაევმა და საქართველოს წარმომადგენლებს პირდაპირ გვითხრა: – მოგმართავთ როგორც ჩვენს ძმებს – ჩეჩნეთს ძალიან სჭირდება ეს გზა და თქვენ რას ფიქრობთო ამაზე.

ჩვენ, როგორც უნდა შევხედოთ ამ ფაქტს, მისი იგნორირება არ შეიძლება, რადგან იგი რუსეთის ინტერესთა სფეროშიც შედის. ამასთან, თუ ძმობასა და თანამეგობრობაზე გვაქვს საუბარი – ძმას დახმარების ხელი უნდა გაუწოდო. ეს გზა, მართლაც, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩეჩნეთისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ შეხვედრაზე დამსწრე რუსეთის სამხრეთის ოლქების გუბერნატორებიდან არც ერთს არ უარყვია ამ გზის აუცილებლობა. ცხადია, ამ გზის გამო პრობლემები უეჭველად იქნება, ეს საკითხი, ცხადია, სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს, როდესაც ამ ფაქტის გამო სამეცნიერო გამოკითხვა ჩავატარეთ, აზრი გაიყო. არგუმენტებიც სხვადასხვა მოიშველიეს. მაგალითად, საუბრობენ დემოგრაფიულ საფრთხეზე, კრიმინოგენური ვითარების გამძაფრებაზე და სხვა შესაძლო მოვლენებზე, მაგრამ, თავისთავად, ამ გზის წინააღმდეგ კატეგორიული უარყოფითი აზრი არავის გამოუთქვამს. ასეთივე დამოკიდებულებაა ამ პრობლემისადმი როგორც ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, საერთოდ, რუსეთში. მართალია, ეს მეტად საფრთხილო პოზიციაა, მაგრამ იგი რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობით მოითხოვს გადაწყვეტას.

ჩეჩნები დღეს ამ საქმეში მეგობრებსა და მხარდამჭერებს ეძებენ, ისინი სამეგობრო ხელს უწვდიან არა მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანს, არამედ რუსეთსაც. ცდილობენ სიტუაციის მოწესრიგებას, რაც შეეხება გზას, მის მშენებლობას, იგი ფაქტობრივად დასასრულს უახლოვდება... სულ რაღაც ხუთი კილომეტრი დარჩათ ჩვენს საზღვრამდე. ასე რომ, სულ მალე საქართველოც და რუსეთიც ამ ფაქტის წინაშე დავდგებით. აქედან გამომდინარე, ეს პრობლემა დროულ გადაწყვეტას მოითხოვს.

– თუ იცით, რას ფიქრობს ამაზე ჩვენი პრეზიდენტი?

– ცხადია, იგი ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენების განვითარებას. მან ძალიან კარგად იცის, თუ რა ხდება აქეთაც და იქითაც... ეჭვი არ მეპარება, რომ საკითხს ყველაზე გონიერულად გადაწყვეტს. ამ შემთხვევაში, მართალია, იგი ჩვენი პრეზიდენტია, მაგრამ თუ იქაურ ვითარებას ღრმად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ იმათაც მეთაურად მიაჩნიათ. ყოველ შემთხვევაში, ამ შეხვედრიდან ჩვენ ეს დავასკვენით.

სხვათა შორის, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთქვა, რომ ჩვენი პრეზიდენტის გარდა, ჩრდილო-კავკასიაში ძალიან დიდი რეიტინგი აქვთ ჩვენს სხვა პოლიტიკოსებსაც. ეს, განსაკუთრებით, უნდა ითქვას ბატონ **ასლან აბაშიძეზე**. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებს ფართო კონტაქტები არა აქვთ აჭარასთან. შეხვედრაზე, არა ერთხელ აღინიშნა, რომ ეს პიროვნება მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკოსად მიაჩნიათ საქართველოს პრეზიდენტის შემდეგ და რამდენჯერმე გვთხოვეს ხელი შევუწყოთ, რათა დაამყარონ საქმიანი ურთიერთობანი საქართველოს ამ რეგიონთან.

ასეთივე მაღალი რეიტინგი აქვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს **ზურაბ ჟვანიას**. მას თვლიან იმ ახალგაზრდა პოლიტიკოსად, რომელსაც კავკასიის ხვალინდელი დღის განსაზღვრა შეუძლია.

რაც შეეხება შეხვედრის მნიშვნელობას, იგი უდაოდ ნაყოფიერი იყო. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა დაამუშაოს ის წინადადებები, აქ რომ წამოიჭრა. გაკეთდება შესაბამისი დასკვნები, რომელიც მოხსენდება ასეთივე ფართო წარმომადგენლობით შეხვედრას, რომელიც სულ რაღაც ორ თვეში – 4 ივნისს უნდა გაიმართოს. ასეთი შეხვედრის ადგილად უმეტესობამ თბილისი აირჩია.

– ცხადია, რომ საერთო კავკასიურ სახლზე და რეგიონის მომავალ პერსპექტივებზეა საუბარი, ალბათ, წარმოუდგენელია გვერდი ავუაროთ ე. წ. „ცხელ წერტილებს", რომლებიც მთელი კავკასიის ტკივილს წარმოადგენს. რას ფიქრობენ ამ მხრივ ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლები?

– რა თქმა უნდა, ეს ის პრობლემა გახლავთ, რომლის გადაუჭრელადაც ფიქრიც კი შეუძლებელია კავკასიურ სახლზე, ერთიან კავკასიაზე. ცხადია, საუბარი ამ თემაზე თან ახლდა ნებისმიერი საკითხის განხილვას. საერთო აზრი ის გახლდათ, რომ ამ „ცხელი წერტილების" პრობლემა ყველამ ერთობლივად უნდა გადაეწყვიტოთ. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ რუსეთის სამხრეთი ოლქების წარმომადგენლებიც.

მეორე საკითხია, ჩვენ რამდენად ჩავერევთ მათ პრობლემის გადაწყვეტაში, მაგრამ ამ პოტენციალის გამოუყენებლობა, ვფიქრობ, არ შეიძლება. როგორც იქ ითქვა, მათ შემუშავებულიც კი ჰქონიათ შესაბამისი სპეციალური პროგრამა. როგორც შევიტყვე, ეს მარტო ჩეჩნების პროგრამა არ არის. ამაში ჩარეულები არიან დაღესტნელებიც, ოსებიც და ნაწილობრივ რუსული ოლქების წარმომადგენლებიც.

არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იქნება ეს ჩვენთვის, მაგრამ ფაქტი ფაქტია, რომ ხალხი ამაზე ფიქრობს, მუშაობს.

– ამ შეხვედრის მასალებს რომ ვეცნობოდი, ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ფრაზამ, რომელმაც ტელევიზიითაც გაიჟღერა – საუბარი იყო კავკასიის კონფედერაციის შექმნაზე. კონკრეტულად რა ამბავია?

– საინტერესო ფაქტია. ეს იდეა ჯერ კიდევ 1918 წელს წამოიჭრა ბათუმში, როდესაც ხდებოდა – „კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის" დაფუძნება. შემდეგ ეს საკითხი აქტიურად იდგა ემიგრაციაში 1920-30 წლებში, ემიგრანტთა კონფერენციაზე, რომელიც ოცდაათიან წლებში ბერლინში გაიმართა. აქ პირველად ითქვა, რომ უნდა შეიქმნას კავკასიის ქვეყნების კონფედერაცია. მისი ერთ-ერთი ინიციატორი იყო ქართველი მოღვაწე პოლონეთიდან ვანო თოთიბაძე. ბოლო წლებში კი ამ იდეას აქტიურად აყენებს შამილ ბასაევი. ცხადია, ამ თემაზე საუბარი, ჯერ ნაადრევია, რადგან კავკასიელებს ერთმანეთში ჯერაც ვერ მოუგვარებიათ საქმე. პირადად მე, ამაში საშველს ვერ ვხედავ, მაგრამ, როცა ხალხი უკვე ამაზე ფიქრობს, ეს ნიშანდობლივად მეჩვენება, მით უმეტეს, რომ ეს იდეა ზემოდან არ მოდის, იგი ხალხშია დაბადებული და აღმოცენებული. შეხვედრაზე ალტერნატიულ წინადადებებზეც იყო საუბარი – ძასოხოვიც კი დაეთანხმა აზრს იმის შესახებ, რომ უნდა იყოს რაღაც საკონსულტაციო ორგანო, რომელიც კავკასიის საჭირბოროტო საკითხებს გადაჭრის.

– ის, რაც თქვენ მითხარით, მეტად საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი მეზობლები ფიქრობენ, მსჯელობენ, კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამენ საერთო თანხმობისა და თანამშრომლობისაკენ. ახლა შეხვედრის დარბაზიდან გარეთაც გამოვიდეთ და საერთო სიტუაციაც გავიხსენოთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩეჩნეთში?

– ჩვენ აქ ერთი დღით ვიყავით, მაგრამ ვფიქრობ, საინტერესო იქნება თუ ვიტყვი, რომ უკანასკნელ ხანს აქ ძალზე სერიოზულ ანტიქართულ პროპაგანდას ეწევიან ზოგიერთი ჩეჩენი მოღვაწის წყალობით. მაგალითად, ერთი თვის წინათ სულ სხვანაირად გვიყურებდნენ, ხალხი ძალიან პროქართულად იყო განწყობილი. ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. იქ, როგორც იცით, არის ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც დიდ აჟიოტაჟს ქმნიან, სწორედ იმ გზასთან დაკავშირებით, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. ისინი ამბობენ, რომ ქართველები რუსეთს უყურებენ თვალებში და ამ გზას არასოდეს მოგვცემენო. ხალხზე ეს ძალიან მოქმედებს. მოგეხსენებათ, მთიელთა ბუნება – იგი პირდაპირი მნიშვნელობით აღიქვამს ყოველივეს. ამით სარგებლობენ კიდეც „გროზნოელი ქართველები".

მაგრამ ჩვენმა ჩასვლამ გროზნოში თავისი გამოხმაურება ჰპოვა და სასიამოვნოა, რეაქციაც გამოიწვია, თუმცა ჩვენ არაფერი გვითქვამს ამ გზასთან დაკავშირებით. უმეტესად სხვებს ვუსმენდით და აღვნუსხავდით მათ პოზიციებს.

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ ჩეჩნეთის ლიდერები, ხალხი, ინგუშები, დაღესტნელები ერთგვაროვნად წარმოადგენენ ქართველ ხალხს თავიანთ მეგობრებად, ერთმა მოხუცებულმა ასეთი ფრაზაც კი მითხრა: – უფროს ძმას არა აქვს უფლება უმცროსი გაჭირვებაში მიატოვოსო.

ერთხელ ყაბარდოში კიდევ ასეთი რამ მითხრეს: – თქვენ უფროსი ძმები ხართ ჩვენი და შეცდომის უფლება არა გაქვთო.

ცხადია, აქ იმ „უფროს ძმობაზე" არ არის საუბარი, ჩვენ რომ „გვძმობდნენ" ათწლეულების მანძილზე. აქ უფრო ერის პატივისცემაზეა საუბარი.

და ბოლოს, მინდა თქვენი გაზეთის მკითხველებს ვუთხრა, რომ ჩვენ დღეს ბეწვის ხიდზე ვართ შემდგარი. მესმის ისიც, რომ ზოგიერთს ჩვენი პრეზიდენტის მანევრირება, საუკეთესო გზის მონახვის პოლიტიკა, არ მოსწონს, რადგან იგი დროს მოითხოვს, მაგრამ ამ პოლიტიკით ჩვენ განვლილი დროის მონაკვეთში თავი გადავირჩინეთ. ცხადია, ანგარიში უნდა გავუწიოთ როგორც რუსეთის, ისე ჩეჩნეთის, ასევე ჩვენი სხვა კავკასიელი მეზობლების ინტერესებს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, წინა პლანზე მაინც ჩვენი ინტერესები უნდა დავაყენოთ. ამასთან, ჩვენ არც იმის უფლება გვაქვს, ვინმეს ხელი ვკრათ.

მტკიცედ მწამს, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკით მივაღწევთ საბოლოო გამარჯვებას.

გია ჭელი

საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის ფაკულტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის ფაკულტეტის გახსნის აუცილებლობა განაპირობა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად აღიარებამ. ახალი გარდაქმნების პროცესში საქართველოს უთუოდ სჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების მართვისა და სამართლებრივი საკითხების დარეგულირების დარგში.

იგი გაიხსნა 1991 წელს. ტრადიციულ ფაკულტეტთა შორის, რომლებიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდან არსებობენ, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი ყველაზე ახალგაზრდაა.

ფაკულტეტზე მუშაობს საერთაშორისო სამართლის (გამგე აკადემიკოსი ლევან ალექსიძე), საერთაშორისო ურთიერთობის (გამგე დოცენტი ზურაბ დავითაშვილი), მსოფლიო სამართლებრივი სისტემების (გამგე დოცენტი მარინე კვაჭაძე) და უცხო ენების განყოფილებები (გამგე ნინო ქიმერიძე).

ფაკულტეტი ამზადებს სპეციალისტებს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალიზაციით.

ორი წელია დაინერგა ევროპის უნივერსიტეტების სასწავლო მოდელი – 4+2, ფაკულტეტი მოამზადებს სპეციალისტებს ბაკალავრისა და მაგისტრის წოდებით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხო ენების ინტენსიურ სწავლებას, რომელსაც უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებთან ერთად მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს ფაკულტეტზე არსებული უცხო ენების განყოფილება.

ორი სემესტრი ეთმობა ლათინური ენის შესწავლას, რომლის სასწავლო პროცესში ჩართვა განაპირობა არა მარტო მისგან აღმოცენებულმა ინდოევროპულ ენათა ინტენსიურმა სწავლებამ, არამედ ახალგაზრდა მკვლევართა შემდგომი მოღვაწეობისათვის ლათინურ ენაზე შექმნილი კლასიკური სამართლის ძეგლების შესწავლის აუცილებლობამ.

სასწავლო პროგრამით პირველადი ენებია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, თურქული, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობაზე II კურსიდან ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია მეორადი უცხო ენის სწავლება, კერძოდ, ინგლისური ენა (გერმანულ და ფრანგულენოვან სტუდენტთა ჯგუფებისათვის), იაპონური, იტალიური და მონაცვლეობით სპარსული, არაბული და თურქული ენები (ინგლისურენოვან სტუდენტთა ჯგუფებისათვის).

წარჩინებული სტუდენტები ყოველწლიურად მონაწილეობენ საზღვარგარეთ გამართულ კონკურსებში. სტიპენდიატები სწავლას განაგრძობენ ევროპისა და ამერიკის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში (გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, ისრაელი...).

ფაკულტეტს ინტენსიური სამეცნიერო და შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (საერთაშორისო წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაცია, გაერო, მსოფლიო ბანკი, ევროგაერთიანება...), რისი ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ ფაკულტეტზე საერთაშორისო (სამენოვანი) ჟურნალ „საერთაშორისო სამართალი“ (რედკოლეგიის წევრები არიან საქართველოსა და საზღვარგარეთის წამყვანი იურისტები) გამოიცემა, რომლის სამი ნომერი უკვე მიიღო დაინტერესებულმა მკითხველმა. აქ იბეჭდება პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და, აგრეთვე, ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტთა მრავალმხრივ საინტერესო პუბლიკაციები.

ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც აჯამებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მიღწევებს. კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საერთაშორისო სამართლის კვირეულის მოწყობა, მასში მონაწილეობენ ცნობილი ქართველი და უცხოელი სამართალმცოდნეები და საზოგადო მოღვაწეები. აგრეთვე ინტენსიურად იმართება საქმიანი შეხვედრები რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან, ადგილობრივი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობების ოფიციალურ პირებთან.

ჩვენი მასწავლებლები და მაღალი კურსის სტუდენტები მონაწილეობენ უცხოეთში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სასწავლო-სამეცნიერო წრეების მიერ გამართულ კონფერენციებსა და შეხვედრებში; სისტემატურად ხორციელდება სასწავლო-სამეცნიერო დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების გამოცემა, რომლის თვალსაჩინო მაგალითია უკანასკნელ წლებში გამოსული ნაშრომები: ლ. ალექსიძის – „საერთაშორისო სამართალი“, ა. რონდელისა „საერთაშორისო ურთიერთობები“, ა. დემეტრაშვილის „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, მ. ცაცანაშვილის „საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“ (I ნაწილი), მ. კვაჭაძის „თანამედროვე მედიცინის სამართლებრივი ასპექტები“; მზადდება ირ. შაფაქიძის სახელმძღვანელო „საერთაშორისო კერძო სამართალი“ (I-II ნაწილი), საერთაშორისო სამართლის ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ზ. დავითაშვილის საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია. უცხო ენის სახელმძღვანელო გერმანულენოვან და ინგლისურენოვან სტუდენტთათვის, რომელშიც თემატურად შევა სასწავლო ტექსტები საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობისა და ქვეყანათმცოდნეობის საკითხებზე. ფაკულტეტის კურსდამთავრებულები სტაჟირებას გადიან საგარეო საქმეთა სამინისტროში, რესპუბლიკის პარლამენტში, იუსტიციის სამინისტროში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე, საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო ფირმებში, სადაც აგრძელებენ მუშაობას სწავლის დამთავრების შემდეგ.

ირაკლი შაფაქიძე,
საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი.

მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი

მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი უნივერსიტეტში 1970 წელს დაარსდა. შარშანდლამდე ეწოდებოდა საინჟინრო-ეკონომიკისა. მის დღისა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე სტუდენტები სწავლობენ მენეჯმენტის, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის; ეკონომიკური კიბერნეტიკის; ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების; სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის; საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის; ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკისა და მართვის; მრეწველობაში შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობებზე.

სპეციალისტები მზადდება სამრეწველო წარმოების ეკონომიკისა და მართვის (გამგე – პროფესორი დ. ძნელაძე); ეკონომიკური ინფორმატიკის (გამგე – დოცენტი მ. მაღრაძე); მშენებლობისა და მომსახურების სფეროს ტექნიკისა და ტექნოლოგიის (გამგე – პროფესორი ა. ტატიშვილი); მშენებლობისა და მომსახურების სფეროს ეკონომიკისა და მართვის (გამგე პროფესორი ნ. ბიჭიაშვილი); ეკონომიკური კიბერნეტიკის (გამგე – პროფესორი კ. აჩელაშვილი) კათედრებზე.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, მომავალ მენეჯერზე, თანამედროვე ტექნიკურად და ეკონომიკურად განვითარებული წარმოების ყველაზე გავრცელებული პროფესიის სპეციალისტებზე მოთხოვნილება განსაკუთრებით იზრდება. სრულიად ახალი სამეურნეო სტრუქტურების პირობებში არსებითად იცვლება საკადრო პოლიტიკა, განსაკუთრებით მაკროეკონომიკის დონეზე. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა საბაზრო სტრუქტურების მოთხოვნის ადექვატური უმაღლესი ეკონომიკური განათლების კონცეფციის შემუშავება. ბიზნესის ახალი ორგანიზაციული ფორმების პირობებში ყალიბდება თანამედროვე ტიპის მმართველ-ორგანიზატორის (მენეჯერის) პროფესია, რომელიც ერთდროულად უნდა ფლობდეს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის, წარმოების ტექნოლოგიური ბაზის, მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის, მარკეტინგისა და სტრატეგიული მართვის, აღრიცხვისა და აუდიტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის ცოდნას. ამასთან, ფართოდ უნდა იყენებდეს მათემატიკურ აპარატსა და გამოთვლით ტექნიკას. ამრიგად, თანამედროვე მენეჯერს, როგორც წარმოების ორგანიზატორ-მმართველს, უნდა გააჩნდეს კონკრეტული წარმოების მართვის ძირითადი ფუნქციების ასეთი უნარი, რაც საშუალებას მისცემს საერთო ენა გამოძებნოს ინჟინრებთან, ტექნოლოგებთან, იურისტებთან და ეკონომისტებთან, რათა მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება და ეფექტურად ითანამშრომლოს საბაზრო სუბიექტებთან.

„მენეჯმენტის“ სპეციალობით მომზადებული ბაკალავრები ფართო პროფილის მმართველი სპეციალისტები უნდა იყვნენ. მათ ამ სფეროში დაგროვილი ცოდნა-გამოცდილებით არა მარტო უნდა მართონ არსებული ეკონომიკური სტრუქტურები, არამედ თვით ჩამოაყალიბონ ისინი და ეკონომიკური გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებით განსაზღვრონ მათი განვითარების ძირითადი ტენდენციები. ღრმა ეკონომიკური მომზადება მათ საშუალებას მისცემს შეიმუშაონ ეფექტური სამმართველო სტრატეგიები და მიიღონ ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებები. სწავლების პროცესის სტრუქტურა ხელს უწყობს მენეჯერთა მიერ მართვის ფუნდამენტური პრინციპების შეთვისებას, ასევე სამმართველო ხელოვნების დაუფლებას, უზრუნველყოფს მენეჯერული საქმიანობის ინდივიდუალური სტილის გამომუშავებას.

მენეჯერის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა დასაქმება შესაძლებელია ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა იერარქიულ დონეზე, ორგანიზატორ-განმკარგულებლად, ეკონომიკურ ექსპერტად, მრჩევლად და მიკროსტრუქტურების ხელმძღვანელად.

„ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის“ სპეციალობით კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნეს-ადმინისტრატორის კვალიფიკაცია არჩეული სპეციალიზაციების მიხედვით:

1. სამრეწველო წარმოებაში;
2. სამშენებლო წარმოებაში;
3. კომუნიკაციების სფეროში (კავშირგაბმულობაში);
4. მომსახურების სფეროში;

დასპეციალება მეორე კურსიდან ხდება.

ბიზნეს-ადმინისტრატორის, როგორც თანამედროვე წარმოების წამყვანი სპეციალისტის, საუნივერსიტეტო მომზადება ხორციელდება მაკროეკონომიკურ დონეზე მუშაობისათვის: ეკონომიკური, ორგანიზატორული, დაგეგმვისა და მართვის, ანალიზური, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო საქმიანობის დარგში. წარმოების მენეჯერები ფაქტიურად დაეუფლებიან საწარმოო სამეურნეო მექანიზმის ორგანიზატორულ-მეთოდურ საფუძვლებს, ზოგად-ეკონომიკურ, საინჟინრო და კონკრეტულ ეკონომიკურ ცოდნასთან ერთად იძენენ სპეციალურ განათლებას ორგანიზატორული მუშაობის დარგში. ისინი შეიძლება დასაქმებული იყვნენ სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საექსპერტო-საკონტროლო დაწესებულებებში და საკონსულტაციო ფირმებში, სახელმწიფო მართვისა და ადმინისტრაციულ ორგანოებში; საექსპერტო-სარევიზიო და საკონტროლო სამსახურებში; საერთაშორისო პროგრამებში; ბიზნეს-სტრუქტურებში.

ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაცია. ბაკალავრები დაუფლებული არიან ეკონომიკის ფუნქციონირების თეორიულ საფუძვლებს და ზოგადეკონომიკურ კანონზომიერებებს; იცნობენ თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების მიღწევებს; შეუძლიათ ეკონომიკური პროცესების მოდელირება მიკრო და მაკრო დონეზე, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ხელეწიფებათ ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებების მიღება.

აღნიშნული სპეციალობის ბაკალავრები, როგორც ფართო პროფილის ეკონომისტები, კარგად ფლობენ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდებს და მზად არიან საგეგმო-ეკონომიკური ანალიზური, ორგანიზაციულ-მმართველობითი და კვლევითი საქმიანობისათვის, როგორც ფირმებსა და საწარმოებში, ასევე მაკროდონის სახელმწიფო სტრუქტურებში. მათ შეუძლიათ, აგრეთვე, იმუშაონ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

ეკონომიკური ინფორმატიკის სპეციალობით კურსდამთავრებულ ბაკალავრებს შესწავლილი უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური ინფორმაციის სპეციფიკური თავისებურებები. ამისათვის კარგად უნდა იცნობდნენ ეკონომიკურ სისტემებს და შეეძლოთ ინფორმაციული მახასიათებლებით დაახასიათონ მათი მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები. მათ ენიჭებათ საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემების მენეჯერის კვალიფიკაცია.

ეკონომისტ-ინფორმატიკოსები გამოირჩევიან მრავალპროფილიანობით: მათ თანაბრად შეუძლიათ საქმიანობის წარმართვა საწარმოო სისტემების ეკონომიკურ ქვედანაყოფებში როგორც ეკონომისტებს, ნებისმიერი იერარქიის დაწესებულებაში – როგორც საინფორმაციო სისტემების მენეჯერებს, გამოთვლით ცენტრებში – როგორც ინჟინერ-პროგრამისტებს. ასევე წარმატებით შეუძლიათ მიღებული ცოდნის გამოყენება საბანკო სფეროსა და სხვა არასაწარმოო სტრუქტურებში. კურსდამთავრებულებს ფართო ერუდიცია და მათემატიკური მომზადება, გამოთვლითი ტექნიკის სრულყოფილი ცოდნა საშუალებას აძლევს იმუშაონ საშუალო და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობით კურსდამთავრებული ბაკალავრები აღჭურვილნი არიან ფართო ფუნდამენტური, სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადებით. ზოგად ეკონომიკური კანონზომიერებების ცოდნით აღჭურვილებს, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოებრივ დონეზე საბაზრო ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტაში. ამ სპეციალობით კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ ეკონომიკის განვითარების ისტორიის ღრმა ცოდნის საფუძველზე აკეთებდნენ ანალოგებს, სწორად ესმოდეთ მაკრორეგულირების გავლენა მიკროეკონომიკურ სტრუქტურებზე; ძირფესვიანად იცნობდნენ ქვეყნის სამხარეო თავისებურებებსა და ადგილობრივი მმართველობის თანამედროვე სისტემებს; სწორად ახდენდნენ მიმდინარე ეკონომიკური პროცესების იურიდიულ იდენტიფიკაციას; განასხვავებდნენ სახელმწიფო სტრუქტურების მენეჯმენტის თავისებურებებს.

სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობით კურსდამთავრებულნი გვევლინებიან ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურების ექსპერტებად. მათ წარმატებით შეუძლიათ დაიკავონ თანამდებობები სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში, რომლებიც ითვალისწინებენ საბაზო უმაღლესი განათლების სპეციალისტთა დასაქმებას. სწავლების ფართო სპექტრი საშუალებას იძლევა კურსდამთავრებულები გამოყენებულ იქნენ მაკროეკონომიკური სტრუქტურების მმართველებადაც. ცხადია, სპეციფიკური განათლება საშუალებას აძლევს მათ შეიმუშაონ სწორი სტრატეგიები მართვის სამხარეო და მუნიციპალურ დონეზე.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელსაც მიენიჭება „საგარეო ეკონომიკური კავშირების მენეჯერის“ „კვალიფიკაცია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობით, უნდა ჰქონდეს ფუნდამენტური ეკონომიკური განათლება და იცნობდეს იმ იურიდიულ კანონებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო ურთიერთობებს საერთაშორისო ბიზნესის სფეროში. ამის განსახორციელებლად ბოლო წლებში ბევრი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, გარდა სპეციალური ეკონომიკური სამსახურებისა, განათლების ფართო სპექტრი საშუალებას აძლევთ იმუშაონ სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურებში სპეციალისტებად, საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დამუშავებაში საბაზო უმაღლესი განათლების მქონე სტატუსის თანამდებობათა დასაკავებლად.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნილება ჯანდაცვის სფეროში იმ სპეციალისტებზე, რომლებიც კარგად იცნობენ სამედიცინო ტექნიკას, მკურნალობის ტექნოლოგიას, ფლობენ ეკონომიკისა და მენეჯმენტის ძირითად კანონზომიერებებს და შეუძლიათ თვისებრივად ახალი ტიპის სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია. სწორედ ამგვარი სპეციალისტების – ჯანდაცვის მენეჯერთა მომზადების მიზნით მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მოხდა მომიჯნავე პროფილების გაერთიანება.

შრომის ორგანიზაციისა და შრომითი რესურსების მართვის სპეციალობით კურსდამთავრებულნი ძირითადად მაკროეკონომიკურ დონეზე შრომითი პროცესების ორგანიზატორები ხდებიან, ისინი ნაყოფიერად მუშაობენ შრომისა და ხელფასის, კადრების განყოფილებებში, ხელმძღვანელობენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიებს და ეწევიან ექსპერტულ მუშაობას პერსონალის მართვის საკითხებზე. ამასთან, მათი მოღვაწეობის სფერო არ არის შეზღუდული და ისინი, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნენ შრომის ბირჟებზე, დასაქმების სახელმწიფო სტრუქტურებსა და სოციალური დაზღვევის დაწესებულებებში. მენეჯერული მომზადების მაღალი დონე და საფუძვლიანი ეკონომიკური განათლება წინაპირობას ქმნის სხვადასხვა დონის სამეურნეო ერთეულებში მათი ხელმძღვანელებად გამოყენებისათვის.

მომავალი სასწავლო წლიდან ჩვენს ფაკულტეტზე გაიხსნება მაგისტრატურა.

ნუგზარ პაიჭაძე,
მაკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი



გეოგრაფიისა და გეოლოგიის სწავლებისა და მეცნიერული კვლევის მნიშვნელობაზე მკაფიოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ პროფილის კათედრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ჩაეყარა საფუძველი. 1920 წლის ივნისში, უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების განყოფილებასთან ჩამოყალიბდა ზოგადი გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრა, მოგვიანებით კი – ეკონომიკური გეოგრაფიისა და გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრები.

სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოში გეოგრაფიულ და გეოლოგიურ გამოკვლევათა შინაარსიანი და ნაყოფიერი ხანა. ქართული გეოგრაფიული და გეოლოგიური სამეცნიერო სკოლის სათავეებთან იდგნენ გამოჩენილი მეცნიერები, აკადემიკოსები: ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, ალექსანდრე თვალჭრელიძე და პროფესორი გიორგი გეხტმანი.

1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოთხი კათედრით: ფიზიკური გეოგრაფიის, ქვეყანათმცოდნეობის, ნიადაგმცოდნეობის და გეოლოგიის. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდის პარალელურად მიმდინარეობდა სისტემატური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რამაც განაპირობა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტთან შექმნილიყო გეოგრაფიის და გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც 1945 წელს შეიდნენ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში.

ამჟამად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ცხრა კათედრაა: ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს დაცვის (გამგე – პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე), სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის (გამგე – პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე), გეომორფოლოგიის და გეოეკოლოგიის (გამგე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ზურაბ ტატაშიძე), კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის (გამგე პროფესორი – ნიკოლოზ ბერუჩაშვილი), ხმელეთის ჰიდროლოგიის და ნიადაგმცოდნეობის (გამგე – პროფესორი გურამ გრიგოლია), მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის (გამგე – პროფესორი არჩილ ხანთაძე), გეოლოგია-პალეონტოლოგიის (გამგე – პროფესორი ვერნი ალფაიძე), მინერალოგია-პეტროგრაფიის (გამგე – პროფესორი ბეჟან თუთბერიძე), სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების (გამგე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი თამაზ ჭელიძე).

სტუდენტთა პროფესიული დაოსტატების საქმეს ფაკულტეტზე ემსახურება: მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი, აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელი, გეოეკოლოგიის, არქეოლოგიური ძეგლების ძიების გეოფიზიკური მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, დედამიწის დისტანციური ზონდირების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, იუნესკოს ოკეანოგრაფიის სამეცნიერო ცენტრი და სამი მუზეუმი (მინერალოგიის, პალეონტოლოგიის და გეოგრაფიის). ფაკულტეტზე მოღვაწეობს მეცნიერებათა აკადემიის 3 ნამდვილი წევრი, 2 წევრ-კორესპონდენტი, 24 მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე ათეული მეცნიერებათა კანდიდატი.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სტუდენტთა მიღება წარმოებს როგორც დღის, ასევე დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე შემდეგი სპეციალობებით: გეოგრაფია; ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია; გეომორფოლოგია და გეოეკოლოგია; მეტეოროლოგია; ჰიდროლოგია და ჰიდროეკოლოგია, გეოლოგია; სასარგებლო ნამარხების ძიების გეოფიზიკური მეთოდები. სწავლება ორსაფეხურიანია. შესაბამისი სპეციალობების მიხედვით მზადდება ბაკალავრები (4-წლიანი სასწავლო პროგრამით) და მაგისტრანტები (2-წლიანი სასწავლო პროგრამით). წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ შვიდი სახელობითი და ერთი რესპუბლიკური მნიშვნელობის სტიპენდია.

ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, უკანასკნელ წლებში, დროებით შეწყდა სტუდენტთა შორეული პრაქტიკები. ამჟამად ისინი საწარმოო პრაქტიკას ფაკულტეტის სასწავლო ბაზებზე, დარგობრივ უწყებებსა და განათლების სისტემაში გადიან, მონაწილეობენ კომპლექსურ ექსპედიციებში...

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ტრადიციულად გამოირჩევიან აქტიური ცხოვრების სტილით, შემოქმედებითი ნიჭით. თქმულის დადასტურებად ისიც იკმარებს, რომ 1996 და 1997 წლებში ფაკულტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის წევრები უნივერსიტეტის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო 7 სტუდენტი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში საქართველოს პირველ ლიგაში თამაშობს.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ინსტიტუტებში, სპეციალიზაციის შესაბამის სახელმწიფო დეპარტამენტებში, ბუნებისდაცვით ორგანიზაციებში, განათლების სისტემაში... ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა სამთავრობო სტრუქტურათა დაინტერესება გეოგრაფიული პროფილის სპეციალისტთა მიმართ. ამის შედეგად ფაკულტეტის რამდენიმე თანამშრომელი დაინიშნა ელჩად ან კონსულად, მიწვეულ იქნა პასუხსაგებ თანამდებობებზე პრეზიდენტის აპარატში, სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტში, არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა საკმაოდ ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი.

თვალსაჩინოა ქართული გეოლოგიური სკოლის მიღწევები, რამიც ჯეროვანი ადგილი უნივერსიტეტელ მეცნიერებს ეკუთვნით: რეგიონული გეოლოგიისა და სტრატიგრაფიული პალეონტოლოგიის დარგში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა ქართველ გეოლოგებს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. ზუსტი სტრატიგრაფია საწინდარი გახდა საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური აგებულებისა და ტექტონიკური მოვლენების სწორი შეფასებისათვის.

უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში გეოლოგიურ მეცნიერებაში მომხდარი ძვრებისა და ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის თეორიის დამკვიდრებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა წარმოდგენა არა მარტო ლითოსფეროს აგებულებისა და განვითარების, არამედ მისი ცალკეული ნაწილების პირველყოფილი განლაგების შესახებ. ამ პრობლემათა შესწავლაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა პალეობიოგეოგრაფიულმა კვლევამ, რის გამოც გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრაზე ტრადიციული პალეონტოლოგიური, სტრატიგრაფიული და ტექტონიკური კვლევის პარალელურად მიმდინარეობს ამ ახალი და განვითარებადი დარგის მიმართულებით მუშაობა, რომელიც მოიცავს არა მარტო საქართველოსა და კავკასიას, არამედ ხმელთაშუაზღვიურ ნაოჭა სარტყელსაც.

ასევე დიდ ყურადღებას იმსახურებს ცეოლითური მინერალების მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობა. შეიქმნა ახალი მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი ცეოლითების წარმოშობისა და ურთიერთკავშირების კანონზომიერებათა გამოვლენას. განსაკუთრებულია ინტერესი მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ისინი შეუცვლელია, როგორც მოლეკულური საცრები, რადიაქტიურ და სხვა მავნე ნივთიერებათა დამჭერები, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში გამოსაყენებელი ნედლეული.

ძიების გეოფიზიკური მეთოდები საქართველოში 30-იანი წლებიდან დაინერგა. ჩატარდა არაერთი საინტერესო მეცნიერული გამოკვლევა, რომლებიც თანადროულად არსებითი პრაქტიკული შედეგებით დასრულდა. მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის დაკვეთით გეოფიზიკის სპეციალობის მეცნიერები ფოთის მიდამოებში ეძებდნენ დაკარგულ ქალაქ ფაზისს. ელექტრული და სეისმური მეთოდებით დადგინდა მდინარე ფაზისის (რიონის) ძველი კალაპოტის კვალი. ამავე მეთოდებით ნაპოვნია ურეკის რკინამშეცველი ქვიშების ნიშნები სანაპიროდან მოშორებით. ნაქალაქარის კვალი ჯერჯერობით არაა მიკვლეული. ძიება გრძელდება.

გეოლოგიური მიმართულების სამეცნიერო გამოკვლევათა შედეგებზე, მათ მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე, დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ. ამ სფეროში, უნივერსიტეტელი გეოლოგების მიერ, არაერთი სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაა გამოცემული. მომავალ გეოლოგ-სტუდენტებს მეცნიერების ფართო თვალსაწიერი, უამრავი საინტერესო და ჩვენი ქვეყნისთვის საკეთილდღეო საქმე ელით.

გეოგრაფიული პროფილის სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა: ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; საქართველოს ლანდშაფტების კომპლექსური კვლევა სხვადასხვა (სოფლის მეურნეობის, რეკრეაციის, ბუნებრივი პოტენციალის, მეურნეობის დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების) მიზნებისათვის. თვალსაჩინოა ქართველ გეოგრაფთა წვლილი მოსახლეობის განსახლების, ეთნოგეოგრაფიის, ტურიზმის, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ-გეოგრაფიული შესწავლის საქმეში.

საქართველო ბუნებრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასევე მრავალფეროვანია იმ უარყოფით ეკოლოგიურ თუ გეოგრაფიულ პროცესთა გამოვლინების ფორმები, რომლებიც არასასურველ გამოვლენას ახდენენ როგორც ბუნებაზე, ასევე მეურნეობაზე. ამის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ გამოკვლევათა დროული განხორციელება, რომელთა შედეგებს ფასდაუდებელი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ მეწყერების, ღვარცოფების, ეროზიული პროცესების, დაჭაობება-დამლაშებისა თუ სხვა კატასტროფულ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე დიდი სამუშაოები ჩატარდა ალბათური (სტოქასტური) ჰიდროლოგიის, ჰიდროეკოლოგიის, მდინარეთა მყარი ნატანის, კალაპოტური პროცესების და შავი ზღვის პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით. მონტე-კარლოს მეთოდით ჰიდროლოგიაში ხელოვნური რიგების მოდელირებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას – სტოქასტურ ჰიდროლოგიას. ამ სფეროში გამოქვეყნებულმა სამეცნიერო შრომებმა ფართო რეზონანსი ჰპოვა მსოფლიოში.

ფაკულტეტზე მუშავდება ისეთი აქტუალური თემატიკა, როგორიცაა: ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების შესწავლა მთიანი ტერიტორიებისთვის; კლიმატის დათბობისა და სათბურის ეფექტის გლობალური და რეგიონული თავისებურებანი; ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების შემუშავება, როგორც ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის შემცირების ეფექტური ღონისძიება.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით უნივერსიტეტელ გეოგრაფებს აფხაზეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის კარსტული რაიონების, საქართველოს მღვიმეების კომპლექსური შესწავლის საქმეში, რასაც უდიდესი პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. ახალი ათონის, სათაფლიისა და წყალტუბოს კარსტული გამოქვაბულები მთელს მსოფლიოშია ცნობილი. კარსტული ლანდშაფტების კვლევაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სპეციალისტთა ჯგუფს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ.

გასულ წელს საყოველთაოდ აღინიშნა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავი. იუბილესთან დაკავშირებით, პირველად გამოიცა ვახუშტისეული „საქართველოს ატლასი“, რომლის კარტოგრაფიულ გაფორმებაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის თანამშრომლებმა. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ აღმოსავლეთ ევროპაში პირველად გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩაეყარა საფუძველი და სტუდენტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს გეოინფორმაციული სისტემების გამოყენება, როგორც ქალაქების, ასევე კომპლექსური რეგიონული (რაჭა-ლეჩხუმის) და მსხვილი გეოგრაფიული ერთეულების (კავკასიის) ატლასების შექმნა-შემუშავების პროცესში. კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, ფართოდ დაინერგა გეოგრაფიულ გამოკვლევებში და სასწავლო პროცესში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული განათლების სისტემა უმეტესწილად მოძველებული, უცხოენოვანი სასწავლო თუ მეთოდური ლიტერატურის ამარა დარჩა. ამის გამო, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა აღნიშნული ხარვეზის შესავსებად. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე გამოიცა რამდენიმე სახელმძღვანელო როგორც უმაღლესი, ასევე საშუალო სკოლებისათვის. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი ითარგმნა არაქართული სკოლებისათვის რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. გეოგრაფიის სწავლების ხაზით ასევე მუშავდება მეტად საინტერესო და თანადროული თემატიკა: „ეკოლოგიური განათლება და ეკოლოგიური აღზრდა სკოლაში“.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ისიც, რომ ქართველ მეცნიერთა მონოგრაფიებსა თუ სასწავლო ლიტერატურას კარგად იცნობენ საზღვარგარეთის ქვეყნებში. ჩვენი ფაკულტეტის მეცნიერები მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ საერთაშორისო კონგრესებისა თუ კონფერენციების მუშაობაში, საერთაშორისო ექსპედიციებში, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმართება. მიუხედავად სირთულეებისა, 1994-1997 წლებში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ძალებით გაიმართა რამდენიმე: ფრანგულ-ქართული, ქართულ-ბრიტანული, ქართულ-რუსული და ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო სემინარი. ჩვენთან სტაჟირება გაიარა ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი სამეცნიერო ცენტრების რამდენიმე ათეულმა თანამშრომელმა.

და ბოლოს, 27 თებერვალს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდური კათედრის გახსნას. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატს, ფაკულტეტთა სამეცნიერო-საბჭოებსა და დეკანატებს, რომელთა ძალისხმევითაც დასაბამი ეძლევა საქართველოს გეოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლებას. მართლაც, წარმოუდგენელია განათლებული მოქალაქე ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე.

ოთარ ხმალაძე,
გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

პროექტი

საქართველოს კანონი

საკრებულოების არჩევნების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. არჩევნების საფუძვლები

1. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების (ტექსტში შემდგომ - "საკრებულოები") არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

2. სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის საკრებულოებში არჩევნები ტარდება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

3. რაიონის, ქალაქების - თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნები ტარდება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

4. საკრებულოების წევრები აირჩევიან 3 წლის ვადით.

მუხლი 2. საკრებულოების არჩევნების კანონმდებლობა

საკრებულოების არჩევნების ორგანიზაცია და მათი ჩატარება რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ", ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 3. საყოველთაო საარჩევნო უფლება

1. საკრებულოს წევრების არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა და კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულები არიან შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 21 წელი შეუსრულდა, კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 5 წლისა, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

2. საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება ერთდროულად იყოს ორი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენ:

ა) მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო;

ბ) მოქალაქენი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით იმყოფებიან სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში;

გ) არჩევნების დღისათვის საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით მცხოვრები საქართველოს მოქალაქენი.

3. საქართველოს მოქალაქეობის მქონე სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ მხოლოდ რაიონის, ქალაქების – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებში შესაბამისი სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილის მიხედვით.

4. საკრებულოს წევრად არ შეიძლება არჩეული იქნეს პირი, რომელსაც პირადი განცხადებით ვადამდე შეუწყდა რომელიმე საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში.

მუხლი 4. თანასწორი საარჩევნო უფლება

საკრებულოების წევრების არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს. საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში მონაწილეობენ თანასწორ საფუძველზე.

მუხლი 5. პირდაპირი საარჩევნო უფლება

საკრებულოების წევრების არჩევნები პირდაპირია. საკრებულოების წევრებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 6. ფარული კენჭისყრა

საკრებულოების წევრების არჩევნების დროს კენჭისყრა ფარულია, კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 7. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

1. საკრებულოების წევრების არჩევნების ჩატარებას და მოქალაქეთა საარჩევნო უფლების განხორციელებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (ტექსტში შემდგომ - "პარტიების"), საარჩევნო ბლოკების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

2. საარჩევნო კომისიები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებელნი არიან სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან.

მუხლი 8. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

1. საკრებულოების წევრთა არჩევნების მომზადებაში მონაწილეობას იღებენ საარჩევნო კომისიები, პარტიები, საარჩევნო ბლოკები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, ამომრჩეველთა ჯგუფები და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები.

2. საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადება და ჩატარება ხორციელდება ღიად და საჯაროდ.

3. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს და ამომრჩეველთა სიებს, აწვდიან ცნობებს საკრებულოების წევრობის კანდიდატის (ტექსტში შემდგომ - კანდიდატი) დასახელების და რეგისტრაციის შესახებ, თითოეული კანდიდატის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

მუხლი 9. საკრებულოების შემადგენლობა

1. საკრებულოები შედგება:

ა) ცხრა წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 1 000;

ბ) ცამეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 5 000;

გ) ჩვიდმეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 10 000;

დ) ცხრამეტი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 30 000;

ე) ოცდაერთი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 50 000;

ვ) ოცდახუთი წევრისაგან, თუ შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობა 50 000-ზე მეტია.

2. ქალაქების - ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოები შედგება 30 წევრისაგან.

3. ქალაქ თბილისის საკრებულო შედგება 45 წევრისაგან.

4. საკრებულოებში ასარჩევ წევრთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა რაოდენობის (არჩევნების წლის 1 იანვრის მდგომარეობით) მიხედვით.

5. საკრებულოს ახალი შემადგენლობის და მისი წევრების უფლებამოსილებები იწყება, ხოლო საკრებულოს ძველი შემადგენლობის და მისი წევრების უფლებამოსილებები წყდება შესაბამისი საკრებულოს არჩევნების შედეგების ოფიციალური გამოცხადების დღიდან.

მუხლი 10. საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისა და კანდიდატის დასახელების უფლება

საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის და კანდიდატის დასახელების (წარდგენის) უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პარტიებს და მათ გაერთიანებებს - საარჩევნო ბლოკებს, რომლებიც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციას გაივლიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფებს, რომლებიც საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციას გაივლიან შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 11. საკრებულოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

საკრებულოს წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 12. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა, საარჩევნო ფონდი

1. საკრებულოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას ყოველი საკრებულოს მიხედვით განსაზღვრავს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს მათ ფაქტობრივ ოდენობას. არჩევნების დამთავრების შემდეგ სამი თვის ვადაში მათ ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

2. არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის გამოყოფას და კომისიის ანგარიშზე მის ჩარიცხვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არჩევნებამდე არა უგვიანეს 90 დღისა. საარჩევნო კომისიების დაფინანსება ხდება მხოლოდ სახელმწიფო ხარჯით.

3. არჩევნებში მონაწილე პარტიებს, სარჩევნო ბლოკებსა და კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი სახსრები, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შემოწირულობანი. აღნიშნული მიზნით თავისი სახსრების გამოყენების თაობაზე შრომითი კოლექტივები (საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

4. საარჩევნო ფონდისათვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის და კანდიდატის ანგარიშსწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ შესაბამის განყოფილებაში) შესაბამის საარჩევნო კომისიაში შესაბამისი პარტიის, საარჩევნო ბლოკის, კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა აღნიშნულ ანგარიშზე ჩაირიცხება არჩევნებამდე არა უგვიანეს 50 დღისა.

5. არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე 60 დღით ადრე. საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილი თანხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მიმდინარე ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 55 დღისა. აღნიშნული კომისიებისათვის მიმდინარე ანგარიშები იხსნება საქართველოს ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში კომისიებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიებისათვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მათი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი.

6. საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამისი საკრებულოს ტერიტორიაზე არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ამის შემდეგ ორი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით, ხოლო სამი კვირის ვადაში მის ანგარიშზე ჩარიცხავენ თავიანთ ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

7. არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა წყდება ყოველგვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან. საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება შესაბამისი საკრებულოს სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.

8. თითოეული პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შესაბამისი საკრებულოს არჩევნებისათვის ამ მიზნით განსაზღვრული თანხის გახუთკეცებულ ოდენობას. საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგეობა - ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც შესაბამისად ნიშნავს არჩევნებში მონაწილე პარტიისა თუ საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენებისათვის.

9. არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა საოლქო საარჩევნო კომისიები აქვეყნებენ არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების მიერ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების დასკვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ საქართველოს კონტროლის პალატა, ცენტრალური და ქვემდგომი საარჩევნო კომისიები. ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების მართლზომიერებას - შესაბამისი ზემდგომი საარჩევნო კომისია და ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას კი - საქართველოს პარლამენტი და საქართველოს კონტროლის პალატა.

10. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოები, სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები, საარჩევნო კომისიების გამგებლობაში (განკარგულებაში) უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობებს. სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ თითოეული საკრებულოსათვის დადგენილი ფორმისა და მოცულობის ფარგლებში უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ ცნობებს, არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების და კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სხვაგვარი სარგებლობა ატარებს ანაზღაურებად ხასიათს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II

არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

მუხლი 13. არჩევნების დანიშვნა

1. საკრებულოების არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საკრებულოების უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა.

2. ყველა დონის საკრებულოების არჩევნები ტარდება სამ წელიწადში ერთხელ.

3. ცნობა საკრებულოების არჩევნების დანიშვნის შესახებ ქვეყნდება ცენტრალურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს სამი დღისა.

მუხლი 14. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია წარმოებს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი წესით.

თავი III

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები

მუხლი 15. საარჩევნო ოლქები

1. თითოეული სოფლის, დაბის, თემის და ქალაქის ტერიტორიაზე საკრებულოების ასარჩევად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

2. თითოეული რაიონის, ქალაქის - თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების ასარჩევად პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე იქმნება ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

3. საარჩევნო ოლქებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია.

4. საარჩევნო ოლქები იქმნება ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისად.

5. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში აქვეყნებენ ცნობას საარჩევნო ოლქის თაობაზე მისი საზღვრების მითითებით.

მუხლი 16. საარჩევნო უბნები

საკრებულოების არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი წესით იქმნება საარჩევნო უბნები.

თავი IV

საარჩევნო კომისიები

მუხლი 17. საარჩევნო კომისიები

1. საკრებულოების არჩევნების საარჩევნო კომისიების სისტემა, მათი ორგანიზაცია და უფლებამოსილება განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონითა და ამ კანონით.

2. საოლქო საარჩევნო კომისია არ იქმნება ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე თბილისის საკრებულოს არჩევნებისას პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. თბილისის საოლქო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ასრულებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ადგენს არჩევნების საბოლოო შედეგებს თბილისის საკრებულოში საქართველოს კანონის „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ თანახმად, ქალაქ თბილისის თითოეულ რაიონში შექმნილი საარჩევნო კომისიისაგან შემოსული საკრებულოს არჩევნების წინასწარი მონაცემებიდან.

მუხლი 18. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საარჩევნო კომისიის (გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა) გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების (მოქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისათვის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს ზემდგომი საარჩევნო კომისიისადმი წინასწარი მიმართვა.

თავი V

ამომრჩეველთა სია და ამომრჩევლის ბარათი

მუხლი 19. ამომრჩეველთა სია და ამომრჩევლის ბარათი

ამომრჩეველთა სიების შედგენის, მათში მოქალაქეთა შეყვანის, მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობის, ამომრჩეველთა ბარათების დარიგების, ამომრჩეველთა სიებში უსწორობის გასაჩივრების და ხმის მიცემის უფლების მოწმობის გაცემის წესი განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონით.

თავი VI

კანდიდატთა წარდგენა, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენი

მუხლი 20. პარტიული სიების წარდგენა

1. რაიონის, ქალაქების: თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიული სიების წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 28 დღისა.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღნიშნული საკრებულოების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგინოს თითო პარტიული სია. წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მანდატების შესაბამის რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში ასარჩევ საკრებულოს წევრთა გაორმაგებულ ოდენობას.

3. პარტიულ სიებში შეიძლება შეტანილ იქნენ მხოლოდ ამ პარტიის წევრები ან უპარტიოები, ხოლო საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში - მხოლოდ ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წევრები ან უპარტიოები. დაუშვებელია ერთი და იმავე პიროვნების შეყვანა სხვადასხვა პარტიულ სიაში.

4. კანდიდატთა შერჩევის წესსა და პარტიული სიების შედგენის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სია შედგენილი უნდა იყოს იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების შედეგად პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრულად სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით.

5. პარტიულ სიაში მითითებული უნდა იყოს თითოეული კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, პროფესია და ძირითადი საქმიანობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა. პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ან შესაბამისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის, ხოლო საარჩევნო ბლოკის პარტიულ სია - ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ან შესაბამისი რეგიონული ორგანოების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით.

6. პარტიულ სიებს თან უნდა ერთვოდეს ყოველი კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი, რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული პარტიული სიით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ იგი წარდგენილია მაჟორიტარ კანდიდატადაც ამ რაიონში შემავალ სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქშიც, - თანხმობა ამ ოლქში კენჭისყრაზეც. სააღრიცხვო ბარათებს პარტიის წარმომადგენელს წინასწარ გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისია. საბუთების მიღებისთანავე პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

მუხლი 21. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენა

1. სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის საკრებულოების არჩევნებში მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს და ამომრჩეველთა არანაკლებ ხუთკაციან საინიციატივო ჯგუფს განცხადების წარდგენის გზით.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში წარადგინოს ამ კანონის მე-9 მუხლის I პუნქტის მიხედვით შესაბამის საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის ტოლი კანდიდატთა რაოდენობა. პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში შეიძლება აგრეთვე დასახელებული იქნეს ის პირიც, რომელიც შეტანილია შესაბამისი რაიონის საკრებულოს არჩევნებში წარდგენილ ამ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სიაში.

3. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში წარადგინოს საარჩევნო უფლების მქონე პირი, თუ მას მხარს უჭერს შესაბამისად სოფელში, დაბაში, თემში მცხოვრები არანაკლებ 20 ამომრჩეველი, ხოლო ქალაქში - არანაკლებ 100 ამომრჩეველი.

4. კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

5. საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის მიზნით პარტიამ, საარჩევნო ბლოკმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს კანდიდატთა სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია და ძირითადი საქმიანობა, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, პარტიულობა და საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგი წარდგენილია.

6. საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელ კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა, რის შემდეგაც უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის ან ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი და ტელეფონის ნომრები, აგრეთვე დამოუკიდებელი კანდიდატის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგი წარდგენილია დამოუკიდებელ კანდიდატად. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს კანდიდატის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად), რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში. სააღრიცხვო ბარათებს გასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისია. ერთ შევსებულ სააღრიცხვო ბარათს საარჩევნო კომისია გადასცემს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა, თუ შესაბამისი კანდიდატის მხარდამჭერთა ხელმოწერების საჭირო რაოდენობა მოგროვილია.

7. საბუთების მიღებისთანავე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღებისა და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების უფლების შესახებ, აგრეთვე ხელმოწერათა ბლანკები.

8. ხელმოწერათა შევსებული და გადანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ხელმოწერების ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-40 დღისა უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

9. კანდიდატთა წარდგენა იწყება არჩევნებამდე 48 და მთავრდება არჩევნებამდე 40 დღით ადრე.

მუხლი 22. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერთა სია და მისი შემოწმება

1. დამოუკიდებელი კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერებით შევსებული ყოველი ფურცლის თავში უნდა ეწეროს დამოუკიდებელი კანდიდატის ვინაობა და მისი მხარდაჭერის ტექსტი. ყოველი ხელმოწერის გასწვრივ მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, პირადობის მოწმობის (პასპორტის) სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი. ხელმოწერებისათვის შეიძლება ფურცლის ორივე მხარის გამოყენება. ხელმოწერები დანომრილი უნდა იყოს. ფურცელს ხელს უნდა აწერდეს ხელმოწერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და მითითებული უნდა იყოს მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

2. საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ შეამოწმონ ხელმოწერების ნამდვილობა. ბათილად მიიჩნევა იმ ბლანკზე შესრულებული ყველა ხელმოწერა, რომელიც დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ხელმოწერების შემგროვებლის მიერ. ბათილად მიიჩნევა აგრეთვე მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერა, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ხელმომწერი ამომრჩეველი, აგრეთვე სხვა პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა (გარდა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი შემთხვევებისა), თუ ეს წერილობით დაადასტურა თვით ამომრჩეველმა. თუ აღნიშნულ მიზეზთა გამო ხელმომწერთა რაოდენობა აუცილებელზე ნაკლები აღმოჩნდა, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს წინადადება ეძლევა სამი დღის ვადაში შეავსოს მხარდამჭერთა სია. ხელმოწერებზე ამომრჩეველთა პრეტენზია საარჩევნო კომისიის მიერ მიიღება მხარდამჭერთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

3. მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიის წევრებს და საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ორგანოებს. მხარდამჭერთა სიები ნადგურდება არჩევნებამდე 15-20 დღით ადრე.

მუხლი 23. პარტიული სიებისა და საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა რეგისტრაცია

1. პარტიულ სიას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, მისთვის პარტიული სიის წარდგენიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

2. საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია: დამოუკიდებელ კანდიდატებს - მათი წარდგენიდან არა უადრეს მე-3 და არა უგვიანეს მე-8 დღისა, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ დასახელებულ კანდიდატებს - მათი წარ-

(იხილეთ მე-6 გვერდი).

პროექტი

საქართველოს კანონი

საკრებულოების არჩევნების შესახებ

(მე-5 გვერდიდან)

მოდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. კანდიდატთა რეგისტრაცია მთავრდება არჩევნებამდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

3. კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ სამი დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიები კანდიდატებს გადასცემენ კანდიდატის მოწმობებს.

4. პარტიული სიის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ არის შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათ რეგიონულ ორგანოთა ხელმძღვანელ პირთა) მიერ ხელმოწერილი განცხადება, ყოველი კანდიდატის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემული სიით.

5. საარჩევნო ოლქში წარმოდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება, თუ წარმოდგენილია შემდეგი საბუთები: პარტიის ან მისი რეგიონული ორგანოს ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ან მათ რეგიონულ ორგანოთა ხელმძღვანელ პირთა) წარდგინება, კანდიდატის შესაბამისი განცხადება იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში და სააღრიცხვო ბარათი, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატისათვის კი - კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება და მხარდამჭერთა სია.

6. თუ წარდგენილი საბუთები არ აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, საარჩევნო კომისია საბუთების მიღებიდან სამი დღის ვადაში აცნობებს ამის შესახებ საბუთების წარმომდგენთ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. საბუთები კომისიას შეიძლება ხელახლა წარედგინოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

7. დაუშვებელია ერთმა და იმავე პიროვნებამ კენჭი იყაროს სხვადასხვა პარტიული სიით ან შეტანილი იქნეს პარტიულ სიაში და იმავდროულად კენჭს იყრიდეს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი ან კენჭს იყრიდეს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევისა. ამ პირობათა დარღვევის შემთხვევაში, მისი კანდიდატურა არჩევნებიდან მოიხსნება შესაბამისი საოლქო ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ.

8. პარტიული სიები და მაჟორიტარი კანდიდატები ინომრება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მათი წარდგენის რიგის მიხედვით და გაზეთებში ქვეყნდება რეგისტრაციის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში საარჩევნო ოლქების მიხედვით. ამავე ვადაში ქვეყნდება იმ პარტიათა და საარჩევნო ბლოკების სია, რომელთაც უარი ეთქვათ სიების რეგისტრაციაზე, ან მაჟორიტარ კანდიდატის დასახელებაზე, აგრეთვე უარის თქმის მიზეზები.

9. რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, აგრეთვე დამოუკიდებელ კადიდატებს უფლება აქვთ უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივრონ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელისა - საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ საჩივრის შეტანიდან 2 დღის ვადაში.

მუხლი 24. კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

1. პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვთ კანდიდატის რეგისტრაციის შემდეგ არჩევნებამდე ნებისმიერ დროს კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე გააუქმონ თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. კანდიდატის კანდიდატურა არჩევნებიდან მოიხსნება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ ამ კომისიაში პარტიის, საარჩევნო ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენლის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

2. კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას, რომელმაც ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

3. ინფორმაციას კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების ან კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს შესაბამისი განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე სამ დღეზე ნაკლებია დარჩენილი–დაუყოვნებლივ.

მუხლი 25. საარჩევნო ბიულეტენი

1. საკრებულოების არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი.

2. რაიონის, ქალაქების – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ სახელწოდება, რომლითაც პარტია, საარჩევნო ბლოკი მონაწილეობს არჩევნებში მოცემულ საარჩევნო ოლქში (სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს თვით პარტიის სახელწოდება, ხოლო ბლოკისათვის–მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები), იმ თანამიმდევრობით, რომელიც წილისყრით განსაზღვრა შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ.

3. სოფლის, დაბის, თემის და ქალაქის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ შესაბამის საკრებულოში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის სახელი, მამის სახელი და გვარი იმ პარტიის, საარჩევნო ბლოკის სახელწოდების მითითებით, რომლის მიერადაც იქნა დასახელებული კანდიდატი. ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ დასახელებულ კანდიდატს მიეწერება–დამოუკიდებელი კანდიდატი. კანდიდატების თაობაზე მონაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი კანდიდატის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის თანმიმდევრობით.

4. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენების დამზადებას სახელმწიფო ენაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე საარჩევნო ოლქის მოსახლეობის უმრავლესობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

5. საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 7 დღისა. ყოველ საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი ხელმოწერით ადასტურებს.

თავი VII

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

მუხლი 26. საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

საკრებულოების არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები განისაზღვრება „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე.

თავი VIII

კენჭისყრის წესი, არჩევნების მეორე ტური და საკრებულოში არჩეულ წევრთა რეგისტრაცია

მუხლი 27. კენჭისყრის წესი

საკრებულოების არჩევნებისას კენჭისყრის დრო და ადგილი, კენჭისყრის მოწყობა განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონით დადგენილი წესის იდენტურად.

მუხლი 28. კენჭისყრის ჩატარება

1. საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირის, კანდიდატის, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლისა.

2. რაიონის, ქალაქების–თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია პარტიების და საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები, ამომრჩეველი შემოხაზავს მხოლოდ იმ პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენებს კი გადახაზავს.

3. სოფლის, დაბის, თემის და ქალაქის საკრებულოების არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების თაობაზე, ამომრჩეველი შემოხაზავს მხოლოდ იმ კანდიდატის რიგით ნომერს, რომელსაც აძლევს ხმას, დანარჩენებს კი გადახაზავს.

4. თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია დაუყოვნებლივ მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და იგი ცალკე შეინახება.

5. შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

6. კენჭისყრის შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

მუხლი 29. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

1. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა. მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე) და მდივანი და ესმება კომისიის ბეჭედი. ამავე წესით დაითვლება და პაკეტად შეიკვრება გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები.

2. ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, და არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები.

3. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ამის შესახებ კომისიის ახსნა-განმარტება უნდა დაერთოს ოქმს.

4. კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებულ სხვადასხვა სახის დადგენილი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას. ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის სხვადასხვა სახის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა.

5. ბიულეტენი ნამდვილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ ამომრჩეველმა შესაბამისად ერთ პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ან კანდიდატს მისცა ხმა ამ კანონით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება.

6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რომელ პარტიულ სიას ან კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება.

7. საარჩევნო ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

8. პროპორციული სისტემით არჩევნებისას კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაეწყოს, როგორც ამ მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სიის სახელწოდება, სიის ნომერი და ბიულეტენების რაოდენობა.

9. მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისას კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაეწყოს, როგორც ამ მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული. ყოველ კონვერტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მასში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა.

10. საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს, აფორმებს ოქმს, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში მონაწილე ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ქალაქების–თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის ტერიტორიაზე შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია აფორმებს ერთ ოქმს, რომელშიც მითითებულია ყოველი პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. ოქმის ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი შესაბამისად პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

11. ოქმის ორ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. ოქმის ერთი ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, ცალი კი უნდა ჩაბარდეს კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს.

12. საარჩევნო უბანში ხმების დათვლისას სავალდებულოა ამ მუხლით დადგენილი მოქმედებათა თანამიმდევრობის დაცვა.

მუხლი 30. საარჩევნო ოლქში არჩევნების შედეგების დადგენა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ და არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

1. რაიონის, ქალაქების–თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედი.

2. პროპორციული სისტემით სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად ამ სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში მანდატების რაოდენობაზე და გაიყოს ასეთი პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის ჯამზე. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი წარმოადგენს სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობას. ქალაქების – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოების არჩევნებში მანდატები ნაწილდება მხოლოდ იმ სიებზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არა ნაკლებ ხუთი პროცენტი.

3. იმ შემთხვევაში, თუ სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი საარჩევნო ოლქში მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებისაგან თითო მანდატი მიეკუთვნებათ იმ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს. თუ ორი ან მეტი სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი მიეკუთვნება მას, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

4. რაიონის, ქალაქების – თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოებში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა. სიის მიხედვით არჩეული საკრებულოს წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

5. სოფლის, დაბის, თემის და ქალაქის საკრებულოების არჩევნები მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობდა ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედი.

6. სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის საკრებულოების არჩევნებში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, კანდიდატთათვის მიცემული ხმების რაოდენობას, არჩევნების შედეგებს.

7. სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის საკრებულოების მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებიან ამ კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით საკრებულოში ასარჩევ წევრთა რაოდენობის შესაბამისად ის კანდიდატები, რომლებიც სხვებზე მეტ ხმათა რაოდენობას მიიღებენ. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კადიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული საოლქო საარჩევნო კომისიაში.

8. საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბანში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. საჩივარი კანონის დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა, ხოლო გადაწყვეტილება არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ კომისიამ უნდა მიიღოს ორი დღის ვადაში. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა არჩევნები ბათილად იქნეს ცნობილი, დაუშვებელია სიების ან კანდიდატების მიერ მიღებული ხმების დათვლა საოლქო საარჩევნო კომისიაში.

9. საარჩევნო ოლქში არჩევნები ბათილად იქნება ცნობილი, თუ იმ საარჩევნო უბნებში, რომლებშიც არჩევნები ბათილად ჩაითვალა, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 20 პროცენტზე მეტია.

10. თუ არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს.

11. თუ მეორე ტურში არჩევნები საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია მეორე ტურის ჩატარებიდან ორი თვის ვადაში ატარებს ხელახალ არჩევნებს.

12. საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს არჩევნების შედეგებს და ადგენს ოქმს.

13. ოქმის ცალთა რაოდენობა სამით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი შესაბამისად პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. ოქმს უნდა ესვას კომისიის ბეჭედი.

14. ოქმის პირველი ცალი არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი გადაეცემა საკრებულოს სამანდატო კომისიას და პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს.

15. საუბნო საარჩევნო კომისიების იმ ოქმების თითო ცალი, რომლებშიც შეჯამებულია სიებით ჩატარებული არჩევნების შედეგები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით.

16. ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) ყოველ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ნამდვილად და ბათილად ცნობილ ბიულეტენთა რაოდენობა (ცალკე უნდა იყოს აღნიშნული რამდენი იყო დაუდგენელი ნიმუშისა), არჩევნების შედეგად შესაბამისად ყოველი სიის ან კანდიდატის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობა.

ბ) იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე ამომრჩეველთა რაოდენობა მათში და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები;

გ) საკრებულოს ტერიტორიაზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ასარჩევ პირთა რაოდენობა, არჩეულ პირთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

17. შედეგების შეჯამებიდან ათი დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს ცნობას შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე არჩეული საკრებულოს წევრების პარტიულობა, დაბადების წელი, პროფესია, ძირითადი საქმიანობა, სამუშაო ადგილი.

მუხლი 31. არჩევნების მეორე ტური

1. არჩევნების მეორე ტური საარჩევნო ოლქში ინიშნება საერთო არჩევნებიდან ორი კვირის თავზე, თუ ამ ოლქში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი. მეორე ტურში მონაწილეობის უფლება აქვს პირველ ტურში მონაწილე ყველა პარტიას, საარჩევნო ბლოკს და დამოუკიდებელ კანდიდატებს.

2. მეორე ტურში არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება მიუხედავად მასში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობისა.

3. მეორე ტურში კენჭისყრა, ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების დადგენა ხდება ამ კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. სათანადო ოქმი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ხუთი დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს, ხოლო არჩევნების შედეგები ერთი კვირის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 32. არჩევნების შედეგების შეჯამება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ

1. ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე საკრებულოების არჩევნების ჩატარებიდან 20 დღის ვადაში თავის სხდომებზე აჯამებს პროპორციული სისტემით ასარჩევი საკრებულოების არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში.

2. ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი კი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს.

3. ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები. აგრეთვე ყოველი შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, არჩეულ საკრებულოს წევრთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

4. პროპორციული სისტემით ასარჩევი საკრებულოების არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია ოფიციალურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

მუხლი 33. საკრებულოში არჩეულ წევრთა რეგისტრაცია

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის, რაიონის, ქალაქების–თბილისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ცხინვალის საკრებულოში არჩეულ წევრებს და აძლევს მათ მოწმობას საკრებულოს წევრად არჩევის შესახებ.

მუხლი 34. საკრებულოს გამოკლებული წევრის შენაცვლება

თუ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მის ადგილს შესაბამის საკრებულოში ორი კვირის ვადაში დაიკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი (პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულოებისათვის) ან საკრებულოს წევრად აურჩეველ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი (მაჟორიტარული სისტემით არჩეული საკრებულოსათვის), თუ იგი 10 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კანდიდატი სიიდან ამოიღება და [illegible] ადგილს დაიკავებს მისი მომდევნო კანდიდატი. თუ წარდგენილ სიაში ასარჩევი კანდიდატი აღარ არის, მანდატი რჩება ვაკანტური საკრებულოების [illegible] არჩევნებამდე.

თავი IX

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 35. საკრებულოების პირველი არჩევნების ჩატარება და მათში მონაწილეობა

1. საკრებულოების პირველი არჩევნები არ ტარდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე, რომლებზეც არ ვრცელდება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა იურისდიქცია.

2. საკრებულოების პირველ არჩევნებში არ მონაწილეობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან იძულებით გადაადგილებული–დევნილი ამომრჩევლები.

მუხლი 36. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა საკრებულოების არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებამდე ამ კანონით მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების–საკრებულოების პირველი არჩევნების მომზადების და ჩატარების მიზნით ასრულებენ სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოები.

მუხლი 37. მოქალაქეთა ჩაწერის მონაცემების გამოყენება საკრებულოების არჩევნების დროს

თუ საქართველოს მოქალაქე შესაბამის ვადაში არ იქნება კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული რომელიმე საკრებულოს ტერიტორიაზე, საკრებულოების არჩევნებში მისი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და საცხოვრებელი ადგილის დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყოფილი ჩაწერის შენარჩუნებული და გადამოწმებული მონაცემები.

მუხლი 38. პასუხისმგებლობა არჩევნების შესახებ კანონის დარღვევისათვის

1. პირებს, რომლებიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლიან საქართველოს მოქალაქეს თავისუფლად განახორციელოს თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილება აირჩიოს და იყოს არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, ერევიან საარჩევნო კომისიების საქმიანობაში და ხელს უშლიან საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატების რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აქვეყნებენ ან სხვა საშუალებით ავრცელებენ [illegible] აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებმაც გააყალბეს საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალეს ხმები, დაარღვიეს კენჭისყრის საიდუმლოება, [illegible] ან არ შეასრულეს მათი გადაწყვეტილებები, ეკისრებათ სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო სამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს ან კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ კანონით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული რაოდენობის გადამეტებას ან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, [illegible] ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში–საკრებულოებში [illegible] მიერ მოპოვებული მანდატები [illegible] მომდევნო [illegible] განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წარმომადგენლობით ორგანოების–საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობა. ასეთი დარღვევების საქმეს განიხილავს სასამართლო, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზე მოხდა კანონის დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 39. კანონის ძალადაკარგულად ცნობა და კანონის ძალაში შესვლა

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1991 წლის [illegible] იანვრის საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების–საკრებულოთა არჩევნების შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები; 1991 წ., №1, მუხ.16).

2. ეს კანონი ძალაში შევა გამოქვეყნებისთანავე

რით განსხვავდება ინგლისელი დანარჩენი მამაკაცებისაგან?

ლონდონის ცენტრში რომ გაისეირნოთ, ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცთა ქალაქია. კაცების მოდის მსოფლიო სატახტო ქალაქად ოფიციალურად აღიარებული ლონდონი აშკარად ანიჭებს უპირატესობას ჯენტლმენების სამკერვალო მომსახურებას.

ნუ გეგონებათ, რომ ინგლისელი – ეს არის დარდიმანდი, ფრანტი და ნადიმებს გადაყოლილი კაცი. მისი მთავარი ღირსებაა თავშეკავება, კლასიკური გემოვნება და მუქი ტონები. 98 წლის ნიმუშის წმინდა წყლის ინგლისელი ჯენტლმენი გარეგნულად თითქმის სულ არ განსხვავდება 10, 20 წლისა და უფრო მეტი ხნის წინანდელ ინგლისელ ჯენტლმენებისაგან. ალბიონის მცხოვრებთ ყველაზე მეტად ახასიათებთ მიდრეკილება, ატარონ „წევრო საზოგადოების“ წევრის რაღაც სოციალური სტატუსით დაკანონებული უნიფორმა, რომელშიც შედის მუქი პალტო, მუქი კოსტიუმი, ღია ფერის პერანგი, მდიდრული ჰალსტუხი და, ბოლოს, ასევე მდიდრული ფეხსაცმელი. აი, ასეთი რამდენადმე ამპარტავნულ-ოფიციალური სამოსით დადის ინგლისელი სამსახურში, თეატრებსა და რესტორნებში, უბრალოდ მაღაზიებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბალ-პარკებში.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ იგი იცვლის ტანსაცმელს: თუ მეჯლისზე ან ოპერაში მიდის, იცვამს სმოკინგს და იკეთებს ჰალსტუხ-პეპელას, კრიკეტის თამაშის დროს ირთვება თეთრი კოსტიუმით, ასკოტის დოღზე მიდის ცილინდრით, ნაცრისფერი ფრაკით და რაც შეიძლება ჭყეტელა ფერის წინდებით, ვინაიდან ამ დღესასწაულზე იმართება ქალის საუკეთესო შლაპისა და მამაკაცის ყველაზე პიკანტური წინდების კონკურსი! მაგრამ, ინგლისელი პრაქტიკულად არსად და არასდროს არ იცვამს ქურთუკს, სპორტულ მაისურს და სანდლებს.

ქურთუკით ლონდონში მაშინვე იცნობ უცხოელებს, კერძოდ, რუს ტურისტებს, რაც შეეხება მაისურებს, ჯინსსა და სანდლებს,

ლონდონელი დენდი არ ცნობს არც ქურთუკს,
და არც ჯინსის შარვალს...

ეს პირტიტველა ყმაწვილების და ბოჰემის პრივილეგიაა. ყველაზე ძვირფასი ქაშმირის ჯემპრითაც კი ვერავინ გაბედავს შევიდეს კლუბში.

მკაცრი ჩაცმულობის გემოვნებას ჯენტლმენს პატარაობიდანვე უნერგავენ: ინგლისელი ბიჭუნები ძალიან ადრე სწავლობენ ჰალსტუხის შეკვრას, „დიდების“ პიჯაკისა და მოკასინების ტარებას, აგრეთვე, შილიფად ჩაცმას (ინგლისელს სიცივისა არ ეშინია!)

რა შედის ჯენტლმენის გარდერობში?

განვიხილოთ ჯენტლმენი თავით ფეხამდე, ანუ უფრო სწორად, ფეხებიდან თავამდე, და დავიწყოთ ფეხსაცმლით.

ნამდვილი ინგლისური ფეხსაცმელი – ეს არის გამძლე მაღალხარისხოვანი ტყავი, ხელით ნაკერი, პლუს ტრადიცია. უმჩატესი იტალიური შტიბლეტებისაგან განსხვავებით ინგლისური ფეხსაცმელი გაცილებით უფრო მძიმეა და, ერთი შეხედვით, ძვირფასი გაპრიალებული მერქნისაგან ჩამოსხმულს მოგაგონებს.

მამაკაცის ყველაზე ხარისხოვანი ფეხსაცმელია განთქმული „ჩერჩზის“ მარკა, რაც „საეკლესიოს“ ნიშნავს. ამ მარკის ფეხსაცმელები საშუალოდ 300-400 დოლარი ღირს, არასდროს არ გამოდის მოდიდან და შეადგენს რესპექტაბელურ მამაკაცთა კლასიკური გარდერობის ოქროს ფონდს. თუმცა, ლონდონში არის კიდევ უფრო ძვირფასი ფეხსაცმლის ოაზისები. სენტ-ჯეიმს-სტრიტზე მდებარე „ჯონ ლობის“ ატელიე, რომლის ასაკი ორ საუკუნეს ითვლის, მსოფლიოში საუკეთესო ფეხსაცმლის სამკერვალოდ ითვლება. ლობის ფეხსაცმელი შემკვეთს უჯდება მინიმუმ 1,5-2 ათასი დოლარი, და, ამას გარდა, – კლიენტი შეკვეთის შესრულებას ნახევარ წელიწადს ან უფრო მეტხანს ელოდება!

ახლა, რამდენიმე სიტყვა კოსტიუმებზე.

ინგლისელი არ ცდილობს ქუჩაში თავისი ჩაცმულობით მიიპყროს ყურადღება, მიუხედავად ამისა, მასობრივ კერვას მაინც ამჯობინებს ინდივიდუალურ მკერავს. თერძებით განთქმული სერვილ-რაუზე კოსტიუმის შეკერვა წარმოუდგენლად ძვირი ღირს, სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, იგი ტანზე ხელთათმანივით ზის და საერთოდ არ ცვდება. ცნობილია, რომ სევილროუზე „ტომი ნატერთან“ კოსტიუმებს იკერავდნენ ელტონ ჯონი, მიკ ჯაგერი და თვით „ბიტლზები“, ხოლო „ჯივს ენდ ჰოკისთან“ – ნელსონი და ველინგტონი.

ინგლისელები პირდაპირ ეთაყვანებიან ტვიდს. იგი ასევე არასდროს არ გამოდის მოდიდან, ბრიტანული ელეგანტურობის სიმბოლოდ ითვლება და ერთი შეხედვით ათას დოლარად ფასობს. არადა, პარისის ტვიდის საუცხოო პიჯაკი „ბოლდერს ენდ კოს“ მაღაზიაში „სულ“ 160 დოლარი ღირს.

როგორც ამბობენ, საუკეთესო პერანგები იყიდება ჯერმინ-სტრიტზე და – აქაც კერავენ შეკვეთით. შემჩნეულია, რომ მუქი, ჭყეტელა და კუბოკრული პერანგები ინგლისელებს არ უყვართ. ისინი ამჯობინებენ თეთრს და პასტელის ფერებისას. ამასთან, ფერადჰალსტუხიანი თეთრი პერანგი – ეს არის არა სადღესასწაულო, არამედ საყოველდღეო სამოსი.

საერთოდ კი, ილაპარაკო მოდაზე ინგლისელი ჯენტლმენის მიმართ, უაღრესად რთული საქმეა, ვინაიდან თვით ჯენტლმენის არსია არა სიახლე, არამედ ტრადიცია, – წერს ოლღა დმიტრიევა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ №60-ში.

საფრანგეთი: პოლიტიკური კრიზისი

ფრანგული პრესა, კერძოდ, გაზეთი „ლიბერასიონი“, ფართოდ აშუქებს დემონსტრაციებს, რომელთა ტალღამაც გადაუარა ქვეყანას წინა შაბათს. საფრანგეთის ქალაქების ქუჩებში გამოვიდა 180000 კაცი, რათა დაეგმოთ მემარჯვენეებისა და ულტრამემარჯვენე ეროვნული ფრონტის შეთანხმებანი. საფრანგეთში ძალაუფლებისათვის ტრადიციულად და გარდამავალი წარმატებით იბრძვიან მემარჯვენენი და მემარცხენენი. ახლა, მაგალითად, მემარჯვენე პრეზიდენტი მემარცხენე პრემიერ-მინისტრთან თანამშრომლობს. მაგრამ, სცენაზე სულ უფრო მტკიცედ გამოდის „მესამე ძალა“, და ეს თვალნათლივ ცხადყო რეგიონებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელობის არჩევნებმა. საერთოდ, გაიმარჯვეს მემარჯვენეებმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხმების 15 პროცენტზე მეტი მოაგროვა ეროვნულმა ფრონტმა. მეორე ტურის წინ მისმა ლიდერმა ჟან-მარი ლე პენმა მემარჯვენეებს შესთავაზა თავისი ამომრჩევლების მხარდაჭერა. იგი მიიღეს ხუთი რეგიონის მემარჯვენეთა ადგილობრივმა ლიდერებმა და გაიმარჯვეს კიდეც. სხვათა შორის, სწორედ ამ რეგიონებში მოეწყო ყველაზე მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები. ამ ფონზე პრეზიდენტი შირაკიც და პრემიერი ჟოსპენიც, თითოეული, თავის მხრივ, ცდილობს ხელთ იგდოს ინიციატივა. მაგალითად, პრეზიდენტმა წინა კვირაში ეროვნულ ფრონტს ბრალად დასდო ქსენოფობია და რასიზმი, და მოუწოდა უარი ეთქვა ლე პენის მხარდაჭერაზე, ახლა იგი მართავს კონსულტაციებს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის შესახებ. პრემიერმა განაცხადა, რომ თავის თვალსაზრისს გამოთქვამს ამ კონსულტაციების დამთავრებისთანავე. გაზეთი თვლის, რომ ეს ნამდვილი პოლიტიკური კრიზისია.

სუვენირად აისბერგის ნატეხი

ფილმ „ტიტანიკის“ უძლიერესი კომერციული წარმატების ტალღას, ზარმაცების გარდა, ყველანი მიჰყვნენ, წერს კანადის ნიუფაუნდლენდის პროვინციის გაზეთი „სენტ ჯონზ ტელეგრაფი“. ცნობისმოყვარე მომხმარებლისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამ პროვინციის ტურისტული ფირმებიც. მათი აზრით, დაუმსახურებლად ცოტა ყურადღება ეთმობა ფილმის ნამდვილ მთავარ გმირს აისბერგს. ახლა ტურისტებს სთავაზობენ ზღვაზე გასეირნებას იმ აისბერგების დასათვალიერებლად, გრენლანდიის ნაპირებიდან რომ მოაქვს დინებას კანადის წყლებში. კუნძულების მცხოვრებნი ზედაც არ უყურებენ დიდებულ ყინულის მთებს, ხოლო ტურისტებს ნამდვილად მოუნდებათ, ხელი მოჰკიდონ აისბერგს და პატარა ნატეხი სამახსოვროდაც წაიღონ. კანადის ზღვის დინამიკის ინსტიტუტის მონაცემებით, გრენლანდიასა და ნიუფაუნდლენდს შორის მოხდა აისბერგებთან ხომალდების შეჯახების 200 შემთხვევა. მათგან „ტიტანიკის“ შემდეგ ყველაზე დიდი იყო სამგზავრო გემის „ბოსტონის“ კატასტროფა, რომლის დროსაც 177 კაცი დაიღუპა.

ევროპის პრესა „ევროს ნაკრების“ 11 წევრის განცხადების შესახებ

ფრანგულ „ლიბერასიონს“ მოჰყავს ევროპის ერთიანი ვალუტის კომისრის ივ ტიბო დე სილგას სიტყვები: „მორაგბეთა ნაკრები (15 ქვეყნისა), რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წელიწადს სიამოვნებით დავჯერდები ფეხბურთელთა 11-კაციან გუნდსაც“, – ამბობს იგი. „ლიბერასიონი“ არ ვარდება ეიფორიაში ევროს შემოღებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ეს ისტორიულად აუცილებელი, მაგრამ სოციალურად მტკივნეული გზა ბევრ განსაცდელს მოუტანს ევროპას. ევროზე გადასვლა შეიძლება კოშმარად შემოგვიბრუნდეს, აცხადებს გაზეთი და აღნიშნავს ხუთ მთავარ საშიშროებას, რომლებსაც გამოჰყოფენ ეკონომისტები, როგორც ევროს მოწინააღმდეგენი, ისე – მომხრენი. ერთიანი ვალუტის შემოღების შემდეგ მოქალაქეებსა და საწარმოებს გაუადვილდებათ ერთმანეთს შეუდარონ ფასების დონე და ხელფასის ოდენობა, რაც კონკურენციის ზრდას გამოიწვევს. ამ მოვლენას, რომელიც მთლიანად, უდავოდ, სასიკეთოა, შეიძლება მოჰყვეს უმუშევრობის ზრდა და ბევრი საწარმოს გაკოტრება. გარდა ამისა, შესაძლოა გაღრმავდეს რეგიონული უთანასწორობა. შემდეგი მომენტი: დღეს უფრო ადვილია ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისის ლოკალიზება და მეზობელ ქვეყნებზე მისი გადასვლის თავიდან აცილება. ევროს შემოღების შემდეგ კი ეს გაცილებით უფრო პრობლემური გახდება. და, ბოლოს, ევროპის ცენტრალური ბანკი მომავალში თავის პოლიტიკას განსაზღვრავს საშუალო-ევროპული მაჩვენებლებიდან გამომდინარე. ესპანეთისა და იტალიის ტრადიციული ინფლაციის მიდრეკილების გათვალისწინებით დადგენილი საბანკო განაკვეთები ხელს შეუშლიან ჩრდილოეთის ქვეყნების ზრდას.

* * *

გერმანული „ბილდ ცაიტუნგი“ აქვეყნებს გერმანიის კანცლერობის კანდიდატის გერჰარდ შრედერის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ინტერვიუს. ევროზე გადასვლას, რომელიც 1999 წლის 1 იანვარს იწყება, მან ნაადრევი უწოდა. „ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ თავისთავად ევრო არ გამოიწვევს აყვავებას. პირველ ყოვლისა, ერთიანი ვალუტის შემოღება მოითხოვს სამუშაო ადგილების შემცირებას და მას მოჰყვება უმუშევრობის ზრდა“. როგორც შრედერმა განაცხადა, თუ მთავრობას სათავეში სოციალ-დემოკრატები ჩაუდგებიან, ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა მაქსიმალურად გააქარწყლონ სავალუტო გაერთიანების ნეგატიური შედეგები. პროცესის შეჩერებას კი ისინი მაინც ვერ შეძლებენ, ვინაიდან არჩევნები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მხოლოდ 27 სექტემბერს გაიმართება.

* * *

გერმანული „რაინიშე პოსტი“ უფრო პოზიტიურად აფასებს ახალ ვალუტაზე გადასვლას და მიაჩნია, რომ შეიძლება, შვებით ამოისუნთქო. სავალუტო კავშირი გახდება არა რჩეულთა კლუბი, არამედ 290-მილიონიანი მოსახლეობის ეკონომიკური სივრცე. თავისი ეკონომიკური გავლენით „ევროს ზონა“ არაფრით არ იქნება შეერთებულ შტატებზე ნაკლები, დასძენს გაზეთი.

* * *

შვედური გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი“ წერს იმ გამოკვლევების შედეგებზე, რომლებიც ევროპული კომისიის ხელშეწყობით მოაწყო ევროკავშირის ქვეყნების 27 უნივერსიტეტმა. ოთხ ქვეყანაში მოსახლეობამ გაილაშქრა ერთიანი ევროპული ვალუტის შემოღების წინააღმდეგ. ესენი არიან დიდი ბრიტანეთი, შვედეთი და დანია, რომლებიც ჯერჯერობით თავს იკავებენ ევროზე გადასვლისაგან, აგრეთვე, გერმანია, ხოლო ყველაზე დიდი ენთუზიასტები გამოდგნენ ესპანელები და იტალიელები, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ამ პატივის მოსაპოვებლად. ევროკავშირის 10 ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროს შემოღება უფრო საზიანო იქნება, ვიდრე სასარგებლო. ამასთან, პატარა ქვეყნები დარწმუნებული არიან, რომ ერთიანი ვალუტა, ძირითადად, ხელს აძლევს მხოლოდ დიდ ქვეყნებს. საგულისხმოა, რომ ევროს ყველაზე თავგამოდებულ მოწინააღმდეგეებად გამოდიან ისინი, ვინც ყველაზე ნაკლებად არის ინფორმირებული: გამოკითხულ შვედთა ნახევარმა არ იცის, რა ჰქვია ახალ ერთიან ვალუტას, არადა, სწორედ შვედები უდგანან სათავეში მის მოწინააღმდეგეთა სიას.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

უკანასკნელ გზაზე

გუშინ ქართულმა მიწამ მიიბარა სწორუპოვარი ფალავანი გივი კარტოზია. თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე აუნაზღაურებელი დანაკლისით მრავალი გულდამწვარი ადამიანი გამოვიდა მოგონებით, სიტყვით, მათ შორის – პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი:

ძალიან სჭირდებოდა საქართველოს

მახსენდება უნგრეთი, 1957 წელი. ორი ლომგული ქართველი იბრძოდა ორ ხალიჩაზე: მარჯვნივ გივი კარტოზია, მარცხნივ როსტომ აბაშიძე, ოირა კოჩიმ, ოირა კოჩიმ! – ყვიროდნენ უნგრელები. გივის გამოჭერილი ჰყავდა კისრით თავისი მსხვერპლი და როსტომს ეძახდა: მიდი როსტომ, მიდი როსტომ! როსტომმა ხალიჩას გააკრა მოწინააღმდეგე, გივიც თურმე ამას ელოდა და იმ წამსვე ბოლომდე გასწორა ჩემპიონობის მაძიებელი.

ორ ხალიჩაზე იდგა ორი გამარჯვებული და არ ვიცი, ისინი უფრო ბედნიერები იყვნენ თუ მე, რომელსაც წამით მეგონა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის შვილი ვიყავი. ჭკუა ამერია (ახალგაზრდა გახლდით), გადავევლე მოაჯირს, მომდევდა პოლიცია, არ იცოდნენ, ვინ ვიყავი და რა მინდოდა.

მივუახლოვდი ორ გამარჯვებულ ქართველს და ორ ცხვირსახოცში გახვეული ქართული მიწა მივართვი. ხოლო, ახლაც ყურს მიხედნის გივი კარტოზიას შეძახილი – „მიდი, როსტომ, მიდი, როსტომ!“ – „მოყმე ამაყად ყიოდა“ – უხდებოდა გივი კარტოზიას მოთა რუსთაველის ეს სტრიქონი.

მართლაც რუსთაველურად ხასიათდებოდა გივი კარტოზია: „უხვი, მდაბალი, მოწყალე, განგებიანი, თვით მეომარი უებრო“. „არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ მეუტყორცნია“. „ჰკრა ერთმანეთსა, დახოცნა თავსა ხელაუპყრობელად“.

იცოცხლა საქართველოსთვის, მოკვდა საქართველოსთვის გივი კარტოზია – ნორმა და ნიმუში კაცობისა, გმირობისა, ერთგულებისა, ქართველობისა. წავიდა. დასანანია.

„ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“. გივი კარტოზია დღეს ძალიან სჭირდებოდა საქართველოს.

იქ, მარადიულში გაუმარჯოს!

დამშვიდობება

მშვიდობით და გმადლობთ!



პანაშვიდი სპორტის სასახლეში.
ბესიკ კეზერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

(პირველი გვერდიდან)

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა. მიტინგზე გამოსული ორატორები მარტო გივი კარტოზიას ფასდაუდებელ სპორტულ დამსახურებაზე როდი ლაპარაკობდნენ.

მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი მის პატრიოტიზმს, კაცურ კაცობას, ორგანიზატორის, პედაგოგის დიდ ნიჭს. ითქვა, რომ საქართველოს ახლა სჭირდება ყველაზე მეტად სწორედ ასეთი შვილები – ძლიერი, ვაჟკაცი, კეთილი და სამართლიანი ადამიანები. გივი კარტოზია გაიხსენეს სხვადასხვა თაობისა და პროფესიის ადამიანებმა.

ამ დღეს ტკივილის გრძნობასთან ერთად, ყველას გვეუფლებოდა სიამაყის გრძნობაც. სიამაყისა ჩვენი თანამემამულის – დიდი ადამიანის გივი კარტოზიას გამო.

საქინფორმი.

ფეხბურთი

ანგარიშმა არ შეგაცდინოთ

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ოცდამეერთე ტური გუშინ გამართული ორი მატჩით დასრულდა. კალენდრით გათვალისწინებულია კიდევ ერთი შეხვედრა – „ოდიში“ – „დინამო“ – ზუგდიდში შექმნილი არასაფეხბურთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო გადაიდო. ისე, ბედი არ გინდა კაცს – ამ მეტოქეთა ორთაბრძოლები, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ხდება მოგვიანებით მოსაწყობი. რას იზამ, ამაში ფეხბურთელებს ოდნავადაც ვერ გაამტყუნებს გულშემატკივარი. მიზეზები ისევ 90-იანი წლების საქართველოში გამეფებულ ქაოსსა და განუკითხაობაში უნდა ვეძებოთ.

ახლა კი გუშინდელი მატჩების შესახებ. ორივე – „ტორპედო“- „დილა“ და „მერანი“- „მარგვეთი“ მასპინძლებმა ერთნაირი ანგარიშით – 1:0 მოიგეს, მაგრამ თავისებურებები ორივეს გააჩნდა.

კერძოდ, თუ ქუთათურებმა წარმატებას ყველასთვის კერკეტ კაკლად ქცეულ სტუმართა მედგარი წინააღმდეგობის დაძლევით მიაღწიეს, დედაქალაქში მშობლიურ – „სინათლის“ სტადიონზე დაბრუნებულმა ავჭალელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ ქარს გაატანეს დიდი სათამაშო უპირატესობა და აუტსაიდერთა კართან შექმნილი მრავალი სახიფათო მომენტიდან გოლით მხოლოდ ერთი დააგვირგვინეს.

ლიდერთა ჯგუფში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:

„დინამო“ – 48 (20 თამაშიდან), „ბათუმი“ – 44, „კოლხეთი“ – 42, „ოდიში“ – 41 (20 თამაშიდან), „ტორპედო“ – 39 ქულა.

XXI ტურში ერთმანეთს ხვდებიან – „მორკინალი“ – თსუ (10 აპრილს), „გურია“ – „სიონი“, „გორდა“ – „მერანი“, „მარგვეთი“ – „ტორპედო“, „დილა“ – „ოდიში“, „დინამო“ – „ბათუმი“, „სამგურალი“ – „კოლხეთი“ (11 აპრილს) და „ლოკომოტივი“ – „მაღაროელი“ (12 აპრილს).



სპორტი – ცხოვრების თანამგზავრი

ნახევარი საუკუნე – სამსაჯო მაგიდასთან

კალათბურთის გულშემატკივრებს, ალბათ, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ სამსაჯო მაგიდასთან ჭაღარათმიანი მანდილოსანი, ყველანი სიყვარულით დეიდა ლიზას რომ ეძახიან. იგი გახლავთ კალათბურთზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება, თბილისში გამართული შეჯიბრებების სული და გული **ლიზა აზიზოვა**. წლების განმავლობაში იგი რუდუნებით ემსახურება სპორტის ამ ლამაზ სახეობას. ასე იყო 28 მარტსაც – ვერის პარკის საკალათბურთო ცენტრში გამართულ თბილისის „დინამოსა“ და „შევარდენის“ ეროვნული ჩემპიონატის მატჩისას ქალბატონი ლიზა სამსაჯო მაგიდასთან იჯდა. არადა, იმ დღეს მას დაბადებიდან 69 და სამსაჯო მოღვაწეობიდან 50 წელიწადი შეუსრულდა.

– კალათბურთში შემთხვევით მოვხვდი. – იგონებს ქალბატონი ლიზა, მაშინ ვერაზე ვცხოვრობდი. პარკში ხშირად დავდიოდი. უწინ აქ კალათბურთის ღია მოედნები იყო, სადაც უამრავი ორთაბრძოლა იმართებოდა. პირველად ამხანაგებთან ერთად თბილისისა და ქუთაისის ვაჟ კალათბურთელთა მატჩს დავესწარი. ძალიან მომეწონა. მეორე დღეს ერთ-ერთ მწვრთნელთან მივედი და სექციაში ჩავეწერე. ეს იყო ომამდე. მას შემდეგ კალათბურთისათვის არ მიღალატია. ვთამაშობდი ფიზკულტურის ტექნიკუმისა და ინსტიტუტის გუნდებში, საქართველოს ნაკრების წევრიც ვიყავი. 1948 წლიდან არბიტრობაც დავიწყე. მიმსაჯია როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო თამაშები და ევროპის პირველობების მატჩები ქალთა შორის. 1954 წელს საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მომანიჭეს. ეს მაშინ დიდი პატივი იყო.

— ***წლების განმავლობაში ხშირად დადიოდით შეჯიბრებებზე. როგორ უყურებდნენ ოჯახში თქვენს „გასტროლებს“?***

– არც გათხოვებამდე და არც ოჯახის შექმნის შემდეგ ამ მხრივ პრობლემები არ მქონია. ჩემი მეუღლე, რობერტ კალაიჯევი, ცნობილი მოკრივე იყო, ევროპის ჩემპიონატის მცირე პრიზიორი. მან კარგად იცოდა სპორტის ფასი და ყოველმხრივ ცდილობდა, ხელი არ შემშლოდა.

— ***რომელი წარმატება დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?***

– ყველამ გულით გავიხარეთ, 1962 წელს თბილისის „დინამომ“ ოთარ ქორქიას ხელმძღვანელობით ჟენევაში მადრიდის „რეალი“ რომ დაამარცხა და ევროპის ჩემპიონთა თასი თბილისში ჩამოიტანა. ქალთა კალათბურთში კი საკავშირო მასშტაბითაც საპრიზო ადგილებზე გასვლა მეტად ძნელი იყო. ყველა რანგის შეჯიბრებაში ათეულში მოხვედრაც კი წარმატებად ითვლებოდა. 1960 წელს „შრომითი რეზერვების“ საკავშირო პირველობაზე წავედით ლენინგრადში. მაშინ გუნდის უფროსი მწვრთნელი ვიყავი. ჩვენმა გოგონებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ბოლო თამაშს ქართველი ბიჭებიც ესწრებოდნენ. გახარებულები მოედანზე შემოცვივდნენ, წარმატება მოგვილოცეს, შემდეგ კი კალათბურთის ფარის რგოლიდან ბადე ჩამოგლიჯეს სასუვენიროდ, რამაც ტურნირის ორგანიზატორები ერთობ გააბრაზა. იძულებული გავხდი, ჩემი ფული გადამეხადა და მასპინძლები დამეშოშმინებინა.

— ***ქალბატონო ლიზა, თქვენ თვალწინ ქართველ კალათბურთელთა მრავალმა თაობამ გაიარა. რას იტყვით დღევანდელ მდგომარეობაზე?***

– ქალთა კალათბურთში, ნამდვილად, სავალალოდ გვაქვს საქმე უსახსრობისა და ცუდი სავარჯიშო პირობების გამო. უფრო უარესი რა უნდა მოხდეს: ამას წინათ როგორც იქნა ქალთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტური გავმართეთ. საასპარეზოდ ვერ ჩამოვიდა საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი ქუთაისის „მეობა“. თუ ასე გაგრძელდა, მერმისს შეიძლება ეროვნული ჩემპიონატი ვერც გავმართოთ. არც ვაჟთა შორისაა ბევრად უკეთესი მდგომარეობა. ბოლო სამი წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო გუნდი დაიშალა, კალათბურთელები უცხოურ კლუბებში წავიდნენ სათამაშოდ. კინაღამ ეროვნული ჩემპიონატის პლეი-ოფები ჩაგვეშალა – გუნდები საწევრო შესატანს ვერ იხდიან. კვალიფიციური მსაჯების ნაკლებობასაც განვიცდით. უფროსი თაობა მიდის, ახალგაზრდები კი ძნელად მოდიან. ქართულ კალათბურთს დროულად უნდა შველა.

— ***გზას რომ თავიდან იწყებდეთ, რას იზამდით?***

– ყოფილ 36-ე სასწავლებელში, ახლა ლიცეუმი რომაა, ფიზკულტურას ვასწავლი. შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, პედაგოგობასა და კალათბურთს, ალბათ, მაინც ვერ ვუღალატებდი.

ესაუბრა
ეკა ბესტავაშვილი.

სურათზე: ლიზა აზიზოვა (ცენტრში) სამსაჯო მაგიდასთან.

ჭადრაკი

ბრძოლაში დიდოსტატებიც ჩაებნენ

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნულმა ჩემპიონატმა 5 აპრილს აიღო სტარტი თბილისის ჭადრაკის სასახლეში. წინა შეჯიბრებებისაგან განსხვავებით, წლევანდელი „ნოკაუტ-სისტემით“ იმართება. ეს იმას ნიშნავს, რომ წაგებული ბრძოლას ეთიშება.

პირველ რაუნდში 24 მოჭადრაკე ჩაება. ორპარტიიანი რეგლამენტი მხოლოდ რამდენიმე წყვილისათვის აღმოჩნდა საკმარისი: **გიორგი ბახტაძემ** 2:0 სძლია ნიკოლოზ ლეკვეიშვილს, **აკაკი შალამბერიძემაც** ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ნიკოლოზ შაეთვალაძე, **სოფიკო ტყეშელაშვილმა** მოუგო იური ჩიქოვანს, **რუსუდან გოლეთიანმა** – ზაზა ხოფერიას, **ალექსანდრე ყამაშვილმა** – რევაზ დადიანს, **მიხეილ მჭედლიშვილმა** – გოჩა ტყებუჩავას, თანაც, ოთხივემ ერთნაირი ანგარიშით 1,5:0,5 დაამარცხა მეტოქე.

დანარჩენ ორთაბრძოლებში დაინიშნა დამატებითი (2-2 ოცდახუთწუთიანი და ხუთწუთიანი) პარტიები. საბოლოოდ, ეს პაექრობები ასე დამთავრდა: გიორგი სიხარულიძე – **ნინო ხურციძე** 3:4 (1:1, 1:1, 1:1, 0:1), ოთარ ჯირკვალიშვილი – **დავით შენგელია** 2,5:3,5 (1:1, 1:1, 0,5:1,5), **ალექსანდრე მაკარაშვილი** – მიხეილ ჭიპაშვილი 3,5:2,5 (1:1, 1:1, 1,5:0,5), **მაია ლომინეიშვილი** – სოფიო ნიკოლაძე 4:2 (1:1, 1:1, 2:0), **ნატო ეძგვერაძე** – ვარლამ ვეფხვიშვილი 3:1 (1:1, 2:0), **ჯამბულ მახარაძე** – იოსებ კეთიაშვილი 3:1 (1:1, 2:0).

გამარჯვებულებს მეორე რაუნდში 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი შეუწყვილდა. გუშინ თამაზ გიორგაძემ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ტურნირზე მოსვლა და სოფიკო ტყეშელაშვილთან წაგება ჩაეთვალა. მეორე წრის პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ალექსანდრე მაკარაშვილი – გიორგი ბაღათუროვი 0:1, გენადი ზაიჩიკი – რუსუდან გოლეთიანი 1:0, ჯამბულ მახარაძე – გიორგი ყაჭეიშვილი 0,5:0,5, ბუხუტი გურგენიძე – ლამა ჯანჯღავა 0:1, ხვიჩა სუპატაშვილი – ნატო ეძგვერაძე 1:0, მაია ლომინეიშვილი – დავით ლობჟანიძე 0,5:0,5, ალექსანდრე დგებუაძე – აკაკი შალამბერიძე 1:0, დავით შენგელია – თამაზ ტაბატაძე 1:0, აკაკი იაშვილი – მიხეილ მჭედლიშვილი 0:1, ალექსანდრე ყამაშვილი-რომან სიჭინავა 1:0. ნინო ხურციძე – გიორგი ბახტაძე 0,5:0,5.

დღეს მეორე ტურია.

ვაჟა დანელია.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

SIC!

ავტომფლობელთა პრობლემები

1997: სიძვირის გამო ტექნიკური დათვალიერება ვერ გაიარა ავტოტრანსპორტის 39,4 პროცენტმა

1997 წლის 25 ნოემბერს საქართველოს შს მინისტრის №615 ბრძანებით დამტკიცდა და იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა **„საგზაო პოლიციის სამსახურის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების დებულება“**, რომელიც განსაზღვრავს ავტოტრანსპორტის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებას, მათი რაოდენობის, კუთვნილების და სხვა მონაცემების დაზუსტებას, სატრანსპორტო საშუალებათა და მათი ნომრიანი აგრეგატების დანაშაულებრივი ხელყოფის შემთხვევების აღკვეთა-აცილებისათვის განკუთვნილ ღონისძიებათა განხორციელებას.

წლიური ტექნიკური დათვალიერების ვადა განსაზღვრულია 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე, რომელსაც ასრულებენ საქართველოს შსს, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი საქალაქო, რეგიონალური და რაიონული დანაყოფების საგზაო პოლიციის სამსახურები.

ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერება ტარდება დიაგნოსტიკურ სადგურებში, რომლებიც მოწყობილია ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ და მათი მუშაობის პრინციპები რეგლამენტირებულია ზემოაღნიშნული დებულებით.

დიაგნოსტიკურ სადგურებში შემოწმებით წელიწადში ერთხელ ტექნიკურ დათვალიერებას ექვემდებარება მუდმივ ან დროებით აღრიცხვაზე მყოფი ყველა სატრანსპორტო საშუალება, გარდა დიპლომატიური იმუნიტეტით მოსარგებლე პირთა ავტოტრანსპორტისა, ხოლო ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ემსახურებიან მგზავრთა გადაყვანას (ავტობუსები, მიკროავტობუსები და ტაქსები), ტექნიკურ დათვალიერებას გადიან წელიწადში ორჯერ დიაგნოსტიკურ სადგურებში შემოწმებით.

პირები, რომელთა მფლობელობაში არის აშკარად ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტი (აღდგენას რომ არ ექვემდებარება, აგრეთვე კონსერვაციაზე მდგომი ავტომობილები, ვალდებულნი არიან წლის პირველი კვარტალის ბოლომდე წერილობით აცნობონ საგზაო პოლიციის ადგილობრივ დანაყოფს, რათა მათ ტექნიკური დათვალიერების ვადებში მოასწრონ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე რეაგირება. ავტომფლობელები, რომლებიც კუთვნილ ავტოტრანსპორტს დადგენილი გრაფიკით საგზაო პოლიციაში გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ვერ წარადგენენ (ავადმყოფობა, მივლინება, შვებულება და სხვა), ვალდებულნი არიან შეძლებისთანავე დაუყოვნებლივ წარმოადგინონ თავიანთი სატრანსპორტო საშუალებები დიაგნოსტიკურ სადგურებში ტექნიკური დათვალიერებისთვის.

გამართულად ჩაითვლება დამაკმაყოფილებელი გარეგნული იერსახის მქონე, სრულად დაკომპლექტებული სატრანსპორტო საშუალება, რომლის ტექნიკური მდგომარეობაც პასუხობს საგზაო მოძრაობის წესებისა და ინსტრუქციის მოთხოვნებს. ამის შემდეგ გაიცემა დიაგნოსტიკური სადგურის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დიაგნოსტიკური შემოწმების ბარათი, რომლის მოქმედების ვადა 5 დღეა. დიაგნოსტიკური ბარათის დაგვიანებით წარდგენისას იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება და, მფლობელი განმეორებით გაატარებს თავის ავტომობილის დიაგნოსტიკურ შემოწმებას.

ავტომფლობელი დიაგნოსტიკურ ბარათთან ერთად საგზაო პოლიციას წარუდგენს ახალი ნიმუშის მართვის მოწმობას, სარეგისტრაციო მოწმობას, ეკოლოგიის ტალონს, აუცილებელი დაზღვევის პოლისს, საქარე მინაზე გასაკრავი ფირნიშის ღირებულების ქვითარს, რის შემდეგაც სახელმწიფო ავტოინსპექტორი შეამოწმებს ნომრიანი აგრეგატების კანონიერებას და სარეგისტრაციო მოწმობასთან შესაბამისობას. დადებითი შეფასების შემთხვევაში გააფორმებს ტექნიკური დათვალიერების შედეგს.

ერთ წლამდე ასაკის (გამოშვების წლიდან) ავტომობილები, მოტოტრანსპორტი, მისაბმელები და ნახევრად მისაბმელები დიაგნოსტიკურ შემოწმებას არ გადიან. ისინი საგზაო პოლიციის სახელმწიფო ავტოინსპექტორის მიერ რეგისტრაციის ადგილზე დათვალიერდება ვიზუალურად და გაიცემა სათანადო ცნობა.

თქვენთვის, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რა თანხა ჯდება ავტომობილის წლიური ტექნიკური დათვალიერება: მსუბუქი ავტომანქანებისთვის საშუალოდ 60-80 ლარი, სატვირთო ავტომანქანებისთვის — 200-400 ლარი. ყველა ეს გადასახადი გაიგივებულია ტექნიკური დათვალიერების გადასახადებთან, რაც მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყნის ავტოპარკის საქმიანობას და ავტომფლობელებს, გამოიწვია მათი სამართლიანი უკმაყოფილება და რაც მთავარია, დიდი გავლენა იქონია სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერების მაჩვენებელზე. ამით კი რთულდება ქვეყნის ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის რეალური სურათის დადგენა.

გასულ 1997 წელს ტექნიკურ დათვალიერებაზე გაუტარებელი 64.302 ავტოსატრანსპორტო საშუალებიდან ტექნიკური დათვალიერება მაღალი გადასახადების გამო ვერ გაიარა 39,4 პროცენტმა.

დავაკონკრეტებ, თუ რა გადასახადებია დაწესებული საგზაო ფონდში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ფლობისათვის. ეს გადასახადები დიფერენცირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სახეობისა და მათი ძრავის სიმძლავრის მიხედვით თითოეული ცხენის ძალაზე, კერძოდ:

— მსუბუქ ავტომობილებზე — 0,25 ლარი;

— ავტობუსებზე, 12-მდე ადგილით — 1,0 ლარი; 13-30-მდე ადგილით — 1,3 ლარი; 30-ზე მეტი ადგილით — 2,0 ლარი;

— სატვირთო ავტომობილებზე, ტვირთამწეობით 1 ტონამდე (ჩათვლით) — 0,4 ლარი; 1-3 ტონამდე (ჩათვლით) — 0,6 ლარი; 3-10 ტონამდე (ჩათვლით) — 1,3 ლარი; 10-20 ტონამდე (ჩათვლით) — 2,0 ლარი; 20-40 ტონამდე (ჩათვლით) — 2,6 ლარი; 40 ტონაზე მეტი — 4,0 ლარი.

მგზავრთა გადაყვანით დასაქმებული ავტოტრანსპორტის (რომლებიც წელიწადში ორჯერ გადიან ტექნიკურ დათვალიერებას) მფლობელებს, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის 1998 წლის 20 მარტის №25 ბრძანების შესაბამისად, ნება დაერთოთ პირველი ტექნიკური დათვალიერების ჩატარებისას გადაიხადონ საგზაო ფონდის მთლიანი გადასახადის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი შემდგომი ტექნიკური დათვალიერებისას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, საგზაო პოლიციას ევალება: „ტექნიკური დათვალიერება არ უნდა განხორციელდეს გადასახადის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე“.

ანალოგიური მოტივით, 1997 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა კანონი „სავალდებულო დაზღვევის შესახებ“.

ამ პირობებში მიმდინარე წლიური ტექნიკური დათვალიერება ჩაშლის რეალური საფრთხის წინაშე დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინოთ ავტომფლობელთა სამართლიანი უკმაყოფილება, ცვლილებები შევიტანოთ საგადასახადო კოდექსის 162 მუხლში, რათა კანონით გათვალისწინებული საგზაო ფონდისა და ყველა სხვა გადასახადი გაემიჯნოს ავტომოტოტრანსპორტის წლიურ ტექნიკურ დათვალიერებას და მისი აკრეფა მოხდეს თანდათანობით, წლის განმავლობაში, სხვადასხვა ფორმით (საგზაო ფონდის გადასახადი — ბენზინის ღირებულებაზე დანამატის დაწესებით; სავალდებულო დაზღვევა — ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანით და სხვა).

შოთა ბორაშვილი
საგზაო პოლიციის
მთავარი სამმართველოს
ავტომოტოტრანსპორტზე
ტექნიკური ზედამხედველობის
განყოფილების უფროსი,
პოლიციის პოლკოვნიკი.

ყურადღება — სიახლე!

— ამ დევიზით შემოდის საქართველოში დიდი საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ჩვენი ცხოვრების წესის გაჯანსაღებას. იგი წამოიწყეს მსოფლიოს სახელგანთქმულმა ფირმებმა, რომელთა შორის ფავორიტის როლი ლეგენდარულმა შვეიცარულმა **„ცეპტერ“**-მა იკისრა.

„ცეპტერი“, რომელსაც მსოფლიოში „ჯანმრთელობის მისიონერს“ უწოდებენ, ახლახან დამკვიდრდა

„ZEPTER-Ი“ გვთავაზობს: — შემოვაბრუნოთ ჩვენი ცხოვრება უკეთესობისაკენ

თბილისში, მისმა ფილიალმა საბურთალოზე, ლეოის ქუჩა 47-ში დაიდო ბინა.

რას გვთავაზობს „ცეპტერი“? — უნიკალურ ჭურჭელს, სამზარეულო მოწყობილობებს, კოსმეტიკას, სამედიცინო ელექტროხელსაწყოებს, სწორედ ახალი სისტემას — „vacsy“-ს პროდუქტების შენახვის არასტანდარტულ ე. წ. „ვაკუუმურ“ მეთოდს და კიდევ ბევრ სხვა სიახლეს.

საყურადღებოა, რომ ამ ფირმას უკვე ოთხჯერ აქვს მინიჭებული იტალიის უმაღლესი პრემია წარმოების სფეროში უნიკალური წარმატებებისათვის. რაც შეეხება „ცეპტერის“ პროდუქციას, იგი დღეს მსოფლიო ელიტის განსაკუთრებული მოთხოვნითა და შეფასებით სარგებლობს.

მაინც რაში გამოიხატება მისი პროდუქციის განსაკუთრებულობა?

სამაგალითოდ ავიღოთ თუნდაც ჩვენი დიასახლისებისათვის ესოდენ ახლობელი — სამზარეულო მოწყობილობა. ვთქვათ, ელემენტარული ქვაბი ან ტაფა, რომელზეც სადილს ვამზადებთ.

არაჩვეულებრივი დიზაინი, უმაღლესი ხარისხის სამედიცინო ლითონშენაერთისგან დამზადებული ეს ნაწარმი გამოირჩევა აბსოლუტური სტერილურობით... რაც შეეხება — „ცეპტერის“ ქვაბის ან ტაფის უმთავრეს საიდუმლოს იგი მის თერმოაკუმულირებად ფსკერშია მოთავსებული. ეს იძლევა პროდუქტის უცხიმოდ შეწვის ან მოხარშვის შესაძლებლობას, რაც უნარჩუნებს მას ჩვენი ორგანიზმისათვის ესოდენ აუცილებელ ვიტამინებს, მარილებს, მინერალურ ნივთიერებებს, მაგრამ...

მთავარი და უნიკალური მაინც წინ გელოდებათ — იმისათვის, რომ 70-90 გრადუსამდე გაცხელდეს და საჭირო ენერგიით დაიმუხტოს ჭურჭლის ფსკერი, ამისათვის სულ რაღაც 5 წუთია საჭირო... შემდეგ კი, თქვენს თვალწინ იწყება პატარა სასწაული — შეგიძლიათ პროდუქტით დატვირთული ქვაბი გადმოდგათ ქურიდან და... იგი თავადვე დაასრულებს ხარშვის ან შეწვის პროცესს ფსკერში დაგროვილი აკუმულირებული ენერგიის წყალობით.

ე. ი. — ამ დროს თავად ჭურჭლის ფსკერი ასრულებს ქურის ფუნქციას. თუ ჩვენს დღევანდელ სავალალო ენერგოყოფას გავითვალისწინებთ, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ „ცეპტერის“ ქვაბი ან ტაფა, მართლაც მოსწრებაა ჩვენი დიასახლისებისათვის. ელექტროენერგიისა თუ გაზის დიდ ეკონომიასთან ერთად, მათ დაეზოგებათ დიდძალი დრო, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქალებისათვის.

სურათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, „ცეპტერის“ სამზარეულოს მთელი სისტემაა წარმოდგენილი. ჭურჭლის საოცარი ფსკერი შესაძლებლობას მოგცემთ ერთდროულად ხუთი დასახელების კერძი მოამზადოთ... მართლაც, ფანტასტიკურია არა?

ასე რომ, ჩვენო ძვირფასო ქალებო, სამზარეულოში თქვენი ტრადიციული, დამღლელი მრავალსაათიანი ტრიალი „ცეპტერმა“ თავისებურ სიამოვნებადაც კი შეიძლება გიქციოთ.

ვიცით, წინასწარ ვგრძნობთ, რომ „ცეპტერის“ პროდუქციისადმი ინტერესი უდავოდ დიდი იქნება. ასეა მთელ მსოფლიოში, ასევე იქნება საქართველოშიც, რადგან სასწაულს ყველგან სასწაული ჰქვია.

ცხადია, ასეთ დროს ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა — **სად შეიძლება „ცეპტერის“ ამ უნიკალური პროდუქციის შეძენა?**

ამ შემთხვევაშიც უჩვეულო პასუხი აქვთ ამ ფირმის მესვეურებსა და სპეციალისტებს: — **„ცეპტერს“ მაღაზიაში, საერთოდ, სავაჭრო ქსელში ვერ იყიდით. მათი შეძენა ხდება მხოლოდ ფირმის თანამშრომლების მეშვეობით.** ეს კი იმიტომ ხდება, რომ ფირმა საჭიროდ მიიჩნევს მომხმარებელს პრაქტიკულად უჩვენოს თავისი პროდუქციის შესაძლებლობანი, რომელიც მრავალ სპექტრს შეიცავს. მათ მოხმარებას სპეციალური ცოდნა სჭირდება. ამისათვის ეწყობა ფირმის სპეციალური პრეზენტაციები, მომხმარებლის სპეციალისტებთან შეხვედრები, რომლის დროსაც თითოეული პოტენციური მყიდველი საკუთარი თვალით ხედავს პროდუქციის შესაძლებლობებს, მის „მუშაობას“, რის შემდეგაც იდება სპეციალური ხელშეკრულება ამა თუ იმ მოდელის პროდუქციის შესყიდვაზე, რაც მეტად მომგებიანია, როგორც ფირმის, ასევე მომხმარებლისათვის. ასეთ დროს მომხმარებელმა დანამდვილებით იცის, თუ რა სჭირდება, ხოლო ფირმამ — ის, რაც უნდა აწარმოოს. „ცეპტერის“ ქარხნები, რომლებიც განლაგებულნი არიან იტალიაში, ავსტრიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში, არასოდეს აწარმოებენ ისეთ ნაწარმს, რომელზეც არ არის მოთხოვნილება და არ იყიდება, რადგან თავიანთი პროდუქციის ყოველი ნიმუში მათ ხელოვნების რანგში აქვთ აყვანილი.

ასე რომ, თქვენს მიერ დადებული ხელშეკრულების ასლი კომპიუტერის საშუალებით ოპერატიულად მოხვდება ფირმის „პოლდინგცენტრში“, რის შემდეგაც ქარხანა იწყებს მუშაობას თქვენს შეკვეთაზე.

შეკვეთები კი „ცეპტერს“ არ აკლია, რადგან ელიტარულ პროდუქციას უშვებს.

ჩვენი ნაწარმი, — გვეუბნება „ცეპტერის“ თბილისის ფილიალის გენერალური დირექტორი კრშმან მომირი, — უნიკალური ხარისხისაა. ყველაფერი ხარისხიანი კი, მოგეხსენებათ, ძვირი ღირს. კარგად გვესმის, რომ დღეს საქართველოში დროებითი გაჭირვებაა, ამიტომაც გადავწყვიტეთ გარკვეული შეღავათებით ვიმუშაოთ.

„ცეპტერის“ პროდუქცია თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც საფასურის ერთბაშად გადახდით, ასევე განვადებითაც, რომლის ვადა 3-დან 24 თვემდე გაითვალისწინეთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ცეპტერის“ უნიკალური ნაწარმის მხოლოდ ე. წ. „ახალ ქართველთა“ კუთვნილება არ გახდება. საშუალო ქართველ მომხმარებელსაც ექნება შესაძლებლობა დაამკვიდროს თავის ოჯახში ჯანსაღი კვების ტრადიცია და შემოაბრუნოს თავისი ცხოვრება უკეთესობისაკენ.

და ბოლოს: სახელგანთქმული **„ცეპტერის“** თბილისის ფილიალი **ხუთშაბათს, 9 აპრილს, 3 საათზე, ლეოის ქუჩა, 47-ში** თავისთან სამუშაოდ იწვევს ნიჭიერ, ინიციატიურ ახალგაზრდებს, რომლებსაც მაღალ ანაზღაურებას და საინტერესო სამუშაოს ჰპირდება. ფირმა თხოვს მომავალ სტუმრებს თან იქონიონ საკუთარი პასპორტი.

იმედი გვაქვს, თანამშრომლობა მსოფლიოში სახელგანთქმულ ფირმასთან ბევრს დააინტერესებს.

„ცეპტერი“ გელოდებათ!

სასამართლო

(პირველი გვერდიდან)

— პროცესი, როგორც იტყვიან, სრული სვლით წავიდა, — თქვა მან. — გზადაგზა შეიძლება წარმოიშვას გაუგებრობები, დაიბადოს ეჭვები, რომლებიც ფაქტებით, მტკიცებულებებით უნდა უკუვაგდოთ და მხოლოდ და მხოლოდ სრული ჭეშმარიტება დავადგინოთ.

მოწმე დავით ლორთქიფანიძემ როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო პროცესზე აჩვენა, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, პარლამენტის ეზოს ჭიშკართან, ჩართული ძრავით, იდგა „ვაზ-2107“. საჭესთან იჯდა მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი, მის გვერდით კი — უცნობი ახალგაზრდა ბიჭი.

დავით ლორთქიფანიძის ავტომანქანა ჩახერგილი აღმოჩნდა, ამიტომ მან დაიწყო ნაცნობის ძებნა, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში წაიყვანდა ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად. ამ მიზნით შევიდა პარლამენტის ეზოში. უცებ გამოაცხადეს, — „მეთაური გადის, ეზო დატოვეთო“. მალე ეზოს ჭიშკარს გასცდა პოლიციის „რენო“, მას მიჰყვა „ვაზ-2105“. დაიძრა სახელმწიფოს მეთაურის „გაზ-31“-იც.

ამასობაში დავით ლორთქიფანიძეც გასცდა პარლამენტის ეზოს ჭიშკარს. მან ხელმეორედ შენიშნა „ვაზ-2107“, რომელშიც კვლავ იჯდა გიგა გელაშვილი და უცნობი ახალგაზრდა ბიჭი. ჩაუარა თუ არა ამ ავტომანქანას, უმალ გაისმა აფეთქების ხმა. მას დაჰკრა აფეთქების ტალღამ, მიწაზე დაწვა და თავი იქვე მდგომ „ნივას“ შეაფარა. სწორედ ამ დროს დიდი სისწრაფით ჩაუქროლა იმ „ვაზ-2107“-მა, რომელშიც გიგა გელაშვილი და უცნობი ახალგაზრდა ბიჭი იჯდა. უცნობს ორივე ხელი თავთან ჰქონდა მიტანილი.

— როგორც ჩანს, იქ სხვა მანქანებიც იდგა. რატომ მიაქცია დავით ლორთქიფანიძემ ყურადღება მაინცდამაინც „ვაზ-2107“-ს?

— მოწმის ჩვენებით, ისე ახლოს, პარლამენტის ეზოს ჭიშკართან, საერთოდ, აკრძალული იყო ავტომანქანების გაჩერება. გარდა ამისა, იმ გაგანია სიცხეში „ვაზ-2107“ იდგა ჩართული ძრავით, რაღაც „სტარტის“ მაგვარ პოზიციაში, რათა სწრაფად გავარდნილიყო. თანაც, დავით ლორთქიფანიძე სახეზე კარგად იცნობდა გიგა გელაშვილს. ცოტა ეუცნაურა, რომ მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე იმ დღეს მოსული იყო „ვაზ-2107“-ით. პარლამენტში იგი ყოველთვის „ბმვ“-თი მოდიოდაო.

— ბატონო გიგლა, სასამართლო პროცესზე დავით ლორთქიფანიძემ თქვა, რომ ჩაწოლილმა დაინახა ის „ვაზ-2107“ და ზუსტად ვეღარ გაარჩია

სინამდვილეს ვერავინ გააქარწყლებს

შიგ მჯდომი პიროვნებები. შეამჩნია მხოლოდ სილუეტები...

— მაგრამ მან იქვე ისიც დააყოლა, რომ დროის იმ მცირე მონაკვეთში შეუძლებელი იყო „ვაზ-2107“-ში სხვა ვინმე ჩამჯდარიყო. უბრალოდ, ამას ვერ მოასწრებდაო.

— ახლა გიგა გელაშვილი ამტკიცებს, — მე 1995 წლის 20 აგვისტოს კი ვიყავი პარლამენტში, მაგრამ იქიდან აფეთქებამდე კარგა ხნით ადრე წავედიო.

— სასამართლო პროცესზე დავით ლორთქიფანიძემ, ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აფეთქების დროს გიგა გელაშვილი და მასთან მყოფი პირი „ვაზ-2107“-ით იდგნენ პარლამენტის ეზოს ჭიშკართან, ფოსტა-ტელეგრაფთან და აფეთქების შემდეგ ამავე ავტომანქანით გაეცალნენ იქაურობას. თუმცა აქ რაა გასაკვირი, — წინასწარი ძიებისას ეს ხომ თავად გიგა გელაშვილმაც აღიარა?

— კონკრეტულად, როდის?

— სასამართლო პროცესზე გამოქვეყნდა მისი 1995 წლის 15 სექტემბრის ჩვენება. იქ გიგა გელაშვილი გულწრფელად ამბობს: — „1995 წლის 29 აგვისტოს საღამოს მოხდა აფეთქება, როდესაც ედუარდ შევარდნაძის ავტომანქანა გამოდიოდა ეზოდან და ჩაუარა გვერდით ეზოში მდგარ დანაღმულ „ნივას“. მე კი ვიჯექი ეზოს გარეთ „07“-ში, საიდანაც კუსტარული წესით დამზადებული პულტით მოვახდინე დისტანციური აფეთქება“...

— კი, მაგრამ საიდანღა ამოტივტივდა ავთანდილ გოგოტიშვილი?

— ავთანდილ გოგოტიშვილმაც, წინასწარი ძიებისას, 1995 წლის 7 ოქტომბერს თავად აჩვენა: — „დავინახე თუ როგორ გამოვიდა პატარა ეზოდან ედუარდ შევარდნაძის შავი ფერის „გაზ-31“. გიგამ ჩქარი მოძრაობით გადმოიწია ჩემსკენ, ჩამოსწია „ბარდაჩოკის“ კარი და თითი დააჭირა ღილაკს. გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა. იმ ადგილზე, სადაც „ნივა“ იდგა, ავარდა შავი კვამლი. ხალხი მოიცვა პანიკამ. მე თავში ხელი ვიტაცე სინანულისა და გაოცების ნიშნად“.

— ბატონო გიგლა, თქვენთვისაც კარგადაა ცნობილი გამოთქმა, — ბრალის აღიარება მარტოოდენ ვიშინსკის მიაჩნდაო მტკიცებულებათა დედოფლად. ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ მოწმე დავით ლორთქიფანიძეს. პროცესზე წარმოდგენილი „სახალხო გაზეთის“ ერთ-ერთი ინტერვიუს მიხედვით იგი აფეთქების შემდეგ წაქცეულა, თავი დაურტყია, ტვინის შერყევა მიუღია. ამის გამო არ შეიძლება მას ასე დეტალურად ყველაფერი ახსოვდესო.

— ჯერ ერთი, — დავუშვათ, რომ გონი დაკარგა აფეთქების შემდეგ, თვით აფეთქებისას მან ხომ ნახა „ვაზ 2107“ და შიგ მჯდარი გიგა გელაშვილი? მეორეც, როგორც დავით ლორთქიფანიძემ სასამართლო პროცესზე განმარტა, გონი დაკარგა მერე, სადღაც უნივერსიტეტთან, როცა იგი მანქანით მიჰყავდათ.

სხვათა შორის, რახან ეჭვი გაჩნდა, დავით ლორთქიფანიძეს პროცესზე ესეც ჰკითხეს, — რომელი ჩვენებაა სწორი — ადრინდელი თუ ახლანდელიო. მან დაბეჯითებით უპასუხა, — ორივე ჩვენება სწორია, ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ვისაც გაგება უნდა, — მშვენივრად გაიგებს, ვისაც არა და, ცხადია, ვერ გაიგებსო.

— ფაქტობრივად, დავით ლორთქიფანიძის ჩვენება გიგა გელაშვილის ბრალდების ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებაა. აქ ყველაფერი უნდა აიგოს ფაქტებზე და არა გაგება-არგაგებაზე...

— ასეთი სიტყვები მისთვის განსასჯელსაც უთქვამს, რაზედაც მოწმეს უპასუხია: — რა ვქნა, შევდივარ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი — სწორედ იმ აფეთქების მომენტში განახეთ პარლამენტის ეზოს ჭიშკართანო. ამ სიმართლის გაუვნებელყოფა სურთ. ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ. მცდელობა ადრეც იყო. პროცესის დაწყებამდე უზენაეს სასამართლოში დაიკარგა ამ საქმის 43-ე ტომი. სწორედ იმ 43-ე ტომშია მოწმე დავით ლორთქიფანიძის წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება. დაკარგული ტომი სწრაფად აღსდგა, ცხადია, ის ჩვენებაც მტკიცებულებად დარჩა. ასე რომ, ზოგიერთი ამაოდ ცდილობს სინამდვილის გაქარწყლებას.

ესაუბრა
ბონდო გულიაშვილი.

განცხადება
მიწათმოქმედთა საყურადღებოდ!
პირველად საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ იაპონიის მთავრობის დახმარებით შემოიტანა 46 პროცენტი სამმაგი სუპერფოსფატი, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი შემდეგქმედების უნარით (რის გამოც მომდევნო 2-3 წლის მანძილზე სუპერფოსფატით განოყიერებულ ნიადაგს აღარ ესაჭიროება სასუქის შეტანა). იგი გრანულირებულია და დაფასოებულია 50 კგ. პოლიეთილენის ტომრებში. ფასი 1 ტონა 300 ლარი.
თითოეულ ჰექტარზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით საჭიროა შეტანილ იქნას 130-200 კგ-ის ოდენობით.
დაწვრილებითი ცნობებისათვის (რეკომენდაციების მისაღებად) დაგვიკავშირდით:
გარდაბნის რ-ნი, ს. გაჩიანი.
სააქციო საზოგადოება „გაჩიანი“
ტელ: 33-34-11, 93-90-92, 23-02-33,
8 99 56 04 06.

ისნის რაიონის სასამართლო საჯარო ვაჭრობის წესით ყიდის 4 ოთახიან კაპიტალურად გარემონტებულ ბინას სათავსოთი ბ. ხმელნიცკის ქ. 149, I კორპ. V სართული, ბ. 34. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 17 აპრილს 12 00 სთ-ზე. დაინტერესებულმა პირებმა მიაკითხონ ისნის რაიონის სასამართლოს აღმსრულებელს ბადრი ლაზიაშვილს. ტელ: 74-32-04.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, იურისტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, აკადემიკოსი

სერგო ჯორბენაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის

სერგო ჯორბენაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე

სერგო მანასეს ძე ჯორბენაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სერგო მანასეს-ძე ჯორბენაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იუწყება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარის

სერგო ჯორბენაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გახსენება

თამარ მაღალაშვილი



40 დღე შესრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის დასავლურ ენათა სწავლების თეორიის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი **თამარ მაღალაშვილი.**

არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი, თავადაც სულით არისტოკრატი ქალბატონი თამარი გამოირჩეოდა სიკეთით, სათნოებით, სიმშვიდით, კაცთმოყვარეობით და განსაკუთრებული სითბოთი, რომლითაც უხვად აჯილდოვებდა გარშემომყოფთ.

საუკეთესო აღმზრდელი, დიდად განსწავლული თანამშრომელი, სტუდენტი ახალგაზრდობის მოჭირნახულე და ქომაგი, მზრუნველი დედა, მოსიყვარულე დიდედა, ერთგული მეგობარი — ასეთი დარჩება ქალბატონი თამარი ჩვენი ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა ხსოვნაში, სადაც 45 წელიწადი გაატარა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. მაღალაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა. ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. თეორიულ მომზადებას შესანიშნავად უხამებდა პრაქტიკულ საქმიანობას: წლების მანძილზე კითხულობდა უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის თეორიულ კურსს და იმავე დროს ასწავლიდა ფრანგულ ენას.

მას ეკუთვნის ნაშრომები ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკის, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის დარგებში, სადაც განზოგადებულია და ქართულთანაა შეპირისპირებული ამ მეცნიერებათა კვლევის შედეგები.

ტრაგიკული იყო მისი ცხოვრების უკანასკნელი წლები. ბედმა მეუღლის, ცნობილი ექიმის იგორ მარგველაშვილის მოულოდნელი გარდაცვალება არ აკმარა და კიდევ უფრო დიდი უბედურება დაატეხა თავს: მისი ქალიშვილი რუსუდანი უმძიმესმა დაავადებამ საწოლს მიაჯაჭვა და მიუხედავად წლების მანძილზე თავგადადებული ზრუნვისა და ხანგრძლივი მკურნალობისა, დედა შვილის დაკარგვასაც მოესწრო.

ქალბატონ თამარის გარდაცვალება დიდი დანაკლისია მისი ოჯახისათვის, მრავალრიცხოვანი ახლობლებისა და მეგობრებისათვის, სტუდენტებისა და ქართული პედაგოგიკური მეცნიერებისათვის.

**თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის
დასავლურ ენათა და
კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი;
დასავლურ ენათა სწავლების თეორიის კათედრა.**

თბილისის პროკურატურა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი

სერგო ჯორბენაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

სერგო ჯორბენაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მარნეულის საგამოძიებო განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი

გიორგი გულდამაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს ბატონ ზურაბ დვალიშვილს დედის

ლეილა ელიავა-დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები
ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.
ინდექსი 66434
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.